ჰარუნ იაჰია

ისლამი თეორიულების ჭიანურებიდან

ღვთის სახელით, ყველაზე მწყალობლის,
ყველაზე შემბრალებლის

muslim georgia
muslim georgia union of international charity

მკითხველთათვის

ამ წიგნში ევოლუციის თეორიის კრახს მთლიანი თავი ეძღვნება, რადგანაც ეს თეორია ანტისულიერი ფილოსოფიის მატარებელია. დარვინიზმი ღვთის მიერ სამყაროს გაჩენასა და თავად ღმერთის არსებობას უარჰყოფს. ბოლო 140 წლის განმავლობაში ამის გამო ბევრ ადამიანს შეერყა რწმენა. იმის ჩვენება, რომ ეს თოერია მცდარია, რელიგიისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. ყველამ უნდა გაიგოს, რომ ეს თეორია მართებული არ არის. თანაც მკითხველმა შეიძლება ჩვენი წიგნების სერიიდან მხოლოდ ამ წიგნის წაკითხვა მოახერხოს. ასე რომ, საჭიროდ მიგვაჩნია, წიგნში ამ თემას რამდენიმე გვერდი დავუთმოთ.

ავტორის ყველა ნაწარმოებში, რწმენასთან დაკავშირებულ განხილვებს ყურანიდან მოყვანილი ციტატებიც ახლავს თან. იგი ხალხს ღვთის სიტყვის შესწავლისკენ და ამ სიტყვის ცხოვრების წესად ქცევისკენ მოუწოდებს. ეს ციტატები კი, თავის მხრივ, ისეა ახსნილი, რომ მკითხველისთვის გაუგებარი არაფერი რჩება. წერის გულწრფელი, მარტივი და სავსე მანერის წყალობით ეს წიგნი განსხვავებული სოციალური ფენისა თუ ასაკის მკითხველისთვის ერთნაირად გასაგებია. თხრობის ასეთი მანერა წიგნის ერთი ამოსუნთქვით წაკითხვის საშუალებას იძლევა. არარელიგიური ადამიანებიც კი წიგნში მოყვანილი ფაქტების ზეგავლების ქვეშ ექცევიან და ამ ფაქტების ჭეშმარიტებას ვერ უარჰყოფენ.

ავტორის ამ და კიდევ სხვა მრავალი წიგნის ინდივიდუალურად წაკითხვაც შესაძლებელია და ჯგუფთან ერთად განხილვაც. მკითხველს წიგნის შინაარსის ჯგუფთან ერთად განხილვა სხვებისთვის თავისი შთაბეჭდილებისა და გამოცდილების გაზიარების საშუალებას მისცემს.

ამას გარდა, ღვთის საამებლად დაწერილი ამ წიგნების კითხვა და სხვებისთვის გაცნობა რელიგიის თვალსაზრისითაც მართებულია. ავტორის ყველა წიგნი დამაჯერებლადაა დაწერილი. ამიტომ, ვინმეს თუ უნდა, რომ სხვა ადამიანიც აზიაროს ჭეშმარიტ რელიგიას, ამ წიგნის წაკითხვა უნდა ურჩიოს.

იმედია, მკითხველი წიგნის ბოლოს განთავსებულ სხვა წიგნების ანოტაციასაც გადაავლებს თვალს და რელიგიური ბაზისის მქონე სასიამოვნო და სასარგებლო საკითხავითაც დაინტერესდება.

ზოგიერთი სხვა წიგნებისაგან განსხვავებით, ამ წიგნებში თქვენ ვერ იპოვით ავტორის პირად მოსაზრებებს, საეჭვო წყაროებზე დაყრდნობით გაკეთებულ დასკვნებს, წმინდა თემების უპატივცემულოდ და უხეშად მოხსენიების ფაქტებს, საეჭვო და პესიმისტური ხასიათის მქონე საკითხებს.

ისლამი ტერორიზმის წინააღმდეგ

ჰარუნ იაჰია

2007 წლის თებერვალი

muslim georgia
muslim georgia international charity

ავტორის შესახებ

ავტორი, რომლის ლიტერატურული ფსევდონიმიც ჰარუნ იაჰიაა, 1956 წელს, ანკარაში დაიბადა. ანკარაში დაწყებითი და საშუალო განათლების მიღების შემდეგ, იგი სტამბულში მიმარ სინანის სახელობის უნივერსიტეტში ხელოვნების, ხოლო სტამბულის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოსოფიის სწავლას შეუდგა. 1980 წლიდან მოყოლებული მას უამრავი წიგნი აქვს გამოცემული პოლიტიკაზე, რელიგიასა და მეცნიერებაზე. ჰარუნ იაჰია სწორედ ის ავტორია, რომელმაც თავისი ნაწარმოებების საშუალებით ევოლუციონერების სიცრუეს ფარდა ახადა, უამრავი ადამიანი დაარწმუნა, რომ მათი მოსაზრებები მცდარია, დარვინიზმის, ფაშიზმისა და კომუნიზმის შავბნელ იდეოლოგიებს შორის კი კავშირი დაამტკიცა.

მან ფსევდონიმი ორი შუამავლის აარონისა (ჰარუნ) და იოანეს (იაჰია) პატივსაცემად აიღო. ავტორის ყველა წიგნზე ერთნაირი სიმბოლოა. ეს ნიშანი ყურანის, ღვთის მიერ გადმოცემული უკანასკნელი წიგნისა და მისი უკანასკნელი შუამავლის, მუჰამედის სიმბოლოა. ავტორის მთავარი მიზანი ყურანისა და სუნას დახმარებით შავბნელი იდეოლოგიების არამართებულობის დამტკიცება და რელიგიის წინააღმდეგ გამოთქმული მოსაზრებების გაბათილებაა. ბრძენი და მორალურად სრულყოფილი შუამავლის სიმბოლო იმის მაჩვენებელია, რომ ნაწარმოები სრული ჭეშმარიტებაა.

ავტორის ყველა ნაწარმოები ერთ მიზანს ემსახურება - გადასცეს ადამიანებს ყურანის მოძღვრება და ამით ისინი ისეთ საკითხებზე დააფიქროს, როგორიც ღვთისა და იმქვეყნიური ცხოვრების არსებობაა. მის მიზანს, აგრეთვე, ურწმუნო საზოგადოების დამახინჯებული და ბოროტი საქმიანობის ჩვენებაც წარმოადგენს.

ჰარუნ იაჰიას ნაწარმოებებს მრავალ ქვეყანაში ჰყავს მკითხველი - ინდოეთსა და ამერიკაში, ინგლისსა და ინდონეზიაში, პოლონეთსა და ბოსნიაში, ესპანეთსა და ბრაზილიაში. მისი ნაწარმოებები თარგმნილია ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ, ესპანურ, პორტუგალიურ, არაბულ, ალბანურ, რუსულ, სერბულ-ხორვატიულ, პოლონურ, მალაიურ, თურქულ, ინდონეზიურ და ურდუ ენებზე და მკითხველშიც დიდი პოპულარობით სარგებლობს.

ამ ნაწარმოებებმა მსოფლიოში დიდი მონონება დაიმსახურა და მრავალ ადამიანს დაეხმარა ღმერთთან დაახლოებასა და რწმენის გამყარებაში. ჰურან იაჰიას ნაწარმოებები მარტივად გასაგები ენისა და მათში არსებული სიბრძნის გამო აღვილად იკითხება და არცერთ მკითხველს არ ტოვებს გულგრილს. ეს ნაწარმოებები ადამიანებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს, რადგანაც მათი გაცნობის შემდეგ მკითხველს ყოველგვარი ეჭვი უქრება სარწმუნოებასთან დაკავშირებით. ჰურან იაჰიას ნაწარმოებების წაკითხვის შემდეგ, ადამიანს მატერიალისტური ფილოსიფიის, ათეიზმისა და სხვა გახრწნილი იდოლოგიის დაცვის სურვილი აღარ გააჩნია. თუ მაინც განაგრძნობენ მათ დაცვას, ეს მათი სიჯიუტის ბრალი იქნება, რადგანაც ავტორი ასეთ იდეოლოგიებს ყოველმხრივ უარჰყოფს. სარწმუნოების უარყოფის თანამედროვე მცდელობები იდეოლოგიურად დამარცხებულია ჰარუნ იაჰიას ნაწარმოებების წყალობით.

აშკარაა, რომ ეს ყველაფერი ყურანის სიბრძნისა და ლოგიკურობის დამსახურებაა. ავტორი თავისი თავით არ ამაყობს; იგი მხოლოდ ცდილობს, რომ თავისი მკითხველი ღმერთისკენ მიმავალ ჭეშმარიტ გზაზე დააყენოს. თანაც იგი თავისი ნაწარმოებების გამოქვეყნებით მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას სულაც არ ცდილობს.

ამ ფაქტებს თუ გავითვალისწინებთ, ის ვინც, ამ წიგნის შესახებ სხვასაც გააგებინებს, ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს კაცობრიობას - მრავალ ადამიანს აუხელს თვალს და მათ ღმერთთან დაახლოებაში დაეხმარება.

ასე რომ, იმ წიგნის პროპაგანდა, რომელიც ადამიანს გონებას ურევს, იდეოლოგიურ ქაოსამდე მიჰყავს და იმდენად ძლიერი არ არის, რომ ადამიანს ეჭვი გაუფანტოს, ენერგიისა და დროის ფუჭი ხარჯვაა. ყველასთვის ნათელია, რომ ის ნაწარმოებები, რომლებშიც ავტორი ადამიანის რწმენასთან დაახლოების ნაცვლად თავისი წერის ნიჭის წარმოჩინებას ცდილობს, დიდი ეფექტი არ გააჩნია. ის, ვისაც ამაში ეჭვი ეპარება, ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ მიხვდება, რომ ჰარუნ იაჰიას ერთადერთი მიზანი ურწმუნოებზე გამარჯვება და ყურანის მორალური ღირებულებების ხალხში გავრცელებაა. ავტორის ნაწარმოებების გულადხილი სტილი, სიძლიერე და წარმატებულობა მკითხველის დარწმუნებას ადვილად ახერხებს.

ერთი რამ კარგად უნდა გვახსოვდეს: კონფლიქტი, დაუნდობლობა და ის ტანჯვა-წამება, რომელსაც ადამიანთა უმრავლესობა დღეს განიცდის, რელიგიასთან გაუცხოების ბრალია. ამ ყველაფრის აღმოფხვრა ურწმუნოების იდეოლოგიურად დამარცხების - სამყაროს შექმნის სასწაულებისა და ყურანის მორალის ხალხში გავრცელებითაა შესაძლებელი. სამყაროს დღევანდელ მდგომარეობას თუ გათვალისწინებთ, კაცობრიობა ძალადობის უფსკურლში მიექანება. ასე რომ, ადამიანების სარწმუნოებასთან დაახლოება უფრო სწრაფად უნდა მოხდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს შეიძლება დაგვიანებული აღმოჩნდეს.

გადამეტებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ჰარუნ იაჰიას ყველა ნაწარმოები სწორედ ამ მიზანს ემსახურება. XXI საუკუნეში მისი წიგნების დახმარებით და უფლის ნებით ადამიანები სამართალს, სულიერ სიმშვიდესა და ბედნიერებას ჰპოვებენ.

ავტორის სხვა ნაწარმოებებია: „ახალი მასონური ორდერი," „იუდაიზმი და მასონიზმი," „გლობალური მასონიზმი," „ისლამი ტერორიზმის წინააღმდეგ," „ტერორიზმი - სატანის რიტუალი," „უბედურება, რომელიც დარვინიზმმა კაცობრიობას მოუტანა," „ჩასაფრებული კომინიზმი," „ფაშიზმი - დარვინიზმის სისხლიანი იდეოლოგია," „იდუმალი ხელი ბოსნიაში," „მსხვერპლთშეწირვის მიღმა," „ტერორიზმის მიღმა," „ისრაელის ქურთული საწყისი," „კომუნისტური ჩინეთისა და თურქმენეთის დიქტატორული პოლიტიკა," „პალესტინა," „გამოსავალი - ყურანის ღირებულებანი," „ისლამის ზამთარი და მისი მოსალოდნელი გაზაფხული," „სტატიები 1-2-3", „სატანის იარაღი - რომანტიზმი", „ნიშნები სურადან - მღვიმე", „განკითხვის დღის ნიშნები", „განკითხვის დღე და მსოფლიოს მხეცი", „ჭეშმარიტება 1-2", „დასავლეთ სამყარო ღვთისკენ ტრიალდება", „ევოლუციის სიცრუე", „ამომწურავი პასუხები ევოლუციონერებს", „ევოლუციონერების უხეში შეცდომები", „ევოლუციონერების მონანიება", „ყურანი დარვინიზმის წინააღმდეგ", „განადგურებული ერები", „შეგნებული ადამიანებისათვის", „შუამავალი მოსე", „შუამავალი იოსები", „შუამავალი მუჰამედი", „შაუამავალი სოლომონი", „ოქროს ხანა", „ალაჰის მრავალფეროვანება", „დიდება ყველგან არის", „სამყაროს შექმნის ფაქტის მნიშვნელობა", „ამქვეყნიური ცხოვრების ჭეშმარიტება", „ურწმუნოების ღამის კოშმარი", „ჭეშმარიტების შეცნობა", „მარადიულობა უკვე დაიწყო", „მარადიულობა და ბედის სინამდვილე", „მატერია - ილუზიის მეორე სახელწოდება", „პატარა ადამიანი კოშკში", „ისლამი და კარმის ფილოსოფია", „დარვინიზმის შავი მაგია", „დარვინიზმის რელიგია", „ევოლუციის თეორიის 20 შეკითხვაში განადგურება", „ალაჰის შეცნობა", „ყურანს მეცნიერებამდე მივყავართ", „სიცოცხლის ნამდვილი საწყისი", „საკანში გამომწყვდეული გონება", „სასწაულების ჯაჭვი", „სამყაროს შექმნა", „ყურანში ნახსენები სასწაულები", „ჩანაფიქრი ბუნებაში", „თავგანწირული და გააზრებული საქციელი ცხოველებში", „დარვინიზმის დასასრული", „ღრმა ფიქრი", „არასოდეს დაიცვა უმეცრება", „მწვანე სასწაული - ფოტოსინთეზი", „სასწაული უჯრედში", „სასწაული თვალში", „სასწაული ობობაში", „სასწაული კოღოში", „სასწაული ჭიანჭველაში", „იმუნური სისტემის სასწაული", „წარმოშობის სასწაული მცენარეებში", „სასწაული ატომში", „სასწაული ფუტკარში", „მარცვლის სასწაული", „ჰორმონის სასწაული", „თერმიტის სასწაული", „ადამიანის ორგანიზმის სასწაული", „ადამიანის შექმნის სასწაული", „პროტეინის სასწაული", „გემოსა და ყნოსვის სასწაული", „დე-ენ-ემის საიდუმლო".

ავტორის საბავშვო წიგნებია: „ალაჰის მიერ სამყაროს შექმნის სასწაულები", „ცხოველთა პლანეტა", „ცების დიდებულება", „დიდებული ქმნილებები", „მოდი, შევისწავლოთ ჩვენი რელიგია", „ჩვენი პატარა მეგობრების სამყარო - ჭიანჭველები", „ფუტკრები, რომლებმაც დიდებული ფიჭა ააგეს", „გუბურების ხელმარჯვე მშენებლები - თახვები".

ავტორს ყურანის სურების შესახებ სხვა ნაწარმოებებიც აქვს: „ყურანის ძირითადი მოსაზრებები", „ყურანის მორალური ღირებულებები", „ოდესმე დაფიქრებულხართ ჭეშმარიტებაზე?" „სარწმუნოებასთან დაშორების უარყოფითი მხარე", „ალაჰის ერთგულნი", „უგუნურთა საზოგადოების მიტოვება", „მორწმუნეთა ნამდვილი სახლი", „სამოთხე", „ყურანის ცოდნა", „ყურანის ნიშანი", „გადასახლება ალაჰის მიზეზით", „ფარისევლის სახე ყურანში", „ფარისევლის საიდუმლოებანი", „ალაჰის სახელები", „ალაჰის სიტყვის გადმოცემა ყურანში", „პასუხები ყურანში", „მკვდრეთით აღდგენა და ჯოჯოხეთი", „შუამავალთა ბრძოლა", „კაცობრიობის მტერი - სატანა", „უდიდესი სისულელე - კერპთაყვანისმცემლობა", „უგუნურთა რელიგია", „სატანის ამპარტავნობა", „მლოცველი ყურანში", „ევოლუციის თეორია", „სინდისის მნიშვნელობა ყურანში", „მკვდრეთით აღდგენის დღე", „არასოდეს დაივიწყო", „უღირსი განსჯა ყურანში", „ადამიანთა სახეები უგუნურთა საზოგადოებაში", „მოთმინების უნარის მნიშვნელობა ყურანში", „ძირითადი ინფორმაცია ყურანიდან", „ჭეშმარიტი რწმენა", „სანამ ინანებ", „ჩვენი შუამავლები ამბობენ", „მორწმუნეთა შეწყალება", „ალაჰის შიში", „იესო დაბრუნდება", „ყურანის მიერ წარმოდგენილი ცხოვრებისეული სილამაზე", „ალაჰის დიდებულების თაიგული", „ბოროტება, სახელწოდებით დაცინვა", „გამოცდის საიდუმლო", „ჭეშმარიტი სიბრძნე ყურანის მიხედვით", „რელიგიისა და ურწმუნოების ბრძოლა", „იოსების სკოლა", „სიკეთის კავშირი", „მუსლიმანებს ისტორიის საშუალებით სწამებენ ცილს", „კეთილი სიტყვის კვალდაკვალ სიარულის მნიშვნელობა", „რატომ ატყუებ საკუთარ თავს?" „ისლამი – სიმშვიდის რელიგია", „ენთუზიაზმი და მღელვარება ყურანში", „ყველაფერში კარგის დანახვა", „როგორ მსჯელობენ უცოდინრები ყურანზე", „ყურანის რამდენიმე საიდუმლო", „მორწმუნეთა გამბედაობა", „იმედი ყურანში", „სამართალი და მოტმინება ყურანში", „ძირითადი პრინციპები ყურანში", „ისინი, ვინც ყურანს არ უგდებენ ყურს", „ყურანი ცხოვრების გზამკვლევია", „ფარული საფრთხე - უყურადღებობა," „გულახდილობა ყურანში".

ყურანის ციტატები ნაწარმოებში მოყვანილია „ყურანი“-დან, თბილისი, ელექტრომბეჭდავი ამხ. „შრომა“, მიხეილის პრ., 65, 1906 წელი

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

წინასიტყვაობა 9

ისლამური მორალი: სიმშვიდისა და
უსაფრთხოების წყარო 15

ომი ყურანში 41

რელიგიას ამოფარებული ტერორისტების
ნამდვილი სახე 59

ისლამის თვალსაზრისი წმინდა
ხალხის შესახებ 83

ისლამმა ახლო აღმოსავლეთს მშვიდობა და
ჰარმონია მოუტანა 105

ტერორიზმის საფუძველი: დარვინიზმი
და მატერიალიზმი 119

დასკვნა: რეკომენდაციები დასავლეთ
სამყაროსა და მუსლიმანებს 137



შეაყვაროს ისინი,
რომელთაც ჰსწამდათ და კეთილს
შვრებოდნენ (ყურანი, 19-ე სურა, 96-ე მუხლი)

წინასიტყვაობა

ჩვენ, მართლმორწმუნეები, უარყოფითად ვაფასებთ 2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკის შეერთებული შტატების ორ მთავარ ქალაქზე განხორციელებულ ტერაქტებს, რომლებმაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და ამერიკელი ერის მიმართ ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ. ამ თავდასხმებმა ტერორიზმის ნამდვილი წყაროს აღმოჩენის პრობლემა მთელი მსოფლიოს დღის წესრიგში დააყენა. მთელი ქვეყნისთვის არის ცნობილი, რომ ისლამი სიმშვიდისა და მოთმინების რელიგიაა, რომელიც ადამიანებს თანაგრძნობისა და სამართლიანობისკენ მოუწოდებს. უამრავი ქვეყნის ლიდერმა, წამყვანმა მედია ორგანიზაციებმა, ტელევიზიებმა და რადიო სადგურებმა განაცხადეს, რომ ისლამი კრძალავს ძალადობას და ადამიანებსა და ერებს შორის მშვიდობას ნერგავს.

ღმერთი ბრძანებს მართლმსაჯულებას და ქველმოქ-
მედებას, გულუხვობას თავის ნათესავთა მიმართ; კრძა-
ლავს სისაძაგლეს, გულმრუდობასა და უსამართლობასა;
გაგაფრთხილებსთ, რათა გულის ხმა ჰყოთ. (16-ე სურა,
92-ე მუხლი)

წინასიტყვაობა

ჩვენ, მართლმორწმუნეები, უარყოფითად ვაფასებთ 2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკის შეერთებული შტატების ორ მთავარ ქალაქზე განხორციელებულ ტერაქტებს, რომლებმაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და ამერიკელი ერის მიმართ ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ. ამ თავდასხმებმა ტერორიზმის ნამდვილი წყაროს აღმოჩენის პრობლემა მთელი მსოფლიოს დღის წესრიგში დააყენა. მთელი ქვეყნისთვის არის ცნობილი, რომ ისლამი სიმშვიდისა და მოთმინების რელიგიაა, რომელიც ადამიანებს თანაგრძნობისა და სამართლიანობისკენ მოუწოდებს. უამრავი ქვეყნის ლიდერმა, წამყვანმა მედია ორგანიზაციებმა, ტელევიზიებმა და რადიო სადგურებმა განაცხადეს, რომ ისლამი კრძალავს ძალადობას და ადამიანებსა და ერებს შორის მშვიდობას ნერგავს.

დასავლეთის წრეების ქვეყნებში ბევრმა ადამიანმა გაითავისა ისლამი და ღმერთის გადმოცემული წიგნი კარგად შეისწავლა. ამ ადამიანებმა იციან, რომ სიტყვების „ისლამი“ და „ტერორი“ ერთად ხსენება შეუძლებელია და არცერთი საღვთო რელიგია არ ქადაგებს ძალადობას.

ეს წიგნი იმ თემას შეეხება, რომ ტერორიზმის წყარო საღვთო რელიგიაში ნამდვილად არ არის და ტერორიზმს ისლამში არაფერი ესაქმება. ეს ნათლად ჩანს ყურანში, ისლამის მთავარ წყაროში და ჭეშმარიტი მუსლიმანების, პირველ რიგში კი, შუამავალ მუჰამედის* ცხოვრებიდან. ეს წიგნი ყურანის მუხლებსა და ისტორიულ ფაქტებზე დაყრდობით, გვიხსნის, რომ ისლამი კრძალავს ტერორიზმს და მსოფლიოში სიმშვიდისა და უსაფრთხოების დამყარებისკენ მოგვიწოდებს.

უკვე მრავალი საუკუნეა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ტერორისტულ აქტებს სხვადასხვა დაჯგუფებები ახორციელებენ. ამ თავდასხმებზე პასუხისმგებლობას ხან კომუნისტური და ფაშისტური ორგანიზაციები, ხან კი რადიკალ-სეპარატისტული დაჯგუფებები იღებენ თავის თავზე. ამერიკის მსგავსი სახელმწიფოები ხშირად ხდებოდნენ რასისტული-ეთნიკური ორგანიზაციების სამიზნე, ევროპის ქვეყნებზე კი ტერორისტული დაჯგუფები ხშირად ახორციელებდნენ ძალადობრივ ქმედებებს. ბერძნული „17 ნოემბერი“, გერმანული „წითელი არმიის ფრაქცია“ და „ნეო-ნაციზმი“, ესპანური „ეტა“, იტალიური „წითელი ბრიგადები“ და მრავალი სხვა ორგანიზაცია ტერორისა და ძალადობის სამყაროში თავის დამკვიდრებას უდანაშაულო და დაუცველი ადამიანების დახოცვით ცდილობს. ცვალებად სამყაროსთან ერთად ტერორიზმის ხასიათიც იცვლება და უახლესი ტექნოლოგიების წყალობით სულ უფრო და უფრო სახიფათო ხდება. ინტერნეტის მსგავსი კომუნიკაციის მასობრივი საშუალებები ტერორისტული აქტივობის სფეროს გაფართოებასა და ტერორიზმის გავლენის გაზრდას უწყობს ხელს.

ტერორისტული დაჯგუფებები დასავლეთის გარდა, ახლო

ვინმეს ტერორისტული აქტის ჩადენის მიზეზი თუ აინტერესებს, ის ანტირელიგიურ იდეოლოგიაში უნდა მოძებნოს. რელიგია სიყვარულს, თანაგრძნობას, პატიების უნარსა და მშვიდობიან თანაცხოვრებას მორალური სტანდარტების მიხედვით ქადაგებს. ტერორიზმი კი ხალხს უხეშობის, ძალადობის, სხვებისთვის ტკივილის მიყენების, სისხლისღვრისა და მკვლელობების ჩადენისკენ მოუწოდებს.

აღმოსავლეთის ტერიტორიაზეც გვხვდება. ამ დაჯგუფებების მიერ ტერორისტული აქტები მსოფლიოს მრავალ კუთხეში ხორციელდება. სამწუხაროდ, ტერორისტული დაჯგუფებების წარმომადგენლები ქრისტიანები, მუსლიმანები ან ებრაელები არიან, ამის გამო ხალხს საღვთო რელიგიებზე მცდარი წარმოდგენა ექმნება. შეიძლება ტერორისტი მუსლიმანი იყოს, მაგრამ მის მიერ ჩადენილ ტერორისტულ აქტს არ შეიძლება „ისლამური ტერორი ეწოდოს“.

იგივე შეიძლება ითქვას ებრაულ ტერორსა და ქრისტიანულ ტერორზე. წიგნის გაცნობისას თქვენ შეიტყობთ, რომ საღვთო რელიგიის სახელით უდანაშაულო ადამიანების მკვლელობა ყოვლად დაუშვებელია. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ნიუ იორკსა და ვაშინგტონში დაღუპულ ხალხს შორის იყვნენ ადამიანები, რომლებსაც უყვარდათ შუამავალი იესო (ქრისტიანები), უყვარდათ შუამავალი მოსე (ებრაელები) და უყვარდათ შუამავალი მუჰამედი (მუსლიმანები). უდანაშაულო ადამიანების კვლა უმძიმესი ცოდვაა და თუ ეს ცოდვა ღმერთმა არ შეგინდო, აუცილებლად ჯოჯოხეთში მოხვდები. ღვთის მოშიში და რელიგიური ადამიანი ასეთ რამეს არასოდეს ჩაიდენს.

აგრესორები ასეთ ძალადობას მხოლოდ რელიგიის შეურაცხყოფის (განადგურების) მიზნით სჩადიან. აშკარაა, რომ ასეთი ძალადობრივი აქტის ჩადენა რელიგიის ბოროტებად წარმოჩინებას, ხალხის რელიგიისთვის ჩამოშორებას და მორწმუნე ადამიანებისადმი სიძულვილის დანერგვას ისახავს მიზნად. აქედან გამომდინარე, ამერიკელ მოქალაქეებსა და სხვა უდანაშაულო ადამიანებზე განხორციელებული ტერაქტი რელიგიაზე განხორციელებული ძალადობრივი აქტია.

რელიგია სიყვარულს, შეწყალებასა და მშვიდობას ქადაგებს. ტერორი კი რელიგიას ეწინააღმდეგება: ის უმოწყალებას, სისხლისღვრასა და ტანჯვა-წამებას ქადაგებს. ასე რომ, ტეორიზმი საღვთო რელიგიისგან კი არა, ურწმუნოებისგან წარმოიშვა. ცხოვრებაზე ფაშისტური, კომუნისტური, რასისტული და მატერიალისტური შეხედულების მქონე ადამიანები პოტენციურ დამნაშავეებად უნდა იქნან მიჩნეულნი. დამნაშავის სახელს, გვარს და წარმომავლობას მნიშვნელობა არა აქვს. თუ მას უდანაშაულო ადამიანის თვალის დაუხამხამებლად მოკვლა შეუძლია, იგი ურწმუნოა. ის მკვლელია, რომელიც ღვთის მოშიში არ არის და მისი მთავარი მიზანი სისხლის ღვრა და სხვა ადამიანის ტკივილის გამოწვევაა. ამიტომ „ისლამური ტერორი“ მცდარი გამონათქვამია, რომელიც ისლამურ მოძღვრებას ეწინააღმდეგება. ისლამი ტერორიზმს ყოველმხრივ კრძალავს. ტერორი (მაგ. უდანაშაულო ადამიანის მკვლელობა) ისლამში უმძიმესი ცოდვაა და ყოველი მუსლიმანი ვალდებულია, ასეთ აქტს ხელი შეუშალოს და მსოფლიოში სიმშვიდე და სამართლიანობა დანერგოს.

შჭამეთ და სვით კეთილი,
რომელსაც ღმერთი გიბოძებსთ და
ძალადობით კი ნუ მოიქცევით ამ ქვეყნად...
(2-ე სურა, 57-ე მუხლი)

ისლამური მორალი: სიმშვიდისა და უსაფრთხოების წყარო

ის, ვინც ამბობს, რომ რაღაც რელიგიის სახელით იქნა ჩადენილი, შეიძლება რელიგიას კარგად არ იცნობდეს და ამან შეცდომაშიც კი შეიყვანოს. ამის გამო, დაუშვებელია რელიგიაზე ამ ადამიანების მაგალითის მიხედვით მსჯელობა. რელიგიის შესაცნობად საუკეთესო გზა მისი წმინდა წყაროს შესწავლაა.

ისლამის ღვთიური წყარო ყურანია, რომელიც მორალის, სიყვარულის, თანაგრძნობის, ჰუმანურობის, მოთმინებისა და სიმშვიდის ცნებებს ეფუძნება. მუსლიმანი, რომელიც ამ ცნებებით ცხოვრობს ძალზე ზრდილობიანი, დაფიქრებული, მოკრძალებული, სამართლიანი, საიმედო და კაცთმოყვარეა. იგი თავის გარშემო სიყვარულს, პატივისცემას, ჰარმონიასა და ცხოვრების სიხარულს თესავს.

ისლამი მშვიდობის რელიგიაა

ტერორი არასამხედრო სამიზნეების წინააღმდეგ განხორციელებული პოლიტიკური მიზნების მქონე ძალადობრივი აქტია. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ტერორის სამიზნეები ის ადამიანები არიან, რომელთა ერთადერთი დანაშაულის ის არის, რომ ისინი ე.წ. „მეორე მხარეს“ წარმოადგენენ. ასე რომ, ტერორი უდანაშაულო ხალხზე ძალადობის გამოყენებაა, რასაც მორალური თვალსაზრისით არანაირი გამართლება არა აქვს. ეს, ისევე როგორც ჰიტლერისა და სტალინის მიერ განხორციელებული მკვლელობები, კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულია.

ტერორიზმის მიზანი მსოფლიოში ძალადობის, კონფლიქტების, ქაოსისა და შიშიდ დანერგვაა.

ისლამურ საზოგადოებაში, რომელშიც მორალური ღირებულებები მართლაც ფასობს, სიმშვიდე, შეწყალება, სიყვარული, თანაგრძნობა, ურთიერთთანადგომა და სიხარული სუფევს.

ყურანი ის წიგნია, რომლის საშუალებითაც ადამიანი სწორ გზას ადგება და ღმერთი მას ამ წიგნის საშუალებით ზნეობრივ მორალს შთაუნერგავს. ეს მორალი ისეთ ცნებებს ეფუძნება, როგორებიცაა – სიყვარული, თანაგრძნობა, მოთმინება და გულმოწყალებაა. სიტყვა „ისლამი“ არაბულად „მშვიდობას“ ნიშნავს. ისლამური რელიგია კაცობრიობას იმ მიზნით მოევლინა, რომ სამყაროში მშვიდობიანი თანაცხოვრება დამყარებულიყო და ხალხს ღვთის შეწყალება და მფარველობა არ მოჰკლებოდა. ღმერთი ადამიანებს ისლამური მორალის შესისხლხორცებისკენ იმიტომ მოუწოდებს, რომ სიყვარულმა, თანაგრძნობამ, გულმოწყალებამ და მოთმინებამ მთელ მსოფლიოში დაისადგუროს. ღმერთი ყურანის მეორე სურას 204-ე მუხლში ხალხს მოუწოდებს:

„მორწმუნენო! ყველანი ჭეშმარიტ სარწმუნოებას დაადექით; სატანას კვალზე არ იაროთ; თქვენი ცხადი მტერია.“

ეს მუხლი ცხადჰყოფს, რომ სულიერი სიმშვიდის მიღწევა მხოლოდ ისლამის შეცნობით, ანუ ყურანის ღირებულებების გათავისებითაა შესაძლებელი. ყურანი მუსლიმანებს მოუწოდებს, სამართლიანად და თბილად მოექცეს ყველა მუსლიმანს თუ არამუსლიმანს, დაიცვას გაჭირვებულნი

და დაუცველნი, ხოლო უწესოებას კი წინ აღუდგეს. ბოროტებაში იგულისხმება ის ანარქია და ტერორი, რომელიც ქვეყნად სიმშვიდისა და კეთილდღეობის დამყარებას უშლის ხელს. როგორც ღმერთი ამბობს: „ღმერთს უწესოება როდი უყვარს.“ (2-ე სურა, 201-ე მუხლი)

ადამიანის უმიზეზოდ მოკვლა უწესოების ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მაგალითია. ღმერთი ყურანში იმას იმეორებს, რაც ოდესღაც ებრაელებს გადასცა ძველი აღთქმის საშუალებით:

„...ვინც მოჰკლას კაცი, კაცი რო არ მოეკლას და ქვეყანაზე ურიგობა რამ არ დაეთესოს, მიჩნეულ იქმნეს, როგორც კაცთა ნათესავის მკვლელი; ხოლო ვინც კაცს სიცოცხლე დაუბრუნოს, მიჩნეულ იქმნეს ისე, თითქოს მრთლად კაცთა ნათესავისათვის სიცოცხლე დაებრუნებინოს.“ (5-ე სურა, 35-ე მუხლი)

ეს ციტატა გვეუბნება, რომ მკვლელი ერთ კაცს მაინც თუ მოკლავს, ეს იგივეა, რომ ამქვეყნად ყველა გამოასალმოს სიცოცხლეს. მკვლელობა იმ შემთხვევაშია საპატიებელი, თუ ის თავდაცვის მიზნით ან იმის გამო მოხდა, რომ მოკლული ბოროტ საქმიანობას ეწეოდა.

აშკარაა, რომ მკვლელობა, ხოცვა-ჟლეტა და სიცოცხლის ხელყოფის მიზნით განხორციელებული თავდასხმა უდიდესი ცოდვებია. ღმერთი შემდეგ ციტატაში მოგვითხრობს, თუ რა უბედურება მოაქვს

მეხუთე სურის 32-ე მუხლში, ღმერთი ამბობს, რომ მკვლელი ერთ კაცს მაინც თუ მოკლავს, ეს იგივეა, რომ ამქვეყნად ყველა გამოასალმოს სიცოცხლეს. ცნება მკვლელობა სასტიკად ეწინააღმდეგება ყურანის მორალს.

ტერორისტულ აქტებს. ამ ყველაფერს კი უამრავი ადამიანის სიცოცხლე ეწირება. ის, ვინც ხალხს უმოწყალოდ ექცევა, ღვთის შიში არა აქვს. მათთვის რელიგია და მორალი სრულიად უცხოა.

ისეთი ფარისევლების არსებობა, რომლებიც ღვთისა და რელიგიის სახელით მოქმედებენ, სინამდვილეში კი ღმერთის მიერ აკრძალულ ბოროტებას სჩადიან, ყურანშიც არის ნახსენები. ერთ-ერთ სურაში საუბარია ცხრა კაცისგან შემდგარ დაჯგუფებაზე. ეს ბოროტმოქმედები ღვთის სახელით შუამავალი მუჰამედის მოკვლას გეგმავდნენ:

„ქალაქში იყო ცხრა კაცი, რომელნიც ნამეტანობას ჰსჩადიოდენ ქვეყანაში და კეთილს საქმეს არაფერს შვრებოდენ. ერთმანერთში ლაპარაკობდნენ: შევეკრათ ერთმანერთს ღვთის წინაშე ფიცითა, მოვკლათ ღამით სალეჰ და მისი სახლობა; მაშინ უთხრათ ჩვენ მისის სისხლის შურის მეძიებელსა: არ დავჰსწრებივართ მისი სახლობის ამოწყვეტასა, სიმართლეს ვამბობთ. საქმეში გამოიყენეს თავიანთი ხერხი. ჩვენც აგრეთვე ჩვენი გამოვიყენეთ საქმეში, როცა არც კი იჭვნეულობდენ. (27-ე თავი, 49-51-ე მუხლები)

ყურანში ნახსენები ეს ინციდენტი ცხადჰყოფს, რომ იმ ადამიანების საქციელს, რომლებიც ღვთის სახელით მოქმედებენ, ალაჰის სახელს იფიცებენ და რელიგიას თავიანთი თავის წარმოსაჩენად იყენებენ, ჭეშმარიტ რელიგიასთან საერთო არაფერი აქვს. პირიქით, ისინი ღმერთის ნებისა და რელიგიის მორალის წინააღმდეგ მიდიან. სიმართლის დადგენა მათი საქციელით შეიძლება. თუ ისინი კეთილი საქმის ნაცვლად რაიმე ცუდს სჩადიან, ესე იგი, ეს ადამიანები რელიგიურნი არ არიან და არც მათი მიზანი წარმოადგენს რელიგიისთვის მსახურებას.

ადამიანი, რომელსაც ღვთის ეშინია და ისლამის მორალი შესისხლხორცებული აქვს, ძალადობას და ბოროტებას არ მიემხრობა და არც ტერორისტულ აქტს ჩაიდენს. სწორედ ამიტომ დაგვეხმარება ისლამი ტერორიზმის ძლევაში. როდესაც ადამიანი ყურანის მორალს შეიცნობს, მისთვის შეუძლებელი იქნება ისეთ ჯგუფებთან გაერთიანება, რომლებიც ყველგან სიძულვილს, ომსა და ქაოსს თესავენ. ეს იმიტომ, რომ ღმერთი კრძალავს ბოროტებას:

„მოგშორდეს თუ არა, ქვეყანა გაიაროს, უწესოება განავრცელოს იქ, სოფლები და ცხოველები გაჭირვებაში ჩაჰყაროს. ღმერთს უწესოება როდი უყვარს. ხოლო თუ უთხრეს, ღვთის გეშინოდესო, ცოდვის სიქადული ეუფლოს; მაგრამ ჯანაბაც ეყოს მას ერთ დღეს, რა საშინელი ადგილია განსვენებისა! (2-ე სურა, 201-202-ე მუხლები)

ამ მუხლებიდან ჩანს, რომ ღვთის მოშიში ადამიანი არასოდეს დახუჭავს თვალს ისეთ ქმედებაზე, რომელიც კაციობრიობას რამეს ავნებს.

მორწმუნეთა პასუხისმგებლობა

ისეთ ადამიანებს, რომლებიც უბედურებას მხოლოდ მაშინ განიცდიან, როდესაც ის უშუალოდ მათ შეეხებად, არ ესმით რა არის კეთილგანწყობა, ძმობა, მეგობრობა, პატიოსნება და ის მოვალეობები, რასაც რელიგია აკისრებს კაცობრიობას. ასეთი ადამიანები მთელი ცხოვრების მანძილზე ცდილობენ თავიანთი სურვილების დაკმაყოფილებას და სრულებითაც ვერ აცნობიერებენ, რა საშიშროების წინაშე დგას კაცობრიობა. ყურანში ღმერთი აქებს იმ ადამიანებს, რომლებიც ცდილობენ, გარშემომყოფებს სიკეთე გაუკეთონ. იმ ადამიანებს, რომლებსაც ადარდებთ მსოფლიოში მომხდარი მოვლენები და რომლებიც ხალხის სწორ გზაზე დაყენებას ცდილობენ. ყურანში გადატანით არის ლაპარაკი ადამიანებზე, რომლებიც სიკეთეს არ სთესავენ და ადამიანებზე, რომლებიც მხოლოდ სიკეთის გზას ადგანან:

„ღმერთი შედარების საგნად წინადაგიდებსთ კიდევ ორ კაცსა, მათგან ერთია დაბადებითგან მუნჯი, რომელსაც არაფერი ეყურება და რომელიც ტვირთად აწევს მის ბატონსა; სადაც არ უნდა გაგზავნოს, ვერაფერი კარგი ვერ მოუტანოს: ასეთ კაცსა განა შეუძლია თანასწორად სიარული იმ კაცთან ერთად, რომელიც სრულის სიმართლით გამრიგეობს და დაიარება ჭეშმარიტის გზით?“ (16-ე სურა, 78-ე მუხლი)

ამ ციტატიდან ნათლად ჩანს, რომ ჭეშმარიტ გზას ის ადამიანი ადგას, რომელიც მორწმუნეა, ღვთის ეშინია, სულიერებას უფრთხილდება და გულით სწადია სხვების დახმარება. მოკლედ რომ ვთქვათ, ჭეშმარიტ გზას ის ადამიანები ადგანან, რომლებიც კაცობრიობისთვის სიკეთის მოტანას ცდილობენ. ამის გამო, ადამიანები აუცილებლად უნდა ეზიარონ ჭეშმარიტ რელიგიას და ყურანის – ღვთის მიერ გადმოცემული უკანასკნელი წიგნის მორალს უნდა მისდიონ. ყურანში ღმერთი ცალკე გამოყოფს ასეთი მაღალი მორალის მქონე ადამიანებს:

„შეეწიოს მათ, რომელნიც ამ ქვეყნის ბატონები ლოცვას ნამდვილად დაიცვენ, სამოწყალოს გაიღებენ, კეთილს ამცნებენ და ბოროტს აკრძალავენ. ღმერთს ეკუთვნის უკანასკნელი გამოსავალი ყველაფრისა.“ (22-ე სურა, 42-ე მუხლი)

დაუშავებს. ის, ვისაც ღვთის და იმქვეყნიური ცხოვრების არ სწამს, ბოროტებას ადვილად ჩაიდენს, რადგანაც ჰგონია, რომ პასუხი არავის წინაშე არ მოეთხოვება.

დღესდღეობით მსოფლიოში არსებული ტერორიზმის დასამარცხებლად და რელიგიის სახელით მოქმედი შავ-ბნელი დაჯგუფებების მოსაშთობად ხალხში ჭეშმარიტი რელიგია, ყურანის მორალი და ღვთის შიში უნდა დაინერგოს.

ღმერთი სიკეთის თესვისკენ მოგვიწოდებს

ჭეშმარიტი მუსლიმანი ის არის, ვინც ღვთის ნებას ემორჩილება, ყურანის მორალს მისდევს და ჰარმონიასა და სიმშვიდეში ცხოვრობს. ეს ყველაფერი კი მსოფლიოს უფრო მშვენიერს ხდის.

ადამიანებმა, რომლებიც მშვიდობიან მოსახლეობას, განსაკუთრებით კი, ბავშვებს უქმნიან საფრთხეს, თავიანთ თავს უნდა ჰკითხონ: რა ბრალი მიუძღვით ამ ბავშვებს? უდანაშაულო ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის გამო ღმერთის წინაშე პასუხი არ მოგვეთხოვება?

მისი მიზანი ხალხისთვის კეთილდღეობისა და სიმშვიდის მოტანაა. ყურანში ნათქვამია.

„... ქველმოქმედ ექმენ სხვებს, როგორათაც ღმერთი შენ გექმნა; უფრთხილდი ნამეტანობის ქმნასა ქვეყანაზე, ვინაიდან ღმერთს არ უყვარს ნამეტანობის ჩამდენები.“ (28-ე სურა, 77-ე მხული)

ის, ვინც ისლამს ეზიარება, შემდეგ ღვთის თანაგრძნობისა და კეთილგანწყობის მოპოვებისკენ მიილტვის. ამქვეყნად არსებობის განმავლობაში იგი ყოველმხრივ უნდა ეცადოს ღვთისთვის მისაღები მორალით ცხოვრებას. ამ მორალის მთავარი ცნებებია: თანაგრძნობა, შეცოდება, სამართლიანობა, პატიოსნება, ადამიანურობა, მსხვერპლის გაღება, მიტევებისა და მოთმინების უნარი. მორწმუნე ადამიანებს თბილად უნდა მოექცეს, მხოლოდ კარგი საქმე აკეთოს და სიკეთე გაავრცელოს. ღმერთი ყურანში ამბობს:

„ჩვენ გავაჩინეთ ცანი და ქვეყანა და ყველაფერი, რაცაა მათ შორის, ჭეშმარიტებისათვის, და არა ამაოდ. ჟამი მოვიდეს. მიუტევე სრულის მიტევებითა.“ (15-ე სურა, 85-ე მუხლი)

„...უყავით სიკეთე თქვენს დედ-მამასა, თქვენს ნათესავებსა, ობლებსა, ღარიბებსა, საპატრონოებსა, თქვენთან რომ შეერთებულ არიან ნათესაობითა და უცხო საპატრონოებსაც, თქვენს ამხანაგებსა, მგზავრებსა და თქვენს მონებსა. ღმერთს თავმომწონე და მედიდური ადამიანი არ უყვარს.“ (4-ე სურა, 40-ე მუხლი) „...უმჯობესია, კეთილი და სათნო რამ ერთმანეთის დახმარებითა ჰქმნათ, მაგრამ ბოროტსა და უსამართლობაში ერთმანეთს კი არ დაეხმაროთ და ღვთისაც გეშინოდესთ, ვინაიდან მისნი სასჯელნი საზარელ არიან.“ (5-ე სურა, 3-ე მუხლი)

ისლამური მორალი ადამიანებს სიყვარულის, თანაგრძნობის, ერთმანეთის მხარდაჭერის, თავდადების, მოთმინებისა და ერთმანეთის პატიებისკენ მოუწოდებს. საზოგადოებაში, სადაც ამ მორალს ღრმად აქვს ფესვები გამდგარი, ძალადობასა და კონფლიქტს არაფერი ესაქმება.

ამ ციტატებიდან ნათლად ჩანს, რომ ღმერთი მორწმუნეებს ერთმანეთის დახმარებისკენ, სიკეთის თესვისკენ და ბოროტებისთვის თავის არიდებისკენ მოუწოდებს. 6-ე სურის 161-ე მუხლში ღმერთი ამბობს: „ვინც კეთილი საქმე ჩაიდინოს, სამაგიერო ათეულად მიიღოს; ვისაც უკეთური რამ საქმე ჩაუდენია, სასყიდელი შეფარდებით მიიღოს. შეწუხებულ არ იქმნენ.“

ყურანში ღმერთი თავის თავს „ადამიანთა საიდუმლოებების მცოდნეს“ უწოდებს და ხალხს აფრთხილებს, რომ „ბოროტებას თავი არიდონ“. “ადამიანმა, რომელმაც თავი ღმერთს მიუძღვნა,“ ანუ ჭეშმარიტმა მუსლიმანმა ყველაფერი უნდა გააკეთოს ტერორიზმის დასამარცხებლად.

მუსლიმანი უყურადღებოდ არ უნდა მოეკიდოს მის გარშემო მოვლენებს და სხვისი გაჭირვება ყოველთვის გულთან ახლოს უნდა მიიტანოს. მან ხომ თავი ღმერთს მიუძღვნა. მუსლიმანი ღმერთის წარმომადგენელი და სიკეთის ელჩია. ტერორიზმისა და სისასტიკის მიმართ ინდიფერენტული არ უნდა იყოს. ჭეშმარიტი მუსლიმანი ყოველთვის წინ უნდა აღუდგეს ტერორიზმს. ისლამი ტერორიზმის ყველა ფორმის წინააღმდეგია და მის აღმოფხვრას საძირკველშივე, ანუ იდეის დონეზეც ცდილობს. ჭეშმარიტი რელიგია ხალხს სამართლიანობისკენ მოუწოდებს და ყოველგვარი ბოროტების ჩადენას უკრძალავს.

ღმერთი გვიბრძანებს, ვიყოთ სამართლიანი

ყურანის მორალის მიხედვით ადამიანი სამართლიანი უნდა იყოს, ხალხი არ შეავიწროვოს, დაიცვას მათი უფლებები, ნებისმიერ შემთხვევაში შეეწინააღმდეგოს ძალადობას, დაიფაროს დაჩაგრულები და დაეხმაროს გაჭირვებულებს. სამართლიანმა ადამიანმა სხვების აზრის გათვალისწინებით უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, არ უნდა იყოს მიკერძოებული, ობიექტურობა, პატიოსნება, ტოლერანტობა, შემწყნარებლობა და თანაგრძნობა ყოველთვის უნდა გამოიჩინოს. ადამიანს, რომელსაც მოვლენების საღად შეფასება არ შეუძლია, ყოველთვის ემოციებისა და გრძნობების ზეგავლენის ქვეშ ექცევა და შესაბამისად სწორი გადაწყვეტილების მიღებაც უჭირს. ის, ვისაც სამართლიანად მოქმედება სურს, თავისი პირადი გრძნობები და შეხედულებები უკან უნდა მოიტოვოს. როდესაც მას ვინმე დახმარებას სთხოვს, შეძლებისდაგვარად უნდა დაეხმაროს, ოღონდ პატიოსნებისა და ჭეშმარიტების გზას არ უნდა გადაუხვიოს. ადამიანი ყურანის მორალს ყოველმხრივ თუ გაითავისებს, სამართლიანობას იმ შეთხვევაშიც დაიცავს, თუ თავისი პირადი ინტერესების წინააღმდეგაც მოუწევს წასვლა.

ღმერთი ყურანის ერთ-ერთ სურაში ამბობს: „თუ განსჯი, სამართლიანად განსაჯე“. ღმერთი ყურანში იმასაც ამბობს, რომ ადამიანს საკუთარი თავის წინააღმდეგაც რომ მოუწიოს წასვლა. გაჭირვებაში მყოფს მაშინაც კი უნდა დაეხმაროს.

„მორწმუნენო! მართლმსაჯულების მკაცრად დამცველ იყავთ, როცა წინაშე ღვთისა მოწმობდეთ, თუნდაც მოწმობდეთ თქვენის თავის წინააღმდეგ, თქვენის ნათესავების წინააღმდეგ, თქვენის მახლობლების წინააღმდეგ, მდიდრისა, თუ ღარიბის პირდაპირ. ღმერთი უფრო ახლოა, ვიდრე თქვენ, მდიდარსა და ღარიბზე. თქვენს გულის თქმას ნუ აჰყვებით, შიშით არ გადაუხვიოთ. თუ მოწმობის უარი ჰსთქვათ, თუ დაიშალეთ, იცოდეთ, ღმერთი მცოდნეა მის, რასაცა იქმთ.“ (4-სურა, 134-ე მუხლი)

ყურანში ღმერთი დაწვრილებით განმარტავს, რას ნიშნავს სამართლიანობა და მორწმუნეებს ასწავლის, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ისინი რთულ სიტუაციებში, რათა სამართლიანობის გზას არ გადაუხვიონ. ასეთი სახელმძღვანელო მორწმუნეებს უზომოდ ეხმარება და მართლაც ღვთის წყალობაა. ასე რომ, ადამიანი, რომელიც ყოველთვის სამართლიანი იქნება ღვთის წყალობასაც დაიმსახურებს და ყოველთვის ბედნიერებასა და სიმშვიდეში იცხოვრებს.

ყურანში ღმერთი გვეუბნება, რომ ადამიანი ყველას სამართლიანად უნდა მოექცეს, განურჩევლად ენისა, წარმოშობისა და ეთნიკური მდგომარეობისა. სამართლიანობა ყოველთვის და ყველგან უნდა არსებობდეს. სამწუხაროდ, დღესდღეობით ბევრ ადამიანს ექცევიან უსამართლოდ მისი კანის ფერის ან წარმომავლობის გამო.

ყურანში ღმერთს ნათქვამი აქვს, რომ განსხვავებული ხალხი იმიტომ შექმნა, რათა მათ ერთმანეთის გაცნობის საშუალება ჰქონოდათ. ღვთის მსახურმა სხვადასხვა ეროვნების ადამიანებმა ერთმანეთის კულტურა, ენა, ტრადიციები და შესაძლებლობები უნდა შეისწავლონ. სხვადასხვა ხალხებისა და ერების შექმნის მიზანი მდიდარი და სავსე კულტურის ჩამოყალიბებაა. მრავალფეროვნება ღვთის ნაბოძები საჩუქარია. ზოგი ადამიანი მაღალია, ზოგიც თეთრკანიანი ან ყვითელკანიანია, მაგრამ ამის გამო მას არც სირცხვილის გრძნობა უნდა გაუჩნდეს და არც უნდა ეგონოს, რომ ამით ვინმეს სჯობია. ერთმანეთისგან განსხვავებული ადამიანები ღმერთმა განზრახ შექმნა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამით ალაჰმა მათ რაიმე უპირატესობა მიანიჭა. მორწმუნემ იცის, რომ იგი მხოლოდ მაშინ ხდება განსაკუთრებული, როცა ღვთის შიში აქვს და მისი ჭეშმარიტად სწამს. ამ თემაზე ყურანშიც არის საუბარი:

„ხალხნო! ერთის კაცისა და ქალისაგან გაგვიჩენიხართ; ოჯახებად და



ტომებად დაგვინაწილებიხართ, რათა ერთმანეთის ცნობა გქონოდათ. ღვთისა წინაშე ყოვლად ღირსი თქვენ შორის იგია, რომელსაც ყველაზედ უფრო ეშინია მისი. დიახ, ღმერთი მეცნიერ და ყველაფრის მცოდნეა“ (49-ე სურა, 13-ე მუხლი).

ამ სიტყვებით ღმერთი გვეუბნება, რომ სამართალი თანასწორუფ-ლებიანობას, ტოლერანტობასა და მშვიდობიან თანაცხოვრებას გულის-ხმობს თავის თავში.

ხალხში დამკვიდრებულმა სიძულვილმა მორწმუნეებს სიმართლის გამოვლენაში ხელი არ უნდა შეუშალოს

სიძულვილი და ბრაზი – ბოროტების ორი მთავარი წყარო – შეიძლება ადამიანს სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებაში, საღ აზროვნებასა და გონივრულ ქცევაში უშლიდეს ხელს. ადამიანებს სხვისი ცილისწამება ადვილად შეუძლიათ. ერთმა პიროვნებამ მეორე შეიძლება უსაფუძვლოდ დაადანაშაულოს რაიმე ქმედებაში, ხელაღებით დასდოს ბრალი, მიუხედავად იმისა, რომ მის უდანაშაულებაში დარწმუნებული იქნება. ასეთმა შემთხვევებმა შეიძლება უდანაშაულო ხალხის შევიწროება გამოიწვიოს. ნაწილი ხალხისა თავს არიდებს ადამიანების დაცვას, არ გათქვამენ იმ ფაქტებს, რომლებიც მათ უდანაშაულობას დაამტკიცებს, თუმცაღა იციან, რომ მათ ბრალი არაფერში მიუძღვით. გარდა ამისა, მათ სიამოვნებას ჰგვრით ამ ხალხის უბედურება, უსამართლობასთან ჭიდილი და უდიდესი ტანჯვა. საბედნიეროდ არსებობენ ისეთი ადამიანებიც, რომელთა მთავარ საზრუნავს სიმართლის გამოვლენა და ხალხის უდანაშაულობის დამტკიცება წარმოადგენს.

ყოველივე ამის გამო, ადამიანები საზოგადოებას არ ენდობიან. ეშინიათ, რომ მსხვერპლის როლში ისინი აღმოჩნდებიან. სამწუხაროდ, პიროვნება საზოგადოების მიმართ ნდობის დაკარგვასთან ერთად კარგავს ისეთ ადამიანურ გრძნობებს, როგორებიცაა ტოლერანტობა, მეგობრობა, თანაგრძნობა და მხოლოდ სიძულვილის ამარა რჩება.

რასაც არ უნდა განიცდიდეს ნამდვილი მორწმუნე ადამიანის ან მთლიანი საზოგადოების მიმართ, ამან მის გადაწყვეტილებაზე გავლენა არ უნდა იქონიოს. მნიშვნელობა არა აქვს, რამდენად ამორალურად ან უზნეოდ არის მიჩნეული კონკრეტული ადამიანი, მორწმუნემ იგი მაინც სამართლიანად უნდა გასნაჯოს და სხვებსაც ამისკენ უნდა მოუწოდოს. ემოციები და გრძნობები მორწმუნეს საღად აზროვნების უნარს არ უკარგავს. ჭეშმარიტი მორწმუნე ყოველთვის ემორჩილება ღვთის ნებას და ყურანში გადმოცემულ ცნებებს არასოდეს არღვევს. აი, რას ამბობს ღმერთი ყურანის ერთ-ერთ სურაში:

„თქვენ, რომელთაცა გსწამთ! მტკიცე და სამართლიანი მოწმე იყვენით წინაშე ღვთისა; მძულვარებამ არ დაგითრიოსთ, რათა პირდაპირ გზას დაგაშოროსთ. სამართლიან იყვენით; სამართლიანობა ახლოს დგას ღვთისნიერებასთან. ღვთის გეშინოდესთ, რადგანაც თქვენი მოქმედება უწყის.“ (5-ე სურა, 11-ე მუხლი)

ეს ციტატა ცხადჰყოფს, რომ ადამიანი თუ სამართლიანად იქცევა, ესე იგი, ღვთის შიშიც აქვს. მორწმუნე ადამიანმა იცის, რომ ღვთის წყალობას იგი მხოლოდ მაშინ დაიმსახურებს, როცა სამართლიანად მოიქცევა. როდესაც ადამიანი კეთილსინდისიერად იქცევა, მისი ქმდება შეუმჩნეველი არ რჩება, საზოგადოებას მის მიმართ ნდობა გაუჩნდება და ყველაზე საპასუხისმგებლო საკითხის გადასაწყვეტად მას მიმართავენ. ასეთ ადამიანებს მტრებიც კი პატივს სცემენ. მათმა საქციელმა შეიძლება სხვებიც კი დააყენოს ღვთის ჭეშმარიტ გზაზე.

ისლამი იცავს ფიქრის თავისუფლებას

ისლამი ის რელიგიაა, რომელიც იდეების, ფიქრებისა და სიცოცხლის თავისუფლებას უზრუნველყოფს. ჭეშმარიტი რელიგია კრძალავს კონფლიქტს, ჩხუბს, ცილისწამებას და უარყოფით დამოკიდებულებას ადამიანთა შორის. ამავე დროს მტკიცედ ეწინააღმდეგება ტერორისტულ და ძალადობრივ აქტებს. ისლამი ადამიანზე მცირეოდენ იდეოლოგიურ ზეწოლასაც კი უარყოფს.

„ძალდატანება სარწმუნოებაში ნუ იქნება გზა სიმართლისა საკმაოდ შეცდომაში.“ (2-ე სურა, 257-ე მუხლი)

„კაცი გააფრთხილე, ვინათგან მხოლოდ შენ ხარ გამაფრთხილებელი. ხელშეუვალი უფლება მათზედ არა გაქვს.“ (88-სურა, 21-22-ე მუხლები)

ადამიანისთვის რელიგიის თავს მოხვევა და ამ რწმენის დეტალების იძულებით გათავისება სრულიად ეწინააღმდეგება ისლამის არსს. ისლამის მიხედვით რწმენა მხოლოდ მაშინ არის ჭეშმარიტი, როცა ის

ყურანში ღმერთი მუსლიმანებს მოუწოდებს, რომ მათ ნებიერმიერი ადამიანის მიმართ, იქნება ის ებრაელი, ქრისტიანი, ბუდისტი თუ ინდუიზმის მიმდევარი, ტოლერანტობა, შემწყნარებლობა, ადამიანურობა და სამართლიანობა გამოიჩინონ.

საკუთარი სურვილითა და სულიერი მოთხოვნის შედეგად მოდის. რა თქმა უნდა, მუსლიმანებს შეუძლიათ ყურანის მორალზე სხვა ადამიანებთან საუბარი და მათთვის რჩევის მიცემა. მორწმუნე ვალდებულია, ისლამის მორალი ხალხს მშვიდად და ყოველგვარი დაძალების გარეშე გადასცეს. ამ ყველაფრის შესახებ ყურანშიც არის საუბარი: „ღვთის გზად მოუწოდე ხალხსა სიბრძნითა და ტკბილის დარიგებითა“ (16-ე სურა, 126-ე მუხლი). მორწმუნეებმა შემდეგი ფრაზაც უნდა გაითავისონ: „დავალებულ როდი ხარ, ურჯულოებს წარუმართო. ღმერთი წარუმართებს მათ, ვისაც ინებებს“ (2-ე სურა, 274-ე მუხლი).

მორწმუნეები არასოდეს მიმართავენ ძალადობას, ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზეწოლას. ადამიანის თავიანთ რჯულზე მოსაქცევად არც ამქვეყნიურ პრივილეგიას გამოიყენებენ. როდესაც მორწმუნეს მიმართ ვინმე უარყოფითად განეწყობა, მან მოქიშპეს უნდა განუცხადოს: „თქვენა გაქვსთ თქვენი სარწმუნოება, ხოლო მე ჩემი“ (109-ე თავი, 6-ე მუხლი).

ჩვენს სამყაროში სხვადასხვა სარწმუნოების ხალხი ცხოვრობს – ქრისტიანები, ებრაელები, ბუდისტები, ინდუიზმის მიმდევრები, ათეისტები, დეისტები და ურწმუნოები. ასეთ სამყაროში მცხოვრებმა მუსლიმანებმა სხვა რელიგიის წარმოამდგენლების მიმართ ტოლერანტობა უნდა გამოიჩინონ და მათ სამართლიანად და ჰუმანურად უნდა მოექცნენ. მორწმუნეებს ეს პასუხისმგებლობა იმიტომ აკისრიათ, რომ ადამიანები ჭეშმარიტი რელიგიისკენ მიმავალ გზაზე მშვიდობიანად, ყოველგვარი ექსცესების გარეშე დააყენონ. შემდეგ უკვე ადამიანი თავად

გადაწყვიტავს, გაჰყვება თუ არა ამ ჭეშმარიტ გზას. ადამიანისთვის რამის დაძალება და ჭეშმარიტ რელიგიაზე მისი იძულებით მოქცევა ძალადობრივი აქტია და ყურანის მორალს ეწინააღმდეგება. ამის შესახებ ღმერთი მორწმუნეებს ყურანშიც აფრთხილებს:

„ღმერთს რომ ენებებინა, ყოველი ქვეყნიერი ადამიანი იწამებდა. გწადია, ერი აიძულო მორწმუნედ გახდომას?“ (10-ე სურა, 99-ე მუხლი)

„ჩვენ უწყით უკეთ, რასაც (ურჯულონი) ამბობენ, შენ კი ძალას ვერ დაატან მათ. ყურანით გააფრთხილე იგინი, რომელთაც ჩვენის მუქარის ეშინიათ.“ (50-ე სურა, 44-45-ე მუხლები)

საზოგადოების ის მოდელი, სადაც ხალხს აიძულებენ ღვთისმსახურებას, სრულიად ეწინააღმდეგება ისლამს. რწმენასა და ღვთისმსახურებას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როცა ის ადამიანის სულიერი მოთხოვნილებიდან მოდის. ხოლო როცა რაღაც სისტემა რწმენასა და ღვთისმოსავობას იძულების წესით ნერგავს საზოგადოებაში, ადამიანი მხოლოდ ამ სისტემის შიშით მიიღებს ამ რმწენას. რელიგიის თვალსაზრისით, ჭეშმარიტი მორწმუნე მხოლოდ ის არის, ვინც საწრმუნოებას მხოლოდ საკუთარი ნება-სურვილით და ღვთის სიყვარულის გამო მიიღებს.

ისტორიას კარგად ახსოვს ის მუსლიმანი მმართველები, რომლებიც ყველა საწმუნოებას პატივს სცემდნენ და ყოველმხრივ თავისუფალი საზოგადოების მშენებლობაში თავად იღებდნენ მონაწილეობას. ასეთი ადამიანი გახლდათ თომას არნოლდი, ბრიტანელი მისიონერი, რომელიც ინდოეთის მთავრობაში მსახურობდა. იგი ისლამის მიერ ადამიანისთვის მინიჭებულ თავისუფლებას შემდეგი სიტყვებით აღწერდა:

თუმცა არამუსლიმანი მოსახლეობისთვის ისლამის იძულებით

ებრაელებმა, რომლებმაც უარი თქვეს რჯულის შეცვლაზე 1492 წელს გაძევებულნი იქნენ ესპანეთიდან მეფე ფერდინადისა და დედოფალ იზაბელას მიერ. ისინი ოტომანების იმპერიაში შეიფარეს. ამ იმპერიაში ისლამური სამართლიანობა იყო გამეფებული.

მიღების მცდელობის შემთხვევა დღემდე არ დაფიქსირებულა. მიუხედავად იმისა, რომ ხალიფებსაც შეეძლოთ ქრისტიანების შევიწროება, როგორც ფერდინანდი და იზაბელა ავიწროვებდნენ მუსლიმანებს ესპანეთში. მათ აგრეთვე შეეძლოთ ლუი XIV-თვის მიებაძათ, რომელმაც პროტესტანტიზმი საფრანგეთის სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა და ისლამი სახელმწიფო რელიგიად ელიარებინათ. შეეძლოთ სხვა რელიგიის წარმომადგენლები განედევნათ თავიანთი ქვეყნიდან, როგორც ებრაელებს დევნიდნენ ინგლისიდან 350 წლის განმავლობაში. აღმოსავლეთ აზიაში არსებული ქრისტიანული ეკლესიების შევიწროვება აზრადაც არავის გაუვლია. ეს ეკლესიები დღემდე არსებობს, რაც იმას ამტკიცებს, რომ მუსლიმანური რელიგია ყოველთვის გამოირჩეოდა ტოლერანტობით და სხვა მრწამსის წარმომადგენლებს არასოდეს ავიწროვებდა.[1]

ღმერთი კრძალავს უდანაშაულო ადამიანების ხოცვას

უდანაშაულო ადამიანების კვლა უდიდესი ცოდვაა და მასზე ყურანშიც არის საუბარი:

„...ვინც მოჰკლას კაცი, კაცი რო არ მოეკლას და ქვეყანაზე ურიგობა რამ არ დაეთესოს, მიჩნეულ იქმნეს, როგორც კაცთა ნათესავის მკვლელი; ხოლო ვინც კაცს სიცოცხლე დაუბრუნოს, მიჩნეულ იქმნეს ისე, თითქო მრთლად კაცთა ნათესავისათვის სიცოცხლე დაებრუნებინოს. ჩვენნი მოვლინებულნი გამოცხადდენ მათ შორის ცხად-სასწაულებ-თანახლებულნი; მაგრამ სასწაულების გამოჩენის შემდეგაც კი კაცთა მეტ ნაწილს თავი ურიგოდ ეჭირა.“ (5-ე სურა, 35-36-ე მუხლები)

„რომელნიც ღმერთთან ერთად არ მოუწოდებენ სხვა ღმერთებსა; რომელნიც არ მოკვლენ ცხოველ სულსა, როგორათაც ღმერთს აუკრძალავს, თუ არ სამართლიანის მიზეზისათვის, რომელნიც მრუშობას არ ჩაიდენენ. ვინც ესა ჰქმნას, მიიღოს სასყიდელი უმართლობისათვის“. (25-ე სურა, 68-ე მუხლი)

ამ მუხლში ნათქვამია, რომ უდანაშაულო ადამიანის მკვლელს უდიდესი განსაცდელი ელის. ღმერთი გვეუბნება, რომ ერთი ადამიანის მოკვლაც კი მთელი ერის ამოხოცვის ტოლფასია. ღვთის მოშიში მორწმუნე სხვას ვერაფერს დაუშავებს, უდანაშაულო ადამიანების ხოცვა-ჟლეტაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ვისაც ჰგონია, რომ ჩადენილი ცოდვებისათვის ამქვეყნად პასუხი არ მოეთხოვება – ცდება, ღვთის სამსჯავროზე თითოეული მათგანი სათანადოდ დაისჯება. ასე რომ, მორწმუნეებმა, რომლებმაც იციან, რომ ჩადენილი ცოდვებისთვის პასუხი იმქვეყნად აუცილებლად მოეთხოვებათ, ყოველმხრივ ემორჩილებიან ღვთის წესებს.



ღმერთი მოუწოდებს მორწმუნეებს, რომ შემბრალებელნი და მოწყალენი იყვნენ

ისლამური მორალი ერთ მუხლში დიდებულად არის ახსნილი:

„და რომელიც მას გარდა მათგანია, ვისაც ჰსწამთ და ერთმანერთს სინანულს ამცნებენ, ვინც ერთმანერთს გულშემატკივრობას ამცნებენ.“ (90-ე სურა, 17-ე მუხლი)

ამ მუხლიდან ნათელია, რომ ისლამური მორალის ყველაზე მნიშვნელოვანი ცნება, რომელიც მორწმუნეებს განკითხვის დღეს ხსნას მოუტანს არის „ერთმანერთს გულშემატკივრობას ამცნებენ.“

ისლამური მორალის მიხედვით ადამიანთა სიცოცხლე მშვიდობით, კეთილდღეობით, ერთმანეთის სიყვარულითა და სიხარულით უნდა იყოს აღსავსე...

ამ მუხლიდან ნათელია, რომ ისლამური მორალის ყველაზე მნიშვნელოვანი ცნება, რომელიც მორწმუნეებს განკითხვის დღეს ხსნას მოუტანს არის „ერთმანერთს გულშემატკივრობას ამცნებენ.“

სინანულის ნამდვილი წყარო ღმერთის სიყვარულია. პიროვნების ღმერთისადმი სიყვარული აძლიერებს სიყვარულს იმ ყველაფრის მიმართ, რაც ალაჰმა შექმნა. ღვთის მოშიში ადამიანი ალაჰის შექმნილ სულიერ არსებებსა და ბუნებასთან პირდაპირ კავშირსა და სიახლოვეს გრძნობს. ყოველისშემქნელი ღვთისადმი სიყვარული მორწმუნეს ყურანში ჩადებულ მორალსაც გაათავისებინებს. ჭეშმარიტი სინანული კი სწორედ ამ მორალის შესისხლხორცების შედეგად წარმოიშობა. სიყვარულით, თანაგრძნობითა და თავგანწირვით აღსავსე მორალს ყურანში მრავალი მუხლი აქვს დათმობილი:

„მდიდრები და შეძლებულები თქვენ შორის ნუ დაიფიცვენ, გულუხვობას აღარ უჩვენებთ ჩვენს მშობლებს, ღარიბებს და მათაც, ვინც ოდესმე მამულითგან განძევებულ ყოფილან ღვთის საქმისათვის; მიუტეონ მათ შეცოდებანი მათნი და მოეცალნენ. არ გინდათ განა, ღმერთმა მოგიტეოსთ აგრეთვე? იგი მოწყალეა და შემბრალებელი.“ (24-ე სურა, 22-ე მუხლი)

...ტერორიზმი კი ისეთი საზოგადოების შექმნისკენ მიილტვის, რომელშიც ძალადობა, შიში, ქაოსი და შფოთვა იქნება გაბატონებული

„ვინც ყოველთვის თავიანთ სადგომებს ეუფლებოდნენ და სარწმუნოებაც წინეთ მიუღიათ, აძვირფასებენ ხალხს, რომელიც მათ შეაფარებს თავსა. მათ გულს სიხარბე გაცლილი აქვს, არც უნდა ის, რაც სხვებს ერგებათ; თავიანთი გულუხვობით უპირატესობასაც აძლევენ მათ, თუმცა სიღარიბეც კია მათ შორის. დიახ, ვინც თავიანთ გულს კრიჟანგობისაგან შემოიზღუდვენ, ნეტარ იქმნენ.“ (59-ე სურა, 9-ე მუხლი)

„...ვინც წინასწარმეტყველს თავშესაფარი მიჰსცეს და დაეხმარნენ, მართლმორწმუნე არიან. მიტევება უფლისაგან და უხვად სიკეთე მიენიჭებათ სამართლისამებრ.“ (8-ე სურა, 75-ე მუხლი)

„...უყავით სიკეთე თქვენს დედ-მამასა, თქვენს ნათესავებსა, ობლებსა, ღარიბებსა, საპატრონოებსა, თქვენთან რომ შეერთებულ არიან ნათესაობითა და უცხო საპატრონოებსაც, თქვენს ამხანაგებსა, მგზავრებსა და თქვენს მონებსა. ღმერთს თავმომწონე და მედიდური ადამიანი არ უყვარს.“ (4-ე სურა, 40-ე მუხლი)

„მართლა, სამოწყალო დანიშნულია საწყალთა და ღატაკთათვის, მათთვის, რომელნიც მათ შეიწყნარებენ, მათთვის, რომელთაც გული უცემსთ ისლამისათვის, მონათა გამოსასყიდლად, უქონელთა, ღვთისა და მგზავრთათვის, ესაა ღვთის წინაშე მოვალეობა. მეცნიერ და ბრძენია“. (90-ე სურა, 60-ე მუხლი)

ყურანში ასახული მაღალი დონის მორალი, რომელიც მორწმუნეებს მოეთხოვებათ ღვთისადმი სიყვარულისგან მომდინარეობს. მორწმუნეები ყოველთვის ერთგულნი რჩებიან იმ მორალისა, რომელიც ღმერთმა ყურანში გადმოსცა. ღვთისმოშიში ადამიანები სხვისთვის გაწეული დახმარების სანაცვლოდ არაფერს ელიან,მათ მადლობის მოხდაც კი არ სჭირდებათ. მათი მთავარი მიზანი ღვთის წყალობის მოპოვებაა. მორწმუნეებმა იციან, რომ განკითხვის დღეს სწორედ ამ მორალის არგათავისების გამო მოეთხოვებათ პასუხი. ყურანში ღმერთი გვეუბნება, რომ ის ადამიანები, რომლებიც ამ მორალით არ იცხოვრებენ, ჯოჯოხეთში მოხვდებიან:

„ვინ მოგიყვანათ საკარშიო (ჯოჯოხეთში)? მიუგონ: ლოცვა არასოდეს შეგვისრულებია. ღარიბი არასოდეს დაგვიპურებია.“ (74-ე სურა, 44-45-ე სურები)

„...შეჰკარით ეგ, მერმე ჯოჯოხეთის ცეცხლს მიუფიცხეთ. მასუკან სამოცდა ათი წყრთა ჯაჭვი შემოუჭირეთ. ვინადგან არ ჰსწამდა ღმერთი, ყოვლად ზენარი. გლახა-ღატაკის დაპურებას არ ეშურებოდა.“ (69-ე სურა, 30-34-ე მუხლები)

„რას ფიქრობ მისთვის, რომელიც ამ სარწმუნეობას სიცრუედ ჰსთვლის? იგი გააგდებს ობოლსა. სხვებს არ წაახალისებს გლახაკის

ისლამური მორალი ავალდებულებს მუსლიმანებს დაიცვან ობლებისა და გაჭირვებაში მყოფი ადამიანების უფლებები, მხარში ამოუდგნენ და დაეხმარონ ერთმანეთს

გამოსაკვებად.“ (107-ე სურა, 1-3-ე მუხლები)
„...თქვენ ხომ სულ არ იცით ობოლთა გაკითხვა?“ (89-ე სურა, 18-ე მუხლი)

ამ სტრიქონებიდან ჩანს, რომ ყურანის მიხედვით მუსლიმანი მოსიყვარულე და კაცთმოყვარე უნდა იყოს. ასეთი ზნეობის მქონე ადამიანი არც ტერორიზმს შეეგუება და არც უდანაშაულო ხალხის მიმართ გამოვლენილ ძალადობას. ტერორიზმი ყოვლად მიუღებელია ისლამისთვის. ტერორისტი არის შეუბრალებელი ადამიანი, რომელსაც მთელი სამყარო სძულს და მოკვლის, განადგურებისა და სისხლის დაღვრის სურვილი არ ასვენებს.

მუსლიმანი, რომელიც ყურანში მოცემული მორალის მიხედვით არის აღზრდილი, ყველას უსაზღვრო სიყვარულით ეპყრობა და ყველას აზრს პატივს სცემს. იგი ცდილობს უთანხმოება მოაგვაროს და დაძაბულობა განმუხტოს. მუსლიმანი ხალხს მხარში უდგას და ყოველთვის თავდაჭერილად იქცევა. ასეთი ადამიანებისაგან შემდგარ საზოგადოებაში სრული ჰარმონია, სამართლიანობა და სიკეთე სუფევს.

ღმერთი მიმტევებლობისა და შემწყნარებლობისკენ მოგვიწოდებს

მიმტევებლობა და შემწყნარებლობა, ყურანის სიტყვებით რომ ვთქვათ „მადლი და დამტკიცება მოწყალებისა“ (7-ე სურა, 202-ე მუხლი), ისლამის ძირითადი ფუნდამენტია.

ისლამის ისტორიას თუ გადავხედავთ, თვალნათლივ დავინახავთ, თუ როგორ შესძლეს მუსლიმანებმა ყურანის მორალის ცხოვრებაში გადმოტანა და გათავისება. ამ წიგნის შემდეგი თავების გაცნობისას, ჩვენ დავინახავთ, რომ მუსლიმანები სადაც უნდა წასულიყვნენ, ყველგან ჰარმონიულ და მშვიდობიან გარემოს ქმნიდნენ. მათ სხვადასხვა სარწმუნოების, ენისა და კულტურის მქონე ხალხსაც შეასწავლეს, თუ როგორ უნდა ეცხოვრათ ერთად სრულ ჰარმონიასა და სიმშვიდეში. ოტომანების დიანასტია მრავალი საუკუნის განმავლობაში იმიტომ არსებობდა, რომ მუსლიმანებმა იქ სრული სიმშვიდე და კეთილდღეობა

საზოგადოებაში, სადაც ისლამური მორალი ნებადართულია, ეკლესიები, მეჩეთები და სინაგოგები მშვიდობიანად თანარსებობენ. ამ სამი სალოცავის ერთად არსებობა იმის მაჩვენებელია, რომ ისლამური მორალი სამართლიანობით, შემწყნარებლობითა და სიკეთითაა განმსჭვალული.

შეიტანეს. მუსლიმანები, რომლებიც ყოველთვის განთქმულნი იყვნენ თავიანთი რბილი და მოსიყვარულე ბუნებით, სხვა ხალხების მიმართ მუდამ შემწყნარებელნი და სამართლიანი იყვნენ. ამ მულტი-ნაციონალურ წყობილებაში ყველა ეთნიკურ ჯგუფს აქვს უფლება იცხოვროს თავისი რელიგიისა და წესების შესაბამისად.

ჭეშმარიტ შემწყნარებლობას მხოლოდ მშვიდობისა და კეთილდღეობის მოტანა შეუძლია მსოფლიოსთვის. ამაზე ყურანში ბევრჯერ არის საუბარი. შემდეგი მუხლიც სწორედ ამის შესახებაა: „ბოროტი და კეთილი თანატოლად ვერ ივლიან. ბოროტის წილ კეთილი მიაგე, და ნახო, მტერი მფარველად და მეგობრად გადაგექცეს.“ (49-ე სურა, 34-ე მუხლი)

ყურანში ღმერთი ამბობს, რომ მიმტევებლობა ადამიანის საუკეთესო თვისებაა და ერთ-ერთ მუხლში გვეუბნება, რომ ასეთი საქციელი აუცილებლად დაჯილდოვდება: „და ავისათვის თანაბრადვე ავსვე მიაგებენ, ხოლო ვინც თავისს მოწინააღმდეგეს შეურიგდება და აპატიებს, ღმერთს მისი ჯილდო ემართება, ვინადგან შემაჭირვებელნი არ უყვარან.“ (42-ე სურა, 38-ე მუხლი). შემდეგ მუხლში ღმერთი მორწმუნეებს აღწერს: „მათთვის, რომელნიც სამოწყალოს გაიღებენ, როგორც ლხინში, ისე ჭირშიაც, რომელთაც შეუძლიათ გულის წყრომა დაიმშვიდონ და რომელნიც თავიანთ შეურაცხმყოფელთ მიუტევებენ, რასაკვირველია ღმერთს ქველის მოქმედნი უყვარან.“ (3-ე სურა, 128-ე მუხლი). ღმერთი ყურანში გვმოძღვრავს, რომ ადამიანის შენდობა მაშინაც კი შეიძლება, როცა მან რაიმე ცუდი ჩაიდინა. შემდეგი მუხლი სწორედ ამაზეა:

„ორგულობის გამოაშკარავება არ მოიშალო. მცირეოდენ რიცხვს გარდა ყველა დამნაშავეა; მაგრამ მიუტევე მათ და ჩაიარე, ვინაიდან ღმერთს უყვარან იგინი, რომელნიც კეთილშობილურად ირჯებიან.“ (5-ე სურა, 16-ე მუხლი)

ყველაფერი ეს ცხადჰყოფს, რომ იმ მორალს, რომელსაც ისლამი ქადაგებს კაცობრიობისთვის მშვიდობა, ჰარმონია და სამართლიანობა მოაქვს. ბარბაროსობა, თანამედროვე ენით კი ტერორიზმი იმ ადამიანებისგან მომდინარეობს, რომლებიც ჭეშმარიტ რელიგიას სრულებით არიან ჩამოშორებულნი და ისლამთან არანაირი შეხება არ გააჩნიათ. იმ ადამიანების სულის სახსნელად, რომლებიც დანაშაულს რელიგიის სახელით სჩადიან, აუცილებელია ყურანის მორალის სწავლება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ტერორიზმის დაძლევაში უპირველეს ყოვლისა ისლამი დაგვეხმარება.



...ღმერთი აღსავსეა სიკეთითა
და სიბრალულით კაცთათვის“.
(2-ე სურა, 138-ე მუხლი)

ომი ყურანში

ყურანში განმარტებულია, რომ ომი არის „არასასურველი ვალდებულება“, რომელიც უნდა განხორციელდეს გარკვეული ჰუმანური და მორალური პრინციპების მკაცრი დაცვით და ისიც იმ შემთხვევაში თუ ძალზე აუცილებელია.

ყურანის ერთ-ერთ მუხლში ნათქვამია, რომ უმიზეზოდ ომს ურწმუნოები იწყებენ და ასეთი სახის ძალადობას ღმერთი არ ამართლებს:

„ყოველთვის როცა კი ომის ცეცხლი აღაგზნონ, ღმერთმა ჩააქროს. ქვეყანას მიმოვლენ ასაკლებად და უწესოების ჩასადენად, მაგრამ ღმერთს არ უყვარან იგინი, რომელნიც უწესოებას სჩადიან.“ (5-ე სურა, 69-ე მუხლი)

ომში მორწმუნეებმა მანამდე არ უნდა მიიღონ მონაწილეობა, სანამ ეს აუცილებლობის ხასიათს არ მიიღებს.

ყურანში განმარტებულია, რომ ომი არის „არასასურველი ვალდებულება“, რომელიც უნდა განხორციელდეს გარკვეული ჰუმანური და მორალური პრინციპების მკაცრი დაცვით და ისიც იმ შემთხვევაში თუ ძალზე აუცილებელია.

ყურანის ერთ-ერთ მუხლში ნათქვამია, რომ უმიზეზოდ ომს ურწმუნოები იწყებენ და ასეთი სახის ძალადობას ღმერთი არ ამართლებს:

„ყოველთვის როცა კი ომის ცეცხლი აღაგზნონ, ღმერთმა ჩააქროს. ქვეყანას მიმოვლენ ასაკლებად და უწესოების ჩასადენად, მაგრამ ღმერთს არ უყვარან იგინი, რომელნიც უწესოებას სჩადიან.“ (5-ე სურა, 69-ე მუხლი)

ომში მორწმუნეებმა მანამდე არ უნდა მიიღონ მონაწილეობა, სანამ ეს აუცილებლობის ხასიათს არ მიიღებს.

მორწმუნეებს ბრძოლა მხოლოდ მაშინ შეუძლიათ, როცა მოწინააღმდეგე მხარე თავს ესხმის და ომის გარდა სხვა ალტერნატიული გზა აღარ რჩება:

„თუ ბოლო მოუღონ მას, რასაც ჰსჩადიან, უჭველია, ღმერთია სულგრძელ და მწყალობელი.“ (2-ე სურა, 188-ე მუხლი)

შუამავალი მუჰამედის ცხოვრებას თუ ჩავუღრმავდებით, მივხვდებით, რომ ომი იყო გამოუვალ სიტუაციებში თავდაცვის საშუალება.

ღვთის მიერ მუჰამედისთვისთვის ყურანის გადაცემა 23 წლის განმავლობაში გრძელდებოდა. პირველი 13 წლის განმავლობაში მუსლიმანები მექაში ცხოვრობდნენ, რელიგიურ უმცირესობას წარმოადგნენ და უამრავ ტანჯვას იტანდნენ. მუსლიმანებს ავიწროვებდნენ, აწამებდნენ და ხოცავდნენ კიდეც. მათ სახლებს წვავდნენ, ქონებას კი იტაცებდნენ. მიუხედავად ამ ყველაფრისა, მუსლიმანები ძალადობას მაინც არ მიმართავდნენ და წარმართებსაც მოუწოდებდნენ მშვიდობისაკენ.

როდესაც მუსლიმანების ტანჯვა გაუსაძლისი გახდა, ისინი ქალაქ იათრიბში გადასახლდნენ. მოგვიანებით ამ ქალაქს მედინა დაერქვა. აქ

დღევანდელი მედინა, ქალაქი, სადაც შუამავალი მუჰამედი და მუსლიმანები გადასახლდნენ და თავიანთი სახელმწიფო წყობილება ჩამოაყალიბეს

მუსლიმანებს უფრო მშვიდობიანად და თავისუფლად შეეძლოთ ცხოვრება. მიუხედავად იმისა, რომ ძლიერი სისტემა ჩამოაყალიბეს, მათ მიმართ აგრესიით განწყობილ წარმართებზე მახვილი მაინც არ აღმართეს. ერთ-ერთი ხილვის შემდეგ კი მუჰამედმა თავის ხალხს მოუწოდა, რომ ომისთვის მომზადებულიყვნენ:

„ვისაც შეურაცხყოფა მიჰსდგომია, მათ დაჰპირდა ბრძოლას მათ მტრებთან; ღმერთს შეუძლია მფარველობა. მათთვის, რომელნიც უსამართლოდ განძევებულ იქმნენ თავიანთი ოჯახებითგან მხოლოდ მიტომ, რომ ამბობდნენ: ჩვენი უფალი ერთად-ერთი ღმერთიაო.“ (22-ე სურა, 40-41-ე მუხლები)

მოკლედ, მუსლიმანებს ბრძოლის ნება დართეს. ისიც იმიტომ, რომ ურწმუნონი ჩაგრავდნენ და ავიწროვებდნენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ღმერთმა მათ ბრძოლის უფლება მხოლოდ თავდაცვის მიზნით მისცა. ყურანის სხვა მუხლებში განმარტებულია, რომ მუსლიმანებმა უმიზეზოდ ძალადობას არ უნდა მიმართონ:

„ღვთის გზით ეომეთ მათ, რომელთაც ომი აგიტეხონ. ხოლო უსამართლობა არ ჩაიდინოთ მათ მიმართ პირველ თავდასხმით, ვინაიდან ღმერთს უსამართლონი არ უყვარს.“ (2-ე სურა, 186-ე მუხლი)

მას შემდეგ, რაც უფალმა ეს სიტყვები მუჰამედს გადასცა, მუსლიმანებმა წარმართებთან რამდენიმე ბრძოლა გამართეს. თუმცა ამ ბრძოლების წამომწყებები მუსლიმანები არცერთხელ არ ყოფილან. შუამავალმა მუჰამედმა უსაფრთხო და მშვიდობიანი გარემოს შექმნა მას შემდეგ შეძლო, რაც ჰუდაიბაიას ხეშეკრულებას მოაწერა ხელი. ხელშეკრულების მიხედვით, მუსლიმანები წარმართების მიერ წამოყენებული პირობების უმეტესობას ეთანხმებოდნენ. სამწუხაროდ შეთანხმება წარმართებმა დაარღვიეს და საომარი მოქმედებებიც წამოიწყეს. ისლამურმა ძალებმა უდიდესი ჯარი შეკრიბეს წარმართი არაბების წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, მუჰამედმა მექა მაინც სისხლისღვრის გარეშე დაიპყრო. შუამავალს რომ მოენდომებინა, სულ ადვილად იძიებდა შურს წარმართთა მეთაურებზე. მაგრამ მუჰამედს არცერთი მათგანისთვის არ დაუშავებია არაფერი, პირიქით, შეუნდო და მათ მიმართ დიდი სულგრძელობა გამოიჩინა. დასავლეთელი ისლამის ექსპერტი, ჯონ ესპოსიტო წერდა: „მუჰამედმა შურისძიებისგან თავი შეიკავა, ურწმუნოებთან შეთანხმება დადო და ყოფილი მტრები შეიწყალა.“[2]

წარმართები, რომლებმაც მოგვიანებით თავიანთი სურვილით მიიღეს მუსლიმანობა, აღფრთოვანებულები იყვნენ მუჰამედის სულგრძელობით.

შუამავალი მუჰამედის მოღვაწეობის პერიოდში, მექაში გამარჯვების მოპოვებისას და სხვა ბრძოლების დროსაც უდანაშაულო ხალხის უფლებები ყოველთვის დაცული იყო. მუჰამედი ამას ყოველთვის

ახსენებდა ხალხს და მას ბევრი სახელმწიფოს ლიდერიც ჰბაძავდა. ომში წასასვლელად გამზადებულ მორწმუნეებს შუამავალი შემდეგი სიტყვებით მიმართავდა: „წადით ომში და იყავით ჭეშმარიტი რელიგიის ერთგულნი. არაფერი დაუშავოთ მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებს. ყოველთვის დაიცავით მათი უფლებები და იყავით მათ მიმართ სულგრძელები. ღმერთს უყვარს კეთილი ადამიანები.“[3] ღვთის შუამავალი მუსლიმანებს არიგებდა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ისინი ბრძოლის ველზე:

„არ დახოცოთ ბავშვები. არ შეეხოთ იმ ადამიანებს, რომლებიც ღვთისმსახურებას ეწევიან. არ მოჰკლათ მოხუცები და ქალები. ხეები არ მოჭრათ და არც ცეცლი წაუკიდოთ. არასოდეს გაანადგუროთ სახლები!“[4]

სწორედ ყურანში ღვთის მიერ გადმოცემულმა პრინციპებმა გახადა მუჰამედის მოღვაწეობის პერიოდი მშვიდობითა და სიკეთით აღსავსე. ყურანში ღმერთი მუსლიმანებს მოუწოდებს, რომ ისინი ურწმუნოებს სამართლიანად და კეთილშობილურად მოეპყრონ:

„ღმერთი არ გიშლისთ კეთილ და სამართლიანი იყვნეთ მათ მიმართ, რომელთაც თქვენ წინააღმდეგ არ უბრძოლიათ თქვენის სარწმუნოების გულისთვის და რომელთაც თქვენთა კერათაგან არ გაუძევებიხართ. მათ



ქააბა, სადაც ყოველწლიურად ორ მილიონზე მეტი მუსლიმანი ჩამოდის მსოფლიოს სხვა და სხვა კუთხიდან, ისლამური ტოლერანტობისა და მშვიდობის სიმბოლოა.

უყვარან სამართლიანად მომქცევნი. მაგრამ ყოველ კავშირს გიშლისთ მათთან, რომელთაც სარწმუენოების გულისთვის თქვენთან უბრძოლიათ, რომელთაც თქვენთა კერათაგან გაუძევებიხართ, ან რომელნიც სხვებს დახმარებიან იმ საქმეში.“ (60-ე სურა, 8-9-ე მუხლები)

ზემოთოყვანილ ციტატაში ახსნილია, თუ როგორ უნდა მოექცეს მუსლიმანი არამუსლიმანს: მუსლიმანი სხვა სარწმუნოების წარმომადგენელს გულმოწყალედ უნდა მოეპყროს და მხოლოდ იმათთან უნდა აარიდოს დამეგობრებას თავი, ვინც ისლამის მიმართ მტრულადაა განწყობილი. თუ ეს მტრობა მუსლიმანების შევიწროვებაში გადადის და იწყება მიზანმიმართული ომი მათ წინააღმდეგ, მუსლიმანებმა სიტუაცია ჰუმანურად უნდა შეაფასონ და მხოლოდ ამის შემდეგ გასცენ მტრებს სამართლიანი პასუხი. ბარბაროსობის ყველა ფორმა – ძალადობრივი აქტი თუ უსამართლო აგრესია სასტიკადაა აკრძალული ისლამის მიერ. ღმერთი

ერთ-ერთ სტროფში მუსლიმანებს აფრთხილებს, რომ მტრის მიმართ გაჩენილმა ბრაზმა მათ უსამართლობა არ უნდა ჩაადენინოს:

„თქვენ, რომელთაცა გსწამთ! მტკიცე და სამართლიანი მოწმე იყვენით წინაშე ღვთისა; მძულვარებამ არ დაგითრიოსთ, რათა პირდაპირ გზას დაგაშოროსთ. სამართლიან იყვენით; სამართლიანობა ახლოს დგას ღვთისნიერებასთან. ღვთის გეშინოდესთ, რადგანაც თქვენი მოქმედება უწყის.“ (5-ე სურა, 11-ე მუხლი)

„ჯიჰადის“ არსის მნიშვნელობა

მცირეოდენ განხილვას ისლამის ცნება „ჯიჰადიც“ იმსახურებს.

ჯიჰადის ზუსტი მნიშვნელობა არის „მონდომება“. ისლამის მიხედვით ჯიჰადი „მცდელობას, ბრძოლას“ ნიშნავს. შუამავალი მუჰამედი ამბობდა, რომ ნამდვილი ჯიჰადი ის არის, როცა ადამიანი თავისი მდაბიო სულის ძლევას ცდილობს. მდაბიო სულში ეგოსიტური სურვილები და ამბიციებია ნაგულისხმევი.

ყურანის მიხედვით ჯიჰადი ასევე შეიძლება ნიშნავდეს ბრძოლას იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომლებიც ხალხს უსამართლოდ ექცევიან, ჩაგრავენ, მათ მიმართ სისასტიკეს ავლენენ და მათ კანონიერ უფლებებს არღვევენ. ამ ბრძოლის მიზანი სამართლიანობის, მშვიდობისა და თანასწორობის აღდგენაა.

ამ იდეოლოგიური და ზნეობრივი მნიშვნელობების გარდა ჯიჰადს ფსიქოლოგიური ბრძოლის დატვირთვაც აქვს. მიუხედავად ამისა, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ეს თავდაცვის მიზნით განხორციელებული ბრძოლა უნდა იყოს. ჯიჰადის უდანაშაულო ხალხის მიმართ აგრესიის გამოვლინებად და ტერორისტულ აქტად მიჩნევა უსამართლობა და ამ სიტყვის მნიშვნელობის დამახინჯება იქნება.

ყურანი კრძალავს თვითმკვლელობას

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ამერიკაზე განხორციელებული ტერაქტების შემდეგ წამოიჭრა არის თვითმკვლელთა თავდასხმები. ადამიანთა ნაწილს, რომელიც ისლამზე სათანადო ინფორმაციას არ ფლობს, მიაჩნია, რომ ჭეშმარიტი რელიგია თვითმკვლელთა იერიშებს ემხრობა, მაშინ, როცა ისლამი სასტიკად კრძალავს ადამიანის სიცოცხლის ხელყოფას. „თავი არ მოიკლათ“ (4-ე სურა, 33-ე მუხლი).“ ამ სიტყვებში ღმერთი გულისხმობს, რომ თვითმკვლელობა უდიდესი ცოდვაა. მნიშვნელობა არა აქვს, რა მიზეზით ხდება თვითმკვლელობა, ისლამი ამას მაინც სასტიკად კრძალავს.

შუამავალი მუჰამედი ამბობს, რომ თვითმკვლელი ცოდვილი ადამიანია და იგი იმქვეყნად აუცილებლად დაისჯება:

ვინც უნდა ჩაიდინოს თვითმკვლელობა, ის აუცილებლად დაისჯება, ჯოჯოხეთის ცეცხლში დაიფერფლება მისი სული.[5]

თავის მოკვლა, თვითმკვლელთა იერიშები და ამით უამრავი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა სრულიად ეწინააღმდეგება ისლამის მორალს. ყურანში ღმერთი ამბობს, რომ ვინმესთვის სიცოცხლის წართმევა უდიდესი ცოდვაა. ასე რომ, ღვთის მოშიში და ყურანის მორალის მიმდევარი მორწმუნე ასეთ სასტიკ საქციელს არასოდეს ჩაიდენს. ასე მოქცევა მხოლოდ იმ ადამიანებს შეუძლიათ, რომლებსაც რელიგიაზე მცდარი წარმოდგენა აქვთ, არ იზიარებენ ყურანის მორალს, გონებადაბინდულნი და სინდისგარეცხილნი არიან და მხოლოდ სიძულვილი ამოძრავებთ. ასეთ ქმედებებს ყველამ უნდა შეუშალოს ხელი.



ყოველგვარი ტერორისტული აქტების ძირითადი მიზანი ხალხში შიშის, მღელვარების, დაუცველობის შეგრძნებისა და პანიკის დანერგვაა.

თანაგრძნობა, ტოლერანტობა და ჰუმანურობა ისლამის ისტორიაში

ყველა ზემოთ მოყვანილ ფაქტს თუ შევაჯამებთ, დავინახავთ, რომ ისლამის პოლიტიკური დოქტრინა (პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებული ისლამის წესები და პრინციპები) საკმაოდ ზომიერი და ჰუმანურია. ამ ფაქტს უამრავი არამუსლიმანი ისტორიკოსი და თეოლოგი აღიარებს. ერთ-ერთი მათგანი ყოფილი მონაზონი და შუა აზიის ისტორიის მკვლევარი ბრიტანელი ისტორიკოსი კარენ არმსტრონგია. თავის წიგნში „წმინდა ომი“ იგი სამ განსხვავებულ რელიგიას განიხილავს და შემდეგ კომენტარს აკეთებს:

„...სიტყვა „ისლამი“ იმავე არაბული ფუძიდან მოდის, რომლიდანაც სიტყვა „მშვიდობა“ წარმოიშვა. ყურანი ომს არანორმალურ მოვლენად აღიქვამს და მას ღვთის წინააღმდეგ მიმართულ აქტად მიიჩნევს. ისლამი ტოტალურ საომარ მოქმედებებს არ ამართლებს. ისლამი აღიარებს, რომ ომი მხოლოდ მაშინ არის აუცლებელი, როცა ადამიანთა ტანჯვა-წამება გაუსაძლისი ხდება. ყურანი გვასწავლის, რომ ომი ყოველგვარი ძალადობის გარეშე, ჰუმანურად უნდა წარიმართოს. მუჰამედს ბრძოლის გადატანა მოუხდა მექაში მცხოვრებ არაბებთან და ებრაულ ტომებთან. მოგვიანებით კი მას სირიაში მცხოვრები ქრისტიანული ტომები და ებრაელები დაუპირისპირდნენ. მიუხედავად ყველაფრისა, მუჰამედს მაინც არ დაუგმია ეს ხალხი. მუსლიმანები იძულებულნი იყვნენ, თავი დაეცვათ, ისინი „წმინდა ომში“ თავიანთი ნებით არ ჩართულან, მუსლიმანები თავიანთი საწრმუნოების დაცვას ცდილობნენ და არა სხვა რელიგიის წარმომადგენლების შევიწროვებას. როდესაც მუჰამედმა ზაიდი

მუსლიმანთა არმიას სათავეში ჩაუყენა, შემდეგი სიტყვებით მიმართა: „იბრძოლე ღვთის სახელით, მაგრამ ჰუმანურად“. ისინი არ უნდა შეხებოდნენ მღვდლებს, მონაზვნებსა და ბერებს, არც სუსტი და უმწეო ხალხი უნდა დაეჩაგრათ, არ უნდა დაეხოცათ უდანაშაულო ადამიანები. მათ ხეების მოჭრა და სახლების განადგურებაც ეკრძალებოდათ.“[6]

შუამავალი მუჰამედის გარდაცვალების შემდეგ, მისი მიმდევარი ხალიფებიც ყოველთვის სამართლიანობის დამყარებას ცდილობდნენ. დაპყრობილ ქვეყნებში, ადგილობრივი მოსახლეობა და დამპყრობლები ერთად ყოველთვის მშვიდობიანად ცხოვრობდნენ. აბუ ბაქარმა, ერთ-ერთმა პირველმა ხალიფამ თავის ხალხს მოსთხოვა, რომ დაპყრობილი ტერიტორიების ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ უდიდესი შემწყნარებლობა გამოეჩინათ. ხალხთან ასეთ დამოკიდებულებას ყურანის მორალი ითხოვდა. პირველი სირიული ექსპედიციის წინ აბუ ბაქრმა თავის ხალხს შემდეგი სიტყვით მიმართა:

„შეჩერდით, ხალხო! ათ წესს გეტყვით, რომლებიც ზეპირად უნდა დაისწავლოთ. არ ჩაიდინოთ მუხანათობა, არ გადაუხვიოთ ჭეშმარიტ გზას, არაფერი დაუშავოთ ბავშვებს, ქალებსა და მოხუცებს, არ გაანადგუროთ და არ გადაწვათ პალმები, არ მოჭრათ ნაყოფისმომეცემი ხეები, არ ამოხოცოთ აქლემები და ცხვრები. შეიძლება შეხვდეთ ადამიანებს, რომლებსაც თავიანთი სიცოცხლე ღვთისმსახურებისთვის ექნებათ მიძღვნილი. დაანებეთ მათ თავი. შეიძლება ზოგიერთმა ადამიანმა საკვები მოგართვათ, შეგიძლია მიირთვათ, მაგრამ ამ დროს ნუ დაივიწყებთ ალაჰის სახელის ხსენებას.“[7]

აბუ ბაქარის მიმდევარი, ომარ იბნ ალ-ხათაბი ცნობილი იყო თავისი სამართლიანობით და დაპყრობილ ქვეყნებში ადგილობრივ ხალხთან კარგი ურთიერთობით. ხალხთან ასეთი დამოკიდებულება ისლამის შემწყნარებლურ და სამართლიან ხასიათს კიდევ ერთხელ უსვამდა ხაზს. თავის დეკლარაციაში, რომლის მიხედვითაც იერუსალიმსა და ლოდში ქრისტიანთა უსაფრთხოება დაცული იქნებოდა, ომარ იბნ ალ-ხათაბმა განაცხადა, რომ ეკლესიები ხელშეუხებელნი იქნებოდნენ და ხალხს იმის გარანტია მისცა, რომ მუსლიმანები ეკლესიებში თავიანთ ღვთისმსახურებას არ აღავლენდნენ. ომარმა იგივე პირობა ბეთლემშიც დაუდო ქრისტიანებს. მედანის დაპყრობის დროს, ნესტორიელი პატრიარქის იშოიაბ III-სთან (650-660) დადებული ხელშეკრულების მიხედვით, ეკლესიები ხელშეუხებელი იქნებოდა და არცერთი მათგანი არ გადაკეთდებოდა მეჩეთად ან თუნდაც ჩვეულებრივ საცხოვრებელ სახლად. მუსლიმანთა შემწყნარებელი ხასიათის მნიშვნელოვან მტკიცებულებად გვევლინება პატრიარქის მიერ სპარსეთის ეპისკოპოსისთვის მიწერილი წერილი. პატრიარქი სიხარულით ჰყვება, რომ მუსლიმანმა მმართველებმა ქრისტიანთა მიმართ უდიდესი შემწყნარებლობა და ჰუმანურობა

გამოიჩინეს:

„არაბები, რომლებიც პირველები ეზიარნენ ისლამს, არ დევნიან ქრისტიანებს, მართლაც პატივს სცემენ მათ. ღირსეულად ეპყრობიან მღვდლებსა და წმინდანებს, ეკლესია-მონასტების შეურაცხყოფას კი აზრადაც არ ივლებენ.“[8]

ეს ყველაფერი ადასტურებს, რომ ჭეშმარიტი მორწმუნეები უზომოდ სამართლიანები და ჰუმანურები არიან. ამ მუხლში ღმერთი შემდეგს გვიბრძანებს:

„ღმერთი გიბრძანებსთ, სათანადო მისცეთ, ვისაც ერგებოდეს და თქვენნი მსგავსნი სამართლიანად განიკითხოთ. ღმერთი კარგ საქმეს გიბრძანებსთ. ყველაფერს ისმენს და ხედავს.“ (4-ე სურა, 61-ე მუხლი)

ანგლიკანური ეკლესიის წინამძღოლმა, კენონ ტეილორმა თავისი ერთ-ერთი სიტყვით გამოსვლის დროს, ისლამური მორალის დიდებულება აღნიშნა:

„ისლამმა გამოავლინა რელიგიის ფუნდამენტალური დოგმები – ერთობლიობა და ღვთის დიდებულება. ალაჰი არის შემწყნარებელი და სამართლიანი. ის ითხოვს თავისი ნების მორჩილებას, ერთგულებასა და რწმენას. ისლამი საუბრობს ხალხთა პასუხისმგებლობაზე, მომავალ ცხოვრებაზე, განკითხვის დღეზე, ცოდვილთა მკაცრ სასჯელზე, მლოცველთა მოვალეობების შესრულების აუცილებლობაზე, მოწყალების გაღებაზე, მარხვასა და კაცთმოყვარეობაზე. ისლამი უარყოფს ხელოვნურ სათნოებას, რელიგიის სახელით მოქმედ თაღლითებსა და გაიძვერებს, სხვა რელიგიის წარმომადგენლების ჩაგვრას. ისლამმა მონებს იმედი მისცა, სხვადასხვა ერები ერთმანეთთან დაახლოვა და ადამიანის ბუნების კეთილი მხარის წარმოჩენას შეუწყო ხელი.“[9]

დასავლეთელმა მკვლევარებმა შესძლეს იმის დამტკიცება, რომ დაპყრობილ ქვეყნებში ხალხს ისლამის მიღებას ძალის გამოყენებით სულაც არ აიუძლებდნენ. მათ ერთხმად აღიარეს, რომ მუსლიმანები შემწყნარებლები და სამართლიანები არიან. დასავლეთელი მკვლევარი ლ. ბრაუნი ამ სიტუაციას შემდეგი სიტყვებით აღწერს:

„ახლახან აღმოჩენილი უტყუარი ფაქტები აქარწყლებს ქრისტიანულ მწერლობაში შემონახულ იმ იდეებს, თითქოსდა მუსლიმანები ძალის გამოყენებით აიძულებედნენ ხალხს ისლამის მიღებას.“[10]

თავის წიგნში „ისლამის მიმოხილვა“ ბრაუნი საუბრობს, რომ დაპყრობით ომებს მუსლიმანები ისლამისადმი დიდი სიყვარულის გამო აწარმოებდნენ. მუსლიმან მმართველთა უმეტესობა სხვა რელიგიის წარმომადგენელთა მიმართ საუკუნეების მანძილზე იჩენდნენ თანაგრძნობასა და პატივისცემას. ისლამურ სახელმწიფოებში ებრაელები და ქრისტიანები ყოველთვის მშვიდად და თავისუფლად ცხოვრობდნენ.

ჯორჯთაუნის უნივერსისტეტის პროფესორი რელიგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა დარგში, ჯონ ლ. ესპოზიტო წერს, რომ მუსლიმანურ მმართველობის ქვეშ მოქცეულ ებრაელებსა და ქრისტიანებს ყოველთვის სამართლიანად ექცეოდნენ:

„მუსლიმანთა ჯარების მიერ წარმოებული ბრძოლების შედეგად დამტკიცდა, რომ მართლმორწმუნეები ყოველთვის დიდებული დამპყრობლები და სამართლიანი მმართველები იყვნენ. ისინი უფრო მეტს აშენებდნენ, ვიდრე ანგრევდნენ. მართალია, ადგილობრივი მმართველების ადგილებს ისინი იკავებდნენ, მაგრამ სანაცვლოდ დაპყრობილი ქვეყნების კულტურულ და სახელმწიფოებრივ წინსვლაში დიდი წვლილი შეჰქონდათ. დაპყრობილი ქვეყნებს მბრძანებლის შეცვლა კი ხალხს უმტკივნეულოდ გადაჰქონდა. ბიზანტია-სპარსეთის ომისაგან გამოწვეული სიდუხჭირისა და მძიმე გადასახადებისაგან მორალურად გატეხილი ადამიანებისათვის ეს ხანდახან შვებაც იყო. ადგილობრივი



იერუსალიმი და მისი მიმდებარე ტერიტორია დიდი ხნის განმავლობაში იყო მუსლიმანთა მმართველობის ქვეშ. სამწუხაროდ უწინდებური მშვიდობა და შემწყნარებლობა ახლა ომმა და კონფლიქტებმა შეცვალა.

მოსახლეობა ჩვეულ ცხოვრებას განაგრძობდა, საგარეო და საშინაო საქმეებში აღარ ერეოდა. დაპყრობილი ხალხი ხვდებოდა, რომ მუსლიმანთა მმართველობა უფრო მეტი სამართლიანობით გამოირჩეოდა, ვიდრე ბიზანტიისა და სპარსეთისა. სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებს შეეძლოთ ისევ განეგრძოთ თავიანთი ღვთისმსახურება და თავიანთი რელიგიური ლიდერებისა და წესების მორჩილნი ყოფილიყვნენ ისეთ საკითხებში, როგორიცაა ქორწინება, გაყრა და მემკვიდრეობა. დაპყრობილ ხალხს სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლებისა და დაცვის სანაცვლოდ სულადობრივი გადასახადი – ჯიზია უნდა გადაეხადათ. ისინი ხანდახან „დაცულებად“ იწოდებოდნენ. მუსლიმანთა სახელმწიფოს სათავეში მოსვლის შედეგად მცირდებოდა გადასახადები, მეტი თავისუფლება ჰქონდათ ქრისტიანებს და ებრაელებს, იზრდებოდა ადგილობრივი ავტონომიები, რომლებსაც ბიზანტიელი წარმომადგენლებისგან განსხვავებით, ადგილობრივ ხალხთან მეტი კულტურული და ენობრივი მსგავსების მქონე ახალგაზრდა სემიტები მართავდნენ. ქრისტიანული რელიგიის მიმდევრობების წარმომადგენლები – ნესტორიანელები, მონოფიზიტები, კოპტები და იაკობიტები ორთოდოქსების მიერ მწვალებლებად და საზოგადოებაში განხეთქილების შემტანებად მოიხსენიებოდნენ. საკუთარი მმართველებისგან შევიწროვებული და შეწუხებული ებრაული და ქრისტიანული მოსახლეობა დამყრობლების შემოჭრას ხშირ შემთხვევაში ხელსაც კი უწყობდა. სწორედ ამ მიზეზის გამო იქცა ისლამი დომინანტ რელიგიად.[11]

ისლამის აღზევებამ საკმაოდ მნიშვნელოვანი უპირატესობები მიანიჭა ქალებს, რომლებიც მთელი პროისლამური ხანის პერიოში შევიწროვებულნი და უუფლებონი იყვნენ. პროფესორი ბერნარდ ლუისი ამ ფაქტის შესახებ შემდეგ კომენტარს აკეთებს:

ისლამმა ქალთა მდგომარეობა საგრძნობლად გააუმჯობესა ძველ არაბეთში; სიმდიდრესთან ერთად მათ სხვა უფლებებიც შეიძინეს. აგრეთვე შეიცვალა ქმრებისა და მეპატრონეების მათდამი დამოკიდებულება. ოჯახში პირველი გოგონის დაბადებისთანავე ცოცხლად დამარხვა სწორედ ისლამური რელიგიის მიერ იქნა აკრძალული. სამწუხაროდ ქალთა მგდომარეობა მას შემდეგ გაუარესდა, რაც რიგი ფაქტორების გამო ისლამურმა მორალმა სახე იცვალა და ყველასთვის ერთნაირად გასაგები აღარ იყო.[12]

ისლამური რელიგიის შემწყნარებლური ხასიათი თურქ-სელჩუკებისა და ოტომანების იმპერიების არსებობის დროსაც წარმოჩნდებოდა. ბრიტანელმა მკვლევარმა, თომას არნოლდმა გამოსცა წიგნი სახელწოდებით „ისლამის გავრცელება მსოფლიოში“. ამ ნაწარმოებში მწერალი აღნიშნავს, რომ ქრისტიანები თავიანთი ნება-სურვილით თურქ-სელჩუკთა მმართველობის ქვეშ შემდეგი მიზეზების გამო ექცეოდნენ:

ისლამური მმართველობის ქვეშ მოქცევა ყოველთვის რწმენის თავისუფლების გარანტი იყო. სწორედ ამ მიზეზის გამო მცირე აზიაში მცხოვრები მრავალი ქრისტიანი თურქ-სელჩუკთა თავიანთ ქვეყანაში შესვლას იმედიანად შეხვდა. იმპერიის ტირანიის კლანჭებისგან თავდასაღწევად ხალხი ხშირად თავად სთხოვდა თურქებს მმართველობის სადავეების ხელში აღებას.[13]

მალიკ შაჰი, სელჩუკების იმპერიის მმართველი, დაპყრობილი ხალხის მიმართ ყოველთვის დიდ მოთმინებასა და თანაგრძნობას იჩენდა. ამიტომ მას ადამიანები ყოველთვის დიდი სითბოთი და პატივისცემით მოიხსენიებდნენ. ყველა იმდროინდელი ობიექტური ისტორიკოსი მალიკ შაჰის ქცევას სამართლიანობისა და პატიოსნების ეტალონად მოიხსენიებდა თავის ნაშრომში. შემწყნარებელი ხასიათის გამო მას განსხვავებული სარწმუნოების მქონე ხალხიც კი უზომო პატივს სცემდა. სწორედ ამ მიზეზის გამო დაემორჩილა მალიკ შაჰს ბევრი ქალაქი თავისი ნებასურვილით. სერ თომას არნოლდი თავის ნაწარმოებში მოიხსენიებს ოდო დე დიოგილოს. დიოგილო წმ. დენისის მონასტრის ბერი იყო და მეორე ჯვაროსნულ ლაშქრობაში ლუი VII-ის პირადი კაპელანი გახლდათ. იგი აღნიშნავდა, რომ მუსლიმანური რელიგია სამართლიანია და მუსლიმანები თავიანთ სარწმუნოებაზე მოქცევას არავის აიძულებენ. ოდო დე დიოგილოს მოგონებებზე დაყრდნობით სერ თომას არნოლდი წერს:

ცოცხლად გადარჩენილებს ეგონათ, რომ მათი მდგომარეობა უკიდურესად უიმედო იყო. წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, რომ მუსლიმანები შემწყნარებელი ხალხი იყო. ისინი უვლიდნენ ავადმყოფებს, აპურებდნენ

ბრძოლის ველზე მუსლიმანთა სამართლიანობამ მრავალი ჯვაროსანი გააკვირვა. მართლმორწმუნეების მიმართ ღმა პატივისცემა მათ თავიანთ მემუარებში გადმოსცეს. სურათზე გამოსახულია ლუი VII-ის მიერ წარმოებული მეორე ჯვაროსნული ლაშქრობა

მშივრებს და ეხმარებოდნენ გაჭირვეულებს. ისინი უბრუნებდნენ ფრანგულ ფულს, რომელსაც ბერძნები ძალადობითა და ცბიერებით ართმევდნენ ლაშქრობის მონაწილეებს, შემდეგ კი საჭიროებისამებრ იყენებდნენ მას. ჯვაროსანთა უმეტესობა სხვაობას ნათლად ხედავდა: „ურწმუნოები“ მათ სულგრძელად ექცეოდნენ, ქრისტიანი ბერძნები კი სისასტიკეს იჩენდნენ, მონურად ამუშავებდნენ, ცემდნენ, ძარცვავდნენ და იმ მცირედსაც ართემვდნენ, რაც მათ გააჩნდათ. ამ ყველაფრის გამო ბევრმა იწამა მუსლიმანური რელიგია. ოდო დე დიოგილო ამბობს: სასტიკი ქცევით გაწამებულმა ადამიანებმა თავიანთი რელიგიის წარმომადგენლებს ზურგი აქციეს და სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ დაახლოებით სამი ათასი მათგანი შეუერთდა თურქებს.[14]

ისტორიკოსების მიერ აღწერილი ეს ფაქტები ნათელს ხდის, რომ მუსლიმან მმართველებს შესისხლხორცებული ჰქონდათ ყურანის მორალი და სამართლიანად იქცეოდნენ. ოტომანების იმპერია სამ კონტინენტზე მდებარეობდა და დაპყრობილი ერების მიმართ ყოველთვის ლოიალურობით გამოირჩეოდა.

სულთან ბეიაზიდ II-ის მოღვაწეობის პერიოდში, ესპანეთისა და პორტუგალიის კათოლიკური სამეფოებიდან დევნილი ებრაელების ოტომანთა მიწებზე დასახლებაც ისლამის ჰუმანურობას უსვამს ხაზს. ესპანეთის იმდროინდელმა კათოლიკე მონარქებმა უზარმაზარი ზეწოლა მოახდინეს ებრაელებზე, რომლებიც მუსლიმთა დაქვემდებარებაში მყოფ ანდალუზიაში მშვიდობიანად ცხოვრობდნენ. კათოლიკე მონარქები ხალხს ქრისტიანული რელიგიის მიღებას აიძულებდნენ. მათ ომი გამოუცხადეს მუსლიმანებს და ჩაგრავდნენ ებრაელებს. სამხრეთ ესპანეთის გრანადის რეგიონის უკანასკნელი მუსლიმანი მბრძანებლის მმართველობა 1492 წელს დაამხეს. მუსლიმანებსა და იმ ებრაელებს, რომლებმაც სარწმუნეობის შეცვლაზე უარი განაცხადეს ყველანაირი გაგებით ავიწროვებდნენ.

ამ უმიწაწყლო ებრაელების ერთ-ერთმა ჯგუფმა თავი შეაფარა ოტომანების იმპერიას. გადარჩენილი მუსლიმანები და დევნილი ებრაელები იმპერიაში კემალ რაისის მეთაურობის ქვეშ მყოფმა ოტომანების ფლოტილიამ შემოიყვანა.

სულთანი ბეიაზიდ II ისტორიაში ყველაზე მორწმუნე მმართველის სახელით შევიდა. 1492 წლის გაზაფხულზე მან ესპანეთიდან დევნილი ებრაელები თავისი იმპერიის გარკვეულ ტერიტორიაზე – ედირნის მახლობლად და ტესალონიკაში დაასახლა. თურქეთში ამჟამად მცხოვრები 25 000 თურქი ებრაელიდან უმეტესობა სწორედ ესპანელი ებრაელების შთამომავალია. 500 წლის წინ ესპანეთიდან ჩამოსულმა ადამიანებმა თავიანთი რელიგია და წეს-ჩვეულებები თურქეთის პირობებს მოარგეს. დღესდღეობით მათ თავიანთი სკოლები, საავადმყოფოები, მოხუცთა თავშესაფრები, კულტურული ცენტრები და პრესა აქვთ. ისინი ყველა

ესპანეთში მუსლიმანების მმართველობის ხანა 1492 წელს
დასრულდა, გრანადა მეფე ფერდინანდისა და დედოფალ იზაბელას
ჯარებმა დაიკავეს. სურათზე ასახულია ქალაქის დაცემის სცენა

სფეროში მოღვაწეობენ, ტექნიკურიდან დაწყებული რეკლამით დამთავრებული, არიან ვაჭრები ბიზნესმენები, ინტელექტუალური წრეების წარმომადგენლები. ევროპის ბევრ ქვეყანაში ანტისემიტური რასისტული დაჯგუფებები ებრაელებს მრავალი საუკუნის მანძილზე შიშის ზარს სცემდნენ, თურქეთში კი ისინი სრულ კომფორტსა და მეგობრულ გარემოში თანაარსებობდნენ მუსლიმანებთან. მუსლიმანური რელიგიისთვის მახასიათებელი შემწყნარებლობისა და სამართლიანობის საჩვენებლად ეს მაგალითიც სრულებით საკმარისია.

ბეიაზიდ II-ის მსგავსად ოტომანების იმპერიის ყველა სულთანს შემწყნარებელი და შემბრალებელი ხასიათი ჰქონდა. როდესაც სულთან მეჰმეთ დამპყრობელმა კონსტანტინოპოლი აიღო, მან ქრისტიანებსა და ებრაელებს იქ თავისუფლად ცხოვრების უფლება მისცა. ანდრე მიქელი, რომელსაც მუსლიმანთა სამართლიანი და შემწყნარებელი ხასიათისთვის უამრავი ნაშრომი აქვს მიძღვნილი, ამბობს:

მუსლიმანთა მმართველობის პერიოდში ქრისტიანებმა ისეთი სიმშვიდე ჰპოვეს, რომელიც არ გააჩნდათ, ბიზანტიურ და ლათინურ ხანებში. მათ მიმართ არასდროს განხორციელებულა დევნა. პირიქით, მუსლიმანური იმპერია და განსაკუთრებით სტამბული ტანჯვაგამოვლილი

სულთანმა მეჰმეთ დამპყრობელმა საპატრიარქოს უამრავი უფლებები მიანიჭა. მთელი ისტორიის მანძილზე პატრიარქმა დამოუკიდებლობა სწორედ თურქების მმართველობის დროს ჰპოვა. სურათზე ასახულია სულთანი მეჰმეთ დამპყრობლისა და პატრიარქის შეხვედრა.

ესპანელი ებრაელების თავშესაფარი გახდა. ამ ადამიანებისთვის ისლამის მიღება არავის დაუძალებია, პირიქით, ისინი თავიანთი სურვილით ხდებოდნენ მართლმორწმუნენი.[15]

ეს ფაქტები ცხადყოფს, რომ მუსლიმანები ისტორიის მანძილზე არასოდეს ყოფილან მჩაგვრელები. პირიქით, ისინი ყოველთვის მშვიდობიან თანაცხოვრებას ეწეოდნენ სხვა და სხვა სარწმუნოების ხალხთან. მუსლიმები ღმერთის ერთ-ერთი ცნებით ხელმძღვანელობდნენ: „ღმერთს თაყვანი ეცით და ნურას დაუამხანაგებთ მას. უყავით სიკეთე თქვენს დედ-მამასა, თქვენს ნათესავებსა, ობლებსა, ღარიბებსა, საპატრონოებსა, თქვენთან რომ შეერთებულ არიან ნათესაობითა და უცხო საპატრონოებსაც, თქვენს ამხანაგებსა, მგზავრებსა და თქვენს მონებსა. ღმერთს თავმომწონე და მედიდური ადამიანი არ უყვარს.“ (4-ე სურა, 40-ე მუხლი)

მოკლედ რომ ვთქვათ, ყურანის მორალი ყოველთვის მეგობრობას, ძმობას, მშვიდობასა და სიყვარულს ეფუძნება. მუსლიმანები ყოველთვის ამ ღირებებულების ერთგულნი არიან. (დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხ. ჰარუნ იაიას „სამართლიანობა და შემწყნარებლობა ყურანში)

სულთანი ბეიაზიდ II კეთილშობილი მუსლიმანი იყო. მან ესპანეთიდან დევნილი ებრაელები მიიღო და რწმენის თავისუფლებაც მიანიჭა.

სულთანმა მეჰმეთ დამპყრობელმა საპატრიარქოს უამრავი უფლებები მიანიჭა. მთელი ისტორიის მანძილზე პატრიარქმა დამოუკიდებლობა სწორედ თურქების მმართველობის დროს ჰპოვა. სურათზე ასახულია სულთანი მეჰმეთ დამპყრობლისა და პატრიარქის შეხვედრა.



ვისაცა სწამს და ვინც თავისს
სარწმუნოებას უსამართლობის სამოსელს
არ აცმევს, უშიშრობით დასტკბეს, სწორე გზაზედაც
დგას. (6-ე სურა, 82-ე მუხლი)

რელიგიას ამოფარებული ტერორისტების ნამდვილი სახე

ეს უტყუარი ფაქტები ნათელყოფს, რომ უდანაშაულო ხალხისკენ მიმართული ორგანიზებული ტერორისტული აქტები აბსოლუტურად ეწინააღმდეგება ისლამს და ნაკლებად სარწმუნოა, რომ ოდესმე მსგავსი დანაშაული ჭეშმარიტმა მუსლიმანმა ჩაიდინოს. პირიქით, მუსლიმანები ყოველთვის ცდილობენ წინ აღუდგნენ ყველანაირ ძალადობას და მსოფლიოს სიმშვიდე მოუტანონ.

შეუძლებელია ვილაპარაკოთ „ქრისტიანთა ტერორზე“, „ებრაელთა ტერორზე“ ან „ისლამურ ტერორზე“. სინამდვილეში ამ მანკიერების შესწავლამ გამოავლინა, რომ ტერორიზმი არის არა რელიგიური, არამედ სოციალური ფენომენი.

ჯვაროსნები – ბარბაროსები, რომლებმაც შებღალეს თავიანთი რელიგია

ზოგჯერ შეიძლება რელიგიისა და მისი ნამდვილი მრწამსის დამახინჯება მისივე ცრუ მიმდევრების მიერ მოხდეს. ჯვაროსნებიც, რომელთა მოღვაწეობის პერიოდიც ქრისტიანთა ისტორიაში შავ-ბნელ ეპიზოდს ქმნის, ამ კატეგორიის ადამიანებს განეკუთვნებოდნენ.

ჯვაროსნები იყვნენ ევროპელი ქრისტიანები, რომლებმაც XII საუკუნის მიწურულს წმინდა მიწიდან (პალესტინა და მიმდებარე ტერიტორია) მუსლიმანების განდევნა დაიწყეს. მათ ე.წ. რელიგიური ომი წამოიწყეს, სინამდვილეში კი თითოეული აკრი მიწისთვის იბრძოდნენ. გზაზე შემხვედრ სოფლებსა და ქალაქებს ძარცვავდნენ, მოსახლეობას კი სიკვდილით სჯიდნენ. ისლამური მმართველობის დროს მუსლიმანები, ებრაელები და ქრისტიანები იერუსალიმში მშვიდობიანად ცხოვრობდნენ, ჯვაროსნების შემოჭრის შემდეგ კი მუსლიმანებსა და ებრაელებს ყოველგვარი შეწყალების გარეშე სიკვდილით სჯიდნენ. მათ ქალაქში სისხლის ტბები დააყენეს.

ერთ-ერთი ისტორიკოსის გადმოცემით, „ისინი კლავდნენ ნებისმიერ სარკინოზსა და თურქს... განურჩევლად ასაკისა და სქესისა“.[16] ერთ-ერთი ჯვაროსანი რეიმონდ აგუილესი ტრაბახით იხსენებდა:

ლამაზი სანახაობა გადაიშალა. რამდენიმე ჩვენმა ჯვაროსანმა თავიანთ მტრებს თავები წააცალეს. ზოგმა მოწინააღმდეგე ზუსტად ნასროლი ისრებით განგმირა; ბევრი კი ცეცხლზე დავწვით. ქალაქის ქუჩებში შეგეძლოთ გენახათ ცალ-ცალკე დახვავებული თავების, ხელებისა და ფეხების გროვები. ადამიანების გვამებსა და დახოცილ ცხენებს შორის გზის გაკვლევა ჭირდა. მაგრამ ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც სოლომონის ტაძარში მოხდა, იმ ადგილას, სადაც, როგორც წესი, რელიგიურ ღვთისმსახურებას აღავლენდნენ ხოლმე... სოლომონის ტაძრის შესასვლელში ცხენზე ამხედრებულ მეომრებს სისხლი მუხლებამდე სწვდებოდათ.[17]

ჯვაროსნულმა არმიამ ორ დღეში არნახული სისასტიკით 40 000 მუსლიმანი დახოცეს.[18]

ჯვაროსანთა ბარბარიზმი იმდენად ზღვარგადასული იყო, რომ მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს მათ ქრისტიანული ქალაქი კონსტანტინოპოლი (ახლანდელი სტამბული) გაძარცვეს და ეკლესიებიდან ოქროს ნივთები წაიღეს.

რა თქმა უნდა, მათი საქციელი აბსოლუტურად ეწინააღმდეგებოდა ქრისტიანულ დოქტრინას. ქრისტიანობა ბიბლიის სიტყვებით „თვით სიყვარულია“. მათეს სახარებაში ნათქვამია, რა უთხრა იესომ თავის მიმდევრებს: გიყვარდეთ მტერნი თქუენნი და აკურთხევდით მაწყევართა თქვენთა (მათე, 5:44) ლუკას სახარებაში იესოს შემდეგი სიტყვებიცაა მოყვანილი: აკურთხეთ თქვენი მაწყევარნი და ილოცეთ თქვენსავ

მუსლიმანთა მმართველობის დროს მუსლიმანები, ებრაელები და მართმადიდებელი ქრისტიანები იერუსალიმში ერთად, მშვიდობიან გარემოში ცხოვრობდნენ. როდესაც ჯვაროსნებმა იერუსალიმი დაიპყრეს, მათ საშინელ ხოცვა-ჟლეტას მიჰყვეს ხელი. ისინი გზა და გზა ქალაქებსა და სოფლებს ძარცვავდნენ, მოსახლეობას კი უმოწყალოდ ხოცავდნენ.

შეურაცხმყოფელთათვის (ლუკა, 6:28). სახარების არცერთ ნაწილში არ არის გამართლებული ძალადობა. და თავისთავად წარმოუდგენელია უდანაშაულო ხალხის მკვლელობა. ბიბლიაშიც წააწყდებით „უდანაშაულო ადამიანების მოკვლის“ ამბავს, მაგრამ აქ საუბარია სასტიკ ებრაელ მეფე ჰეროდზე, რომელიც ცდილობდა ჩვილი იესოს მოკვლას.

1204 წლის 12 სექტემბერს ჯვაროსნები კონსტანტინოპოლში შევიდნენ, სადაც მათ ქრისტიანები ელოდნენ. მათ დაარბიეს ქალაქი და იმ დონემდე დაეცნენ, რომ ეკლესიიდან ოქროს ნივთებიც გაიტაცეს.

თუ ქრისტიანობა არის სიყვარულზე დაფუძნებული რელიგია, რომელიც ვერ ეგუება ძალადობას, მაშინ როგორ შესძლეს ქრისტიანებმა მსოფლიო ისტორიაში ყველაზე ძალადობრივი აქტების განხორციელება? ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ჯვაროსნების არმია შედგებოდა უმეცარი ადამიანებისგან, რომლებიც მთლიანობაში ქმნიდნენ „ბრბოს“. ეს ის ხალხი იყო, რომლებმაც არაფერი იცოდნენ თავისი რელიგიის შესახებ, არც წაეკითხათ და არც კი ენახათ ბიბლია, მათ წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ ბიბლიის მორალურ ფასეულობებზე. ისინი ძალადობას „ღვთის ნებად“ მიიჩნევდნენ. სინამდვილეში კი მათი ქმედებები მკაცრად იკრძალებოდა რელიგიის მიერ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ იმ პერიოდში აღმოსავლელი ქრისტიანები – ბიზანტიელები, რომლებიც კულტურული დონით დასავლეთელ ქრისტიანებზე მაღლა იდგნენ, ადამიანურ ფასეულობებს უფრო მეტ პატივს სცემდნენ. ჯვაროსნულ ლაშქრობებამდე და მას შემდეგაც, მართლმადიდებელი ქრისტიანები და მუსლიმანები ერთად ცხოვრობდნენ. „ბიბისი“-ს ჟურნალისტის ტერი ჯონსონის თქმით: „ახლო აღმოსავლეთიდან ჯვაროსანთა გამოსვლისთანავე კვლავინდებურად გაგრძელდა ცივილიზებული ცხოვრება სამი მონოთეისტური საწრმუნოების წარმომადგენლებს შორის.“ [19]

ჯვაროსანთა მაგალითი საზოგადო ფენომენის მაჩვენებელია. იდეოლოგიის მიმდევრები რაც უფრო ბრიყვები, ინტელექტუალურად განუვითარებლები და უმეცრები არიან, მით უფრო დიდია ალბათობა იმისა, რომ მათ ძალადობას მიმართონ. ეს ასევე ნიღბავს იდეოლოგიათა სიმართლეს, რომელსაც საერთო არაფერი აქვს რელიგიასთან. ყველა კომუნისტური ქმედება მიდრეკილია ძალადობისკენ, რადგან თვითონ კომუნისტური იდეოლოგიაა ძალადობრივი. ამის ერთ-ერთი მაგალითია კამბოჯელი წითელი ხმერები, რომლებიც სისასტიკითა და დაუნდობლობით გამოირჩეოდნენ. ეს იმიტომ, რომ ისინი ყველაზე უმეცრები იყვნენ.

ბედუინის ხასიათი ყურანში

შუამავალი მუჰამედის პერიოდში, არაბეთში არსებობდა ორი მთავარი სოციალური სტრუქტურა – ქალაქის მცხოვრებლები და ბედუინები (უდაბნოს არაბები). არაბულ ქალაქებში ცხოვრებაში გამოცდილი კულტურა დომინირებდა. ქალაქებს გარე სამყაროსთან სავაჭრო ურთიერთობები აკავშირებდა, რაც ქალაქის მცხოვრებლებში „კარგი ქცევების“ ჩამოყალიბებას უწყობდა ხელს. მათ ჰქონდათ დახვეწილი ესთეტიკური ფასეულობები, უყვარდათ ლიტერატურა, განსაკუთრებით პოეზია. უდაბნოს არაბები, ანუ ბედუინები კი მომთაბარე ტომები იყვნენ, რომლებიც უდაბნოში არსებობდნენ და ცხოვრების სტილიდან გამომდინარე ძალზე უხეში კულტურა გააჩნდათ. მხატვრობის, ლიტერატურისა და ზოგადად ხელოვნების აბსოლუტურად უცოდინრობის გამო დაუხვეწავი და ხისტი ხასიათი ჩამოუყალიბდათ.

ისლამი წარმოიშვა და განვითარდა ნახევარკუნძულის უმნიშვნელოვანეს ქალაქ მექის მკვიდრ ხალხს შორის. მიუხედავად ამისა, ისლამი მთელ ნახევარკუნძულზე გავრცელდა და იგი ყველა არაბმა ტომმა მიიღო. მათ შორის იყვნენ უდაბნოს არაბები, რომლებიც რატომღაც პრობლემატურები იყვნენ. მათმა ღარიბმა ინტელექტუალურ-კულტურულმა დონემ ხელი შეუშალათ ისლამის არსი და კეთილშობილური ხასიათი სრულად აღექვათ. ამის შესახებ ყურანშიცაა საუბარი:

„უდაბნოელნი არაბნი ყოვლად გაკერპებულ არიან ურჯულოებითა და პირმოთნეობითა; ბუნებრივიცაა, რადგანაც უგულებელს ჰყოფენ იმ მცნებათა რომელნიც ღმერთმა თავისს მოციქულს აუწყა. ღმერთი ბრძენ და მეცნიერია.“ (9-ე სურა, 98-მუხლი)

უდაბნოს არაბები იმ სოციალურ ჯგუფებს წარმოადგენდნენ, რომლებსაც „ურჯულოებად და პირმოთნეებად“ მოიხსენიებდნენ. შუამავლის დროს მათ ყურად არ იღეს ღმერთის მითითებები იმის თაობაზე, რომ გამხდარიყვნენ ისლამის სამყაროს ნაწილი. თუმცა მოგვიანებით ისლამისთვის ისინი მაინც პრობლემის სათავედ იქცნენ. პრობლემა კი ბედუინებში წარმოშობილი სექტა „ხარიჯი“ იყო. „ხარიჯი“ აჯანყებულებს ნიშნავდა და ისინი ველური წეს-ჩვეულებებისკენ იხრებოდნენ. ამ უზნეო სექტის ყველაზე დამახასიათებელი თვისება მათი ველური და ფანატიკური ბუნება გახლდათ. „ხარიჯები“, ანუ ხალხი, ვისაც ცოტა რამ გაეგო ისლამის მოთხოვნებსა თუ ყურანის ფასეულობებისა და ღირსებების შესახებ, ომს უცხადებდნენ სხვა დანარჩენ მუსლიმანებს ყურანის იმ რამდენიმე მუხლის გამო, რომლებიც მათ მიერ დამახინჯებულად იქნა გაგებული. გარდა ამისა, ისინი „ტერორისტულ აქტებსაც“ ახორციელებდნენ. ალი, შუამავლის უახლოესი მეგობარი იყო და მას „ცოდნის ქალაქში გამავალ კარიბჭედ“ მოიხსენიებდნენ, იგი სწორედ ერთ-ერთი „ხარიჯიტის“ მიერ იქნა მოკლული.

მოგვიანებით კიდევ ერთი სასტიკი ორგანიზაცია „ჰაშაშები“ წარმოიშვა. ეს იყო იმ უმეცარი და ფანატიკოსი მებრძოლებისგან შემდგარი „ტერორისტული დაჯგუფება“, რომლებიც ვერ ჩასნვდნენ ისლამის ბრძნულ არსს და ამგვარად მათზე ზეგავლენის მოხდენა მარტივი ლოზუნგებითა და დაპირებებით ადვილი შესაძლებელი იყო.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორც ჯვაროსნებმა დაამახინჯეს და სხვაგვარად განმარტეს ქრისტიანობა, ასევე მოიქცნენ ისლამურ სამყაროში წარმოშობილი უზნეო დაჯგუფებებიც, რომლებმაც არასწორად ახსნეს ისლამი და სისასტიკეს მიმართეს. ამ სექტებისა და ჯვაროსნების საერთო დამახასიათებელი თვისება მათი „ბედუინური“ ბუნება გახლდათ. ამიტომაც იყვნენ ისინი უმეცარნი, დაუხვეწავი და უკულტუროები, აკლდათ რა თავიანთი რელიგიის გაგების უნარი. ის ძალადობა, რომელსაც ისინი მიმართავდნენ, იყო მათი განათლების დაბალი დონისა და უუნარობის ბრალი და არა იმ რელიგიისა, რომლის სახელითაც ისინი სხვადასხვაგვარ სისასტიკეს სჩადიოდნენ და ამით თითქოსდა თავიანთ სარწმუნოებას იცავდნენ.

ბედუინები მომთაბარე ტომები იყვნენ, რომლებიც შუამავალი მუჰამედის დროს უდაბნოში ცხოვრობდნენ. იმ ულმობელი პირობების გამო, რომლებშიც ისინი არსებობდნენ, მათ მკაცრი და უხეში კულტურა ჩამოუყალიბდათ

ტერორისტია ის, ვისაც სიბრალული არ გააჩნია და ვისი მიზანიც მხოლოდ განადგურებაა

რუსული ანარქიის დამფუძნებელი მაიკლ ბაკუნინი და მისი მოწაფე ნაჩაიევი იდეალურ ტერორისტს შემდეგნაირად აღწერდნენ:

მისი (რევოლუციონერის) მთელი ქმედება,არა მარტო სიტყვებით, არამედ საქმითაც უპირისპირდება საზოგადოებაში არსებულ წყობილებას და ე.წ. მთელ ცივილიზებულ სამყაროს, მის კანონებს, მორალსა და წეს-ჩვეულებებს, ის არ არის კომპრომისული ოპონენტი. მან იცის მხოლოდ ერთი მეცნიერება – მეცნიერება განადგურების შესახებ. (სტატია გაზეთ „ალარმში“, „ბაკუნინის ნაშრომი სოციალურ რევოლუციაზე“, 1885 წლის 26 დეკემბერი, გვ. 8)

როგორც ბაკუნინისა და ნაჩაიევისაგან გავიგეთ, ტერორისტები არიან ის ადამიანები, რომლებიც წყვეტენ ურთიერთობას ყოველგვარ მატერიალურ და სულიერ ინსტიტუტებთან. ამგვარად ისინი უარყოფენ ყოველგვარ მორალურ ფასეულობებს და ამ ინსტიტუტებს თავიანთი განზრახვების ხელისშემშლელ ფაქტორებად მიიჩნევენ. ბაკუნინმა ასევე თქვა: „დღე და ღამ მას (რევოლუციონერს) მხოლოდ ერთი აზრი ურტიალებს თავში და მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებს: მტრის შეუწყნარებელი განადგურება, და მაშინ, როდესაც ის ამ განზრახვას ახორციელებს, მზად არის, თვითონაც შეეწიროს დასახულ მიზანს და ნებისმიერი ადამიანიც გამოასალმოს სიცოცხლეს, ვინც კი ამაში ხელს შეუშლის.“ თავის ნაშრომში სოციალურ რევოლუციაზე ბაკუნინი აღწერს, თუ როგორი პიროვნება უნდა იყოს ტერორისტი:

ის თავის თავსაც იგივენაირი სიმკაცრით უნდა მოექცეს, როგორც სხვებს. ყველანაირი გრძნობა, ეს იქნება მეგობრობის, ურთიერთობის, სიყვარულისა და თუნდაც მადლიერების, უნდა შეცვალოს მხოლოდ რევოლუციური საქმიანობის მიმართ ცივი სიყვარულით.“

ეს სიტყვები ნათლად ასახავს ტერორისტის ნამდვილ მანკიერ სახეს და აშკარა ხდება, რომ იგი სრულიად ეწინააღმდეგება ისლამურ რელიგიას, რომელიც დაფუძნებულია შემწყნარებლობაზე, მშვიდობასა და სიყვარულზე. ღმერთი გვასწავლის, რომ სიმშვიდე და ჰუმანურობა, ხოლო მისი საპირისპირო - ომი და კონფლიქტები – სატანისეულია:

მორწმუნენო! ყველანი ჭეშმარიტ სარწმუნოებას დაადექით; სატანას კვალზე არ იაროთ; თქვენი ცხადი მტერია.“ (2-ე სურა, 204-ე მუხლი)

ტერორიზმის ფსიქოლოგია

ტერორისტების ერთ-ერთი მახასიათებელი ნიშანთვისება ის არის, რომ ისინი ერთობლივი სულისკვეთებით მოქმედებენ. ამ სულისკვეთებაში ინდივიდუალური იდეები და პირადი არჩევანი უგულვებელყოფილია, რადგან ყველა ერთი მიზნისკენაა მიმართულია. მათ, ვინც ერთობლივი სულისკვეთებით მოქმედებენ, შეუძლიათ ისეთი საქციელი ჩაიდინონ, რასაც ცალკე, ინდივიდუალურად და საღად მოაზროვნე ადამიანი არასოდეს ჩაიდენდა. უმეტეს შემთხვევებში ტერორისტები საკუთარი გონებისა და სურვილის წინააღმდეგ მოქმედებენ. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ტერორისტული დაჯგუფებები, იმ უგუნური და უცოდინარი ადამიანებისგან შედგება, რომლებიც ლოზუნგებისა და მასობრივი ზეგავლენის ქვეშ ექცევიან. ისინი თავიანთ ქმედებებს ვერ აცნობიერებენ და ენით აუწერელ სისასტიკეს სჩადიან. ასეთი ადამიანი ერთ წამში შეიძლება გახდეს მკვლელი, უარეს შემთხვევაში კი იგი ტერორისტი ხდება. შეიძლება პიროვნება მშვიდი და გაწონასწორებული ჩანდეს, მაგრამ როდესაც იგი ტერორისტულ დაჯგუფებას უართდება, იგი ნგრევისა და განადგურების გარდა სხვა ვეღარაფერზე ფიქრობს. ზოგიერთი ადამიანი იმხელა ზეგავლენის ქვეშ ექცევა, რომ საკუთარი სიცოცხლის დაკარგვაც უკვე არარაფრად უღირს. ის, ვინც ძალადობრივ აქტში იღებს მონაწილეობას უგუნური, სუსტი და უნებისყოფოა. ცხვრის ფარას დამსგავსებული ტერორისტული დაჯგუფება უმართებულო ფსიქოლოგიის ზეგავლენის ქვეშ ექცევა. მათ შემთხვევაში საღი აზრი და გონიერება ჩანაცვლებულია ზომაგადასული და შეუსაბამო ემოციურობითა და ძალადობისკენ მიდრეკილებით. იმ ადამიანების პროვოცირება, რომლებიც არანაიარ კანონს არ სცნობენ, ძალზე მარტივია.

ამ სახის ფსიქოლოგიაზე ყურანშიც არის საუბარი. ღმერთი ადამიანს მოუწოდებს, რომ მან საკუთარ სურვილსა და გონიერებაზე დაყრდნობით იმოქმედოს:

„ნუ გამოეკიდები მას, რასაც ვერ იცნობ. ყურთასმენის, თავლთახედვის, გულის, ყოვლისავე ამის ანგარიში მოგთხოვონ.“ (17-ე სურა, 38-ე მუხლი)

ტერორიზმის ერთ-ერთი წყარო: მესამე მსოფლიო ფანატიზმი

ეს ისტორიული ფაქტები დაგვეხმარება უკეთ გავიგოთ დღევანდელი ფენომენი, ე.წ. „ისლამური ტერორი“, რომელიც დღესდღეობით საერთაშორისო დღის წესრიგში დგას. ეს იმიტომ, რომ ისინი, ვინც ისლამის სახელით გეგმავენ და ახორციელებენ ტერორისტულ აქტებს, ისლამური სამყაროს უმცირესობას წარმოადგენენ. მათ მხარს „ბედუინების“ მსგავსი ადამიანები უჭერენ და ისლამურ რელიგიასთან საერთო არაფერი აქვთ. ვერ სწვდებიან რა ისლამის არსს, რომელიც მშვიდობასა და სამართლიანობაზეა დამყარებული, ისინი რელიგიას ბარბაროსობის იარაღად იყენებენ. ეს ყველაფერი კი მათ სოციალური და კულტურული ცხოვრების შედეგია. ბარბაროსობა, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ „მესამე მსოფლიო ფანატიზმი“, სათავეს იღებს იმ ხალხის უმეცარი ინიციატივებისგან, რომლებიც მოკლებულნი არიან თანამოძმეთა სიყვარულს.

ფაქტია, რომ ბოლო რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, ისლამური სამყაროს ყველა კუთხის მუსლიმანებზე დასავლეთისა და მათი პარტნიორების მხრიდან ძალადობა და აგრესიული ქმედებები ვლინდება. ევროპის კოლონიურმა სახელმწიფოებმა, ადგილობრივმა დესპოტურმა წეს-წყობილებამ თუ დასავლეთის მხარდამჭერმა კოლონისტებმა (მაგ. ისრაელმა) მუსლიმანებს უზარმაზარი ტანჯვა მიაყენეს. მიუხედავად ასეთი სიტუაციისა, მუსლიმანებმა პასუხი ყველას ყურანზე დაყრდობით უნდა გასცენ.

ყურანის არცერთ ნაწილში ღმერთი არ მოუწოდებს მორწმუნეებს, რომ ძალადობას ძალადობითვე უპასუხონ. პირიქით, ღმერთი უბრძანებს მართლმორწმუნეებს „ბოროტებას სიკეთით შეხვდნენ“:

„ბოროტი და კეთილი თანატოლად ვერ ივლიან. ბოროტის წილ კეთილი მიაგე, და ნახო, მტერი მფარველად და მეგობრად გადაგექცეს.“ (41-ე სურა, 34-ე მუხლი)

ეჭვგარეშეა, რომ მუსლიმანებს სამართლიანი უფლება აქვთ რეაგირება მოახდინონ სისასტიკეზე. თუმცა, ეს რეაგირება არასოდეს უნდა გადაიზარდოს ბრმა სიძულვილში ან უსამართლო მტრობაში. ღმერთი ამის შესახებ შემდეგ მუხლში საუბრობს:

„...ვინც საღვთო სალოცავითგან თქვენს განდევნას ცდილობდენ, მათ მიმართ გულძვირობამ უსამართლო საქმე არ ჩაგადენინოსთ. უმჯობესია, კეთილი და სათნო რამ ერთმანეთის დახმარებითა ჰქმნათ, მაგრამ ბოროტსა და უსამართლობაში ერთმანეთს კი არ დაეხმაროთ...“ (5-ე სურა, 3-ე მუხლი)

მაშასადამე, ე.წ. „მსოფლიოს დაჩაგრული ერის“ სახელს ამოფარება და ტერორისტული აქტების განხორციელება სხვა ეროვნების უდანაშაულო ხალხზე რა თქმა უნდა, ყველანაირად შეუთავსებელია ისლამთან.

ცალკე უნდა აღინიშნოს ის საკითხი, რომ ყველა დასავლური ერები და საზოგადოებები მუსლიმანების წინააღმდეგ განხორციელებულ ზემოაღნიშნულ ძალადობასა და ჩაგვრაზე პასუხს ვერ აგებენ. ფაქტობრივად, ამ სამწუხარო მოვლენებსა და აგრესიაზე პასუხისმგებლობა XIX საუკუნიდან მომრავლებულ მატერიალისტებს, არარელიგიურ ფილოსოფოსებსა და იდეოლოგებს აკისრიათ. ევროპული კოლონიალიზმი ქრისტიანობისაგან არ წარმოქმილა. პირიქით, კოლონიალიზმამდე გზა ქრისტიანობის ფასეულობათა საპირისპირო, ანტი-რელიგიურმა ქმედებებმა გაიკაფა. XIX საუკუნის ყველა ძალადობრივი აქტი სათავეს დარვინისტული იდეოლოგიისგან იღებს. დღესდღეობით დასავლეთის სამყაროში კვლავ არსებობს მავნებელი და საპირისპირო ფაქტორები, ისევე, როგორც ის მშვიდობიანი და სამართლიანი ელემენტებით გაჯერებული კულტურა, რომელიც ქრისტიანობისაგან გამომდინარეობს. როგორც წესი, უთანხმოება დასავლეთსა და ისლამს შორის არ არის. საზოგადო აზრის საპირისპიროდ, უთანხმოება დასავლეთის ისლამური სამყაროს ხალხებსა და მათი საპირისპირო იდეოლოგიების (მატერიალისტები, ათეისტები, დარვინისტები) მიმდევრებს შორის ხდება.

სხვა ნიშანი იმისა, რომ მესამე მსოფლიო ფანატიზმს ისლამთან საერთო არაფერი აქვს, ის არის, რომ ეს ფანატიზმი კომუნისტურ იდეოლოგიად იყო მიჩნეული. კარგადაა ცნობილი, რომ მსგავსი ანტი-დასავლური ტერორისტული ქმედებები 1960-1970 წლებში საბჭოთა კომუნისტური ორგანიზაციების მიერ იქნა განხორციელებული. მას შემდეგ, რაც კომუნისტური იდეოლოგიების გავლენა შემცირდა, ამ ორგანიზაციების ზოგიერთმა ფუძემდებელმა ყურადღება ისლამს მიაქცია. ისლამის არასწორი ინტერპრეტაციითა და დემაგოგიური ლიტერატურის შეჯერების შედეგად მივიღეთ „რელიგიით შენიღბული სისასტიკე“, რომელიც აბსოლუტურად ეწინააღმდეგება იმ მორალურ ფასეულობებს, რომლებიც აყალიბებენ ისლამის რელიგიის არსს.

ბოლო შენიშვნა ამ თემასთან დაკავშირებით ის არის, რომ ისლამი არ არის რომელიმე კონკრეტული ერისა თუ გეოგრაფიული რეგიონის მახასიათებელი ნიშან-თვისება. გაბატონებული „დასავლური შემეცნებისგან“ განსხვავებით ისლამი არ არის „დასავლური კულტურა“. ისლამი არის ის რელიგია, რომელსაც კაცობრიობა ჰუმანურობისკენ მიჰყავს. მუსლიმანები პასუხისმგებელნი არიან ყველა ერისა და კულტურის ხალხს გააცნონ ის ჭეშმარიტი რელიგია, რომელით მათ სწამთ და მსოფლიო

ტერორიზმის ერთ-ერთი მეთოდი საზოგადოებაში შიშის და პანიკის გამოწვევაა

ტერორიზმის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი ნიშანთვისება ის არის, რომ იგი მსხვერპლს განურჩევლად ირჩევს. ეს შემზარავი ფაქტი კი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზია შიშის გავრცელებისა, რადგან თავს დაცულად ვერავინ გრძნობს. როდესაც ადამიანებმა იციან, რომ შესაძლოა ტერორისტების უმიზეზო მსხვერპლნი გახდნენ, თავისთავად მათ მიმართ შიში მატულობს. პოტენციური მსხვერპლი თავს ვერაფრით დაიცავს, რადგან ტერორისტები თავიანთი წესების შესაბამისად მათ მიერ შერჩეულ დროსა და ადგილას მოქმედებენ. ამგვარად საზოგადოებაში განხორციელებული ტერორისტული აქტები აბსოლუტურად გაუმართლებელი და დაუსაბუთებელია.

ტერორისტები თავიანთ მსხვერპლს თავს პრაქტიკულად ნებისმიერ ადგილას ესხმიან, რაც უდანაშაულო და დაუცველი პირების სიკვდილსა და დაშავებას იწვევს. ამის ტიპური მაგალითი იყო 1995 წლის 20 მარტს ტოკიოს მეტროში მხუთავი აირის გაშვება.

ისლამთან დაახლოვონ.

იმ ხალხის ერთადერთი ხსნა, რომლებიც ტერორსა და სისხლისღვრას მიმართავენ და დესპოტურ რეჟიმს ამყარებენ შემდეგში მდგომარეობს: ისინი უნდა ჩასწვდნენ ისლამის ნამდვილ არსს და შემდეგ სხვებსაც შთააგონონ, რომ თუ ადამიანს სულის გადარჩენა სურს, უნდა იწამოს ისლამი და მისდიოს ყურანის მოძღვრებას.

რადიკალიზმის შეცდომა

არის კიდევ ერთი ტერორის ფორმა, რომელსაც ერთად უნდა ვებრძოლოთ. ეს არის რადიკალიზმის ფენომენი.

რადიკალიზმი ნიშნავს ნებისმიერ სფეროში უცაბედი, დამანგრეველი ცვლილებების მხარდაჭერას და მიზნის მისაღწევად მკაცრი უკომპრომისო პოლიტიკის გამოყენებას. რადიკალები ხასიათდებიან რევოლუციური ცვლილებების სურვილით, მკაცრი და აგრესიული დამოკიდებულებით.

ცხოვრების ნებისმიერ სფეროში მუსლიმანების წინამძღვარი ყურანია. როდესაც ყურანს კარგად გავეცნობით, ვნახავთ, რომ მას რადიკალიზმთან საერთო არაფერი აქვს. როდესაც ღმერთი მორწმუნეებს ყურანში აღწერს, ის ადამიანებს მოსიყვარულე, ტკბილად მოსაუბრე პიროვნებებად ახასიათებს, რომლებიც კონფლიქტებსა და დავას ყოველთვის თავს არიდებენ, ყველაზე მტრულად განწყობილ ადამიანებსაც კი თბილად და მეგობრულად ეპყრობიან.

ამის დამამტკიცებელია ღვთის მიერ მოსესა და აარონისთვის მიცემული ბრძანება, რათა ფარაონს ზრდილობიანად დალაპარაკებოდნენ:

„მიდით ფარაონთან, რომელიც არაწმინდაა. ტკბილის ენით ელაპარაკეთ; ეგების გულის ხმა ჰყოს, ან შეშინდეს.“ (20-ე სურა, 45-46-ე მუხლები)

ფარაონი თავის დროის ყველაზე ურწმუნო და სასტიკი ადამიანი იყო. ის იყო დესპოტი, რომელიც ღმერთს უარჰყოფდა და კერპებს ეთაყვანებოდა. უფრო მეტიც, ის მორწმუნეებს სასტიკად აწამებდა და სასტიკად ხოცავდა. ღმერთმა უბრაძანა თავის მიმდევრებს, რომ მისულიყვნენ ამ მტრულად განწყობილ ადამიანთან და სათნოდ დალაპარაკებოდნენ.

შეამჩნევდით რომ ღვთის მიერ ნაჩვენები გზა შეიცავდა მშვიდობიან დიალოგს, და არა კონფლიქტს გამაღიზიანებელი ლოზუნგებითა და აჟიტირებულ პროტესტს.

დიალოგის დიდებული მაგალითია შოაიბისა და ურწმუნოებს შორის გამართული საუბარი. დიალოგი ყურანში შემდეგნაირად არის გადმოცემული:



„ღმერთი გიბრძანებსთ,
სათანადო მისცეთ, ვისაც ერგებოდეს და
თქვენნი მსგავსნი სამართლიანად
განიკითხოთ. ღმერთი კარგ საქმეს
გიბრძანებსთ. ყველაფერს ისმენს და ხედავს.
“ (4-ე სურა, 61-ე მუხლი)

„მადიანელთა მიმართ მოვავლინეთ მათი ძმა შოაიბ. ჩემო ერო! უთხრა, ღმერთს თაყვანი ეცით; მას გარდა, სხვა ღმერთებს ნუ იყოლიებთ; საწყაოსა და სასწორს ნუ დააკლებთ. გხედავთ, უქონელი არა ხართ; მაგრამ მე მეშინია თქვენ წილ იმ დღის სასჯელისა, რომელმაც ყველა უნდა გარემოგიცვალოს.

ჩემო ერო! საწყაო თავს მოჰყარეთ, სამართლიანად აჰსწონეთ და ნურც მოატყუილებთ ხალხს მის ქონებაში; უსამართლობას ქვეყანაზე ნუ ჩაიდენთ.

სულ მცირეოდენი, რაც ღვთის წყალობით დაგრჩესთ, თქვენთვის უმჯობესი იქმნეს, თუ მორწმუნე ხართ. თქვენი დარაჯი როდი ვარ.

მათ უთხრეს: შოაიბ, შენი ღვთისნიერება არ გვიბრძანებს, დავტოვოთ ის, რასაც ჩვენი მამები თაყვანს ჰსცემდნენ. ან არ მოვეკიდოთ ჩვენს ქონებას ისე, როგორც ჩვენ გვეპრიანება? თუმცა კი მშვიდ და სწორი კაცი ხარ.

ჩემო ერო! შოაიბმა მიუგო, მითხარით: თუ ღვთისგან მიმიღია ცხადი საბუთი და თუ ჩემთვის მოუნიჭებია ჩინებული ნაწილი თავისი ქონებისა, ხომ არ მმართებს, წინააღუდგე მას, რაც აკრძალულია ჩემთვის? მხოლოდ თქვენი გასწორება მწადია, რამდენადაც შემიძლია; ერთადერთი შემწეობა ღვთისაგან მეძლევა, მაზედ დამიმყარებია ჩემი იმედია და მასთან მოვიქცე.“ (11-ე სურა, 85-90-ე მუხლები)

როდესაც გადახედავთ ზემოთ თქმულს, ვნახავთ, რომ შოაიბმა მოიწვია ხალხი, რათა მათ ღმერთი ერწმუნათ და მაღალ მორალურ პრინციპებს ზიარებოდნენ. მან ეს თავისივე ჰუმანურობისა და კაცთმოყვარეობის გამო ჩაიდინა. ჩვენ შეგვიძლია ავხსნათ ამ მუხლში გადმოცემული ფაქტები”

შოაიბი ამბობს: თქვენი დარაჯი როდი ვარ. მას არ სურს მათზე ზეგავლენის მოხდენა. მისი მთავარი მიზანია, ხალხი ღვთის ჭეშმარიტებას აზიაროს.

მაგრამ მე მეშინია თქვენ წილ იმ დღის სასჯელისა, რომელმაც ყველა უნდა გარემოგიცვალოს. შოაიბის ეს სიტყვები გვიჩვენებს, რომ იგი თბილი, სათნო და მზრუნველი ადამიანია.

ჩემო ერო! შოაიბმა მიუგო, მითხარით. იგი ამ ფრაზით მორწმუნეებს მოუწოდებს, რომ ჭკუა გონებას მოუხმონ. სხვა სიტყვებით, ის დაჟინებულ ზეწოლას არ ახდენს მათზე და ცდილობს, ამ ხალხმა დასკვნები თავიანთი ნებით გამოიტანოს.

არ მმართებს, წინააღუდგე მას, რაც აკრძალულია ჩემთვის? შოაიბის მტკიცე უარყოფა ამ შემთხვევაში სულაც არ არის აკრძალვა. ის ხსნის, რომ ასეთი საქციელი ცოდვაა და ხალხს მოუწოდებს თავი აარიდონ მას. უფრო მეტიც, როდესაც ის ამბობს, წინააღუდგე მას, ეს სულაც არ ნიშნავს ხალხთან კამათის წამოწყებას. მას არ უნდა დავა გამოიწვიოს და

„მადიანელთა მიმართ მოვავლინეთ მათი ძმა შოაიბ. ჩემო ერო! უთხრა, ღმერს თაყვანი ეცით; მას გარდა, სხვა ღმერთებს ნუ იყოლიებთ; საწყაოსა და სასწორს ნუ დააკლებთ. გხედავთ, უქონელი არა ხართ; მაგრამ მე მეშინია თქვენ წილ იმ დღის სასჯელისა, რომელმაც ყველა უნდა გარემოგიცვალთ.

ჩემო ერო! საწყაო თავს მოჰყარეთ, სამართლიანად აჰსწონეთ და ნურც მოატყუილებთ ხალხს მის ქონებაში; უსამართლობას ქვეყანაზე ნუ ჩაიდენთ.

სულ მცირეოდენი, რაც ღვთის წყალობით დაგრჩესთ, თქვენთვის უმჯობესი იქმნეს, თუ მორწმუნე ხართ. თქვენი დარაჯი როდი ვარ.

მათ უთხრეს: შოაიბ, შენი ღვთისნიერება არ გვიბრძანებს, დავტოვოთ ის, რასაც ჩვენი მამები თაყვანს ჰსცემდნენ. ან არ მოვეკიდოთ ჩვენს ქონებას ისე, როგორც ჩვენ გვეპრიანება? თუმცა კი მშვიდ და სწორი კაცი ხარ.

ჩემო ერო! შოაიბმა მიუგო, მითხარით: თუ ღვთისგან მიმიღია ცხადი საბუთი და თუ ჩემთვის მოუნიჭებია ჩინებული ნაწილი თავისი ქონებისა, ხომ არ მმართებს, წინააღუდგე მას, რაც აკრძალულია ჩემთვის? მხოლოდ თქვენი გასწორება მწადია, რამდენადაც შემიძლია; ერთადერთი შემწეობა ღვთისაგან მეძლევა, მაზედ დამიმყარებია ჩემი იმედია და მასთან მოვიქცე.“ (11-ე სურა, 85-90-ე მუხლები)

როდესაც გადახედავთ ზემოთ თქმულს, ვნახავთ, რომ შოაიბმა მოიწვია ხალხი, რათა მათ ღმერთი ერწმუნათ და მაღალ მორალურ პრინციპებს ზიარებოდნენ. მან ეს თავისივე ჰუმანურობისა და კაცთმოყვარეობის გამო ჩაიდინა. ჩვენ შეგვიძლია ავხსნათ ამ მუხლში გადმოცემული ფაქტები”

შოაიბი ამბობს: თქვენი დარაჯი როდი ვარ. მას არ სურს მათზე ზეგავლენის მოხდენა. მისი მთავარი მიზანია, ხალხი ღვთის ჭეშმარიტებას აზიაროს.

მაგრამ მე მეშინია თქვენ წილ იმ დღის სასჯელისა, რომელმაც ყველა უნდა გარემოგიცვალთ. შოაიბის ეს სიტყვები გვიჩვენებს, რომ იგი თბილი, სათნო და მზრუნველი ადამიანია.

ჩემო ერო! შოაიბმა მიუგო, მითხარით. იგი ამ ფრაზით მორწმუნეებს მოუწოდებს, რომ ჭკუა გონებას მოუხმონ. სხვა სიტყვებით, ის დაჟინებულ ზეწოლას არ ახდენს მათზე და ცდილობს, ამ ხალხმა დასკვნები თავიანთი ნებით გამოიტანოს.

არ მმართებს, წინააღუდგე მას, რაც აკრძალულია ჩემთვის? შოაიბის მტკიცე უარყოფა ამ შემთხვევაში სულაც არ არის აკრძალვა. ის ხსნის, რომ ასეთი საქციელი ცოდვაა და ხალხს მოუწოდებს თავი აარიდონ მას. უფრო მეტიც, როდესაც ის ამბობს, წინააღუდგე მას, ეს სულაც არ ნიშნავს ხალხთან კამათის წამოწყებას. მას არ უნდა დავა გამოიწვიოს და ადამიანებმა თავი უხერხულად იგრძნონ. შოაიბის უნდა ხალხი აზიაროს

ჭეშმარიტ რწმენას და მაღალი ზნეობრივი ჩვევები შესძინოს.

რადიკალიზმის მთავარი მახასიათებელია ბრაზი. ეს განწყობა ნათლად შეიძლება დავინახოთ რადიკალების მოხსენებებში, ნაწერებში და დემონსტრაციებზე. თუმცა სიბრაზე მუსლიმანთა თვისებას არ წარმოადგენს. როდესაც ღმერთი ყურანში მორწმუნეებს აღწერს, ის ამბობს:

„მათთვის, რომელნიც სამოწყალოს გაიღებენ, როგორც ლხინში, ისე ჭირშიაც, რომელთაც შეუძლიათ გულის წყრომა დაიმშვიდონ და რომელნიც თავიანთ შეურაცხმყოფელთ მიუტევებენ, რასაკვირველია ღმერთს ქველის მოქმედნი უყვარან.“ (3-ე სურა, 128-ე მუხლი)

არ არსებობს სიტუაცია, რომელშიც მუსლიმანები ბრაზს გამოავლენდნენ. ერთადერთი, რასაც მუსლიმანი სხვა ხალხისგან მოითხოვს, არის ღვთის რწმენა და მისი მორალური პრინციპებით ცხოვრება, რომელიც მხოლოდ ღვთის წყალობით არის შესაძლებელი. არა აქვს მნიშვნელობა რას ვაკეთებთ და რამდენად ვცდილობთ, ხალხს სიმართლე ავუხსნათ, ხალხის გული მაინც ხალხის ხელშია. ღმერთი შემდეგ მუხლში მუსლიმანებს ამ მნიშვნელოვან ფაქტს ახსენებს: „მორწმუნენი განა იჭვნეულობენ, რომ ღმერთს შეუძლია ჭეშმარიტს გზას წარმართოს ყოველი ადამიანი, თუ კი ინებებს?“ (13-ე სურა, 30-ე მუხლი)

შემდეგი მუხლიც იმავე ფაქტს უსვამს ხაზს:

„ღმერთს რომ ენებებინა, ყოველი ქვეყნიერი ადამიანი იწამებდა. გწადია, ერი აიძულო მორწმუნედ გახდომას ? (10-ე სურა, 99-ე მუხლი)

მიუხედავად ამისა, მუსლიმანების ვალია, ხალხს მხოლოდ ფაქტები აუხსნას მიიზიდოს ისინი, რათა ჭეშმარიტ რელიგიას აზიაროს. მიიღებენ თუ არა ისინი ამ შემოთავაზებას ეს აბსოლუტურად მათზეა დამოკიდებული. ღმერთი ამ სიმართლეს ყურანში გვიმხელს, როდესაც ამბობს, რომ არ არსებობს ზეწოლა რელიგიაში: „ძალდატანება სარწმუნოებაში ნუ იქმნება. გზა სიმართლისა საკმაოდ გაირჩევა შეცდომაში. ვინც თაგუტ არ იწამოს და ღმერთი იწამოს, იგი ეჭიდებოდეს მაგარ ტარსა და გატეხისგანაც დაცულსა. ღმერთს ყველაფერი ესმის და უწყის. (2-ე სურა, 257-ე მუხლი)

ადამიანების ძალდატანებით გამუსლიმანება არ შეიძლება, ისევე როგორც არ შეიძლება იძულებით ლოცვა და ცოდვის აღიარება. ყველაფერი საკუთარ ნებაზეა დამოკიდებული. ღმერთი გვამოცნობს, რომ მუსლიმანები არ არიან მოძალადეები:

„ჩვენ უწყით უკეთ, რასაც (ურჯულონი) ამბობენ, შენ კი ძალას ვერ დაატან მათ. ყურანით გააფრთხილე იგინი, რომელთაც ჩვენის მუქარის ეში-

ნია“ (50-ე სურა, 45-ე მუხლი)

„ჰსთქვით: კაცნო! ჭეშმარიტება მოგევლინათ თქვენის უფლისაგან; ვინც ჭეშმარიტს გზას აირჩევს, თავის სასიკეთოდ აირჩევს; ვინც გადასცდება, თავის სულის სავნებლად გადაჰსცდება. უფლებით როდი ვარ განმტკიცებული“ (11-ე სურა, 108-ე მუხლი)

მუსლიმანები პასუხისმგებლები არიან მხოლოდ თავიანთი რელიგიის განმარტებაზე, ისინი არ მიმართავენ არანაირ ზენოლას და ძალადობას და ყველაზე ტირან ურწმუნოებთანაც კი კომპრომისული საუბრებით კმაყოფილდებიან. ასეთები ვერ იქნებიან რადიკალები, რადგანაც რადიკალიზმი იმ ფასეულობების საპირისპიროა, რაც ზემოთ ჩამოვთვალეთ. სინამდვილეში რადიკალიზმი არაისლამური მოვლენაა, რომელიც ისლამურ სამყაროში დამოუკიდებლად შემოვიდა. თუ ჩვენ გადავხედავთ რადიკალიზმის დებულებებით დახასიათებულ სოციალურ ფენომენს დავინახავთ, რომ ეს არის ძირითადად იმ მეთოდებისა და გამონათქვამების ერთობლიობა, რომელსაც კომუნისტები იყენებდნენ წარსულში, მაგალითისთვის ავიღოთ გამონათქვამი „უმეცართა მძვინვარება“, რომელსაც ჭეშმარიტ ისლამში ადგილი არ მოეძებნება (48-ე სურა, 26-ე მუხლი)

ყველა მუსლიმანმა უნდა უარყოს ბრაზი, თუნდაც მტკიცედ არგუმენტირებული დამოკიდებულება, რომელიც ყურანის არსს ეწინააღმდეგება და მისი ადგილი სათნოებით, შემწყნარებლობით, სიმშვიდითა და მეგობრობით ჩაანაცვლოს. მუსლიმანებმა სამყაროს მაგალითი უნდა მისცენ და თავიანთი შემწყნარებლობით, თავდაჭერილობით, თავმდაბლობითა და მშვიდობიანობით მთელი სამყაროს პატივისცემას დაიმსახურებენ. მუსლიმანებმა ისლამის ყველაზე ჭეშმარიტი გზებით უნდა იცხოვრონ და მსოფლიოში სამაგალითო იქნებიან. არა მარტო რწმენით, არამედ თავიანთი მიღწევებით მეცნიერებაში, კულტურაში, ხელოვნებაში, მათემატიკასა და სოციალურ წყობილებაში.

ისლამის განსაზღვრება და მისი დაცვა აბსურდული ბრალდებებისგან ყველა მუსლიმანის წმინდათაწმინდა ვალია. ჩვენს მიერ ზემოთმოყვანილი ჩამონათვალიც სწორედ ამას ემსახურება. ღმერთი ნათლად ცხადჰყოფს, რა დამოკიდებულება უნდა იქონიოს სხვების მიმართ მუსლიმანმა:

„ღვთის გზად მოუწოდე ხალხსა სიბრძნითა და ტკბილის დარიგებითა; თუ შეებაასო მათ, მოექეც პატიოსნებით; ვინაიდან შენივ უფალი უკეთ იცნობს მათ, რომელნიც გადაუხვევენ მის გზას და მათაც, რამდენიც შეჰყვებიან ჭეშმარიტ გზას. (11-ე სურა, 126-ე მუხლი)

ტერორისტების მეთოდები და ფსიქოლოგია

დღესდღეობით სიტყვა ტერორს აქვს ფართო მნიშვნელობა. ზოგადად ის რადიკალური იდეოლოგიის მქონე შეიარაღებული კონფლიქტია. საერთოდ ტერორი დაშინებას ნიშნავს. მაგრამ ეს დაშინება ფართო სფეროს მოიცავს, რომელიც უდანაშაულო ადამიანთა სიცოცხლეს ემუქრება. ამ დაშინების საშუალებით ტერორისტები ადამიანთა ქცევასა და აზროვნებაზე ზეგავლენის მოხდენას ცდილობენ. ძალადობის ყოველგვარი აქტი სწორედ ამისკენაა მიმართული. სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში ტერორისტების სამიზნეს უდანაშაულო მოქალაქეები წარმოადგენენ.

ტერორისტული ორგანიზაციები ტერორს მხარდაჭერის მოპოვების მიზნით მიმართავენ. მათი ყველა ძალადობრივი აქტი მათი ძალების განმტკიცებასა და მოქალაქეთა მხარდაჭერის მიღებაზეა გათვლილი.

ტერორის ხსენებაზე ხალხს პირველ რიგში ე.წ. „მემარცხენე ტერორი“ ახსენდება, მაგრამ განსხვავებული სახის ტერორი შეიძლება მოიძებნოს მესამე მსოფლიოსა და დიქტატორული რეჟიმის მქონე სახელმწიფოებში. თუმცა ტერორისტები აქაც მემარცხენე ტერორის ტაქტიკით მოქმედებენ. დიქტატორი ან ძალაუფლების მქონე ჯგუფი არის დესპოტური, ძალას მხოლოდ პირადი მიზნისთვის იყენებენ. სხვა და სხვა სახის წინააღმდეგობებისას დიქტატორული რეჟიმი ყოველთვის მიმართავს ძალადობას, რათა დაამტკიცოს, რომ იგი ოპოზიციაზე ძლიერია. ტერორისტულ აქტებს იმ მიზნით ახორციელებენ, რომ მოქალაქეები დააშინონ და ამით ძალაუფლება განიმტკიცონ.

ტერორისტული ორგანიზაციები შეთანხმებით იმ იდეოლოგიასთან, რომლებსაც ისინი მხარს უჭერენ, ამტკიცებენ, რომ მათი მიზანია დაამხონ მთავრობა და ადმინისტრაცია, რომლებიც მათ არალეგალებად მიაჩნიათ და რომ ამ გზით ისინი მიაღწევენ თავიანთ მიზანს – შექმნან უფრო ბედნიერი და სამართლიანი ცხოვრება. თუმცა ეს ყოველგვარ საფუძველს მოკლებული ახსნაა. ყურანის დასაწყისში ასეთი ფსიქოლოგიის ადამიანების საყურადღებოდ ღმერთი ამბობს:

„როცა მათ ეტყვიან, ქვეყნად უწესოებას ნუ სჩადიხართო, მიუგებენ, აშოროსმცა, კეთილ წესიერება შეგვაქვსო. ეჰ! უწესოებას სჩადიან, მაგრამ არ უწყიან.“ (2-ე სურა, 10-11 მუხლები)

ტერორისტებისთვის ადამიანთა მკვლელობა ცხოვრების წესია. მათ შეუძლიათ ესროლონ ბავშვებს და დახოცონ უდანაშაულო მოსახლეობა. მათთვის სისხლისღვრა სიამოვნებაა. მათ ადამიანურობის არაფერი აქვთ, მძვინვარე მხეცები არიან. თუ მათ შორის ვინმე გამოიჩენს მცირეოდენ შემბრალებლობსაც კი, ტერორისტები მას მიიჩნევენ როგორც მშიშარას, გამყიდველს და გააძევებენ მას თავიანთი რიგებიდან. ისინი ხშირად იყენებენ იარაღს ერთმანეთის წინააღმდეგ და სისხლს ღვრიან საკუთარ ორგანიზაციებში.



muslim gen

გარკვეული მიზნის მისაღწევად ტერორისტები ხალხს ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზიანს აყენებენ. რელიგიის მორალი ეწინააღმდეგება ტერორიზმს და ცდილობს საზოგადოებაში დაამკვიდროს სიყვარული, შემწყნარებლობა, სიხარული და კეთილდღეობა.

ყურანის მორალის მიხედვით, უდანაშაულო პიროვნების მოკვლა უდიდესი სისასტიკეა. ღმერთი კრძალავს ტერორისტულ აქტებს და სჯის მის ჩამდენებს.

ტერორიზმი სხვა არაფერია თუ არა სისხლისღვრის ჯოჯოხეთური წყარო. ყველა, ვინც მხარს უჭერს ამ სისასტიკეს ნიშნავს, რომ ემხრობა სატანურ სისტემას. თუ ტერორისტი იყენებს რელიგიურ სიმბოლოებსა და ენას, ამან შეცდომაში არ უნდა შეიყვანოს ვინმე. ტერორისტი, რომელიც რელიგიის სახელით მოქმედებს, ორმაგად დამნაშავეა. პირველ

რიგში სისხლისღვრისთვის, შემდეგ კი იმ ანტირელიგიური პროპაგანდისთვის, რომელიც ამ დანაშაულის ჩადენისას მოახდინეს.

რელიგია და ტერორი აბსოლუტურად საწინააღმდეგო ცნებებია. ტერორიზმის განუყოფელი ნაწილია აგრესია, მკვლელობა, კონფლიქტი, სისასტიკე და უბედურება. ყურანის მიხედვით ყველაფერი ეს ჩაგვრის სახეობაა. ღმერთი ქადაგებს მშვიდობას, ჰარმონიას, კეთილგანწყობასა და კომპრომისზე წასვლას. იგი კრძალავს ტერორს და ყველა იმ მოქმედებას, რომელიც ხელს არ უწყობს მშვიდობის დამკვიდრებას, სჯის მათ, ვინც ჩაიდენს ასეთ საქციელს:

„ვინც ღვთის პაემანს, მიიღებენ რა, დაარღვევენ, ვინც გაჰყოფენ მას, რის შეერთებაც ღმერთმა ინება, და ქვეყანაზე უსამართლობას ჩაიდენენ, მათ, წყევლა-კრულვით დამძიმებულებს, საცხოვრებლად ექმნესთ საშინელი ადგილსამყოფელი.“ (13-ე სურა, 25-ე მუხლი)

ტერორისტებისთვის და სისასტიკით შეპყრობილი ადამიანებისთვის ღმერთის შიში და სიყვარული სრულიად უცხოა. მათი გულები გაქვავებულია და ისინი სულიერად ავად არიან. ყურანში ღმერთი შემდეგნაირად მოიხსენიებს ასეთ ადამიანებს:

„ნუ დაიჯერებთ ცილის მწამებელს, სხვების ძვირად მხსენებელსა. კეთილის შემაფერხებელს, სჯულად გადამავალს, დამნაშავესა. გულფიცხსა და შობითაც უწმინდურსა“ (68-ე სურა, 11-13-ე მუხლები)

ღმერთის მიერ აკრძალულია უმიზეზოდ აჯანყება და თავდასხმის განხორციელება. ისლამი ეწინააღმდეგება ტერორსა და აჯანყებას. ყურანში ნათქვამია:

„მათ უთხარი: ღმერთმა აკრძალა ყოველივე სისაძაგლე გამოცხადებული, თუ ფარული; აკრძალა უმართლობა და ყოველივე უსამართლო მძლავრობა. აკრძალა, დაუამხანაგონ მას, რაც უნდა არსება იყვეს; ამის უფლება თქვენთვის არავითარი მოუცია და აუკრძალავს, მის თაობაზე ისეთი რამ ილაპარაკოთ, რაც არ უწყით.“ (7-ე სურა, 31-ე მუხლი)

„... ღვთის გეშინოდესთ,
რადგან თქვენი მოქმედება უწყის“
(5-ე სურა, 11-ე მუხლი)

ძალადობრივი აქტები – ტერორიზმის პროპაგანდის ერთ-ერთი მთავარი მეთოდია

ტერორისტული ორგანიზაციებისთვის ძალად ობრივი აქტები პროპაგანდაა. უდანაშაულო ხალხის ხოცვა, წამება, გატაცება, დაბომბვა, ბანკების გაძარცვა – მიმართულია პროპაგანდისა და ბრძოლისაკენ. ტერორისტისთვის, რომელიც ქმნის ქაოსს, ერთ დღეშე განხორციელებული ძალადობის თითოეული აქტი უფრო მეტის მომცემია, ვიდრე მილიონობით ბროშურის გავრცელება.

ეს იდეა აბსოლუტურად უცხოა იმ ადამიანებისთვის, რომელთაც გააჩნიათ შენდობის, მოწყალების და შემწყნარებლობის შეგრძნება. ტერორისტებისთვის უცხოა ყურანის მორალი. ამ ადამიანებმა სასურველი შედეგი შეიძლება მიიღონ მხოლოდ ისეთ საზოგადოებაში, რომელშიც მხოლოდ ანტირელიგიური ურთიერთობა დომინირებს. ამიტომ ერთადერთი შესაძლო გამოსავალი, რომელსაც შეუძლია იხსნას კაცობრიობა ამ უმეცარი აზროვნებისგან არის ყურანის მორალის შესისხლხორცება და ცხოვრების წესად ქცევა.



ტერორისტები პროპაგანდისთვის საჭიროდ მიიჩნევენ თავიანთ გამანადგურებელ ქმედებებსაც. მათ იმედი აქვთ, რომ ადამიანების და საკუთრების განადგურებით ხალხში შიშს დანერგავენ.

„ღმერთი მშვიდობის სამყოფელში
მოიწვევს და წარმართებს, ვისაც ჰნებავს,
ჭეშმარიტს გზასა.“ (10-ე სურა, 26-ე მუხლი)

ისლამის თვალსაზრისი ქრისტიანობისა და იუდაიზმის მიმდევრების შესახებ

ამერიკის შეერთებულ შტატებში განხორციელებული ტერორისტული აქტების შემდეგ, დღის წესრიგში დადგა ურთიერთობის მოგვარება დასავლურ და ისლამურ სამყაროებს შორის. როგორც ცნობილია, 90-იან წლებში ზოგიერთი ინტელექტუალი თვლიდა, რომ სამყაროში მოსალოდნელი იყო შუღლი დასავლეთსა და ისლამს შორის. ეს არის ძირითადი თემა სამუელ ჰანთინგტონის ცნობილი თეზისისა „ცივილიზაციათა შეჯახება“. თუმცა ეს თემა უკეთესად არის ჩამოყალიბებული ედვარდ სედის მიერ „მეცნიერებათა შეჯახებაში“. გადაჭარბებული და რადიკალური მოქმედება ყოველთვის იწვევს დაპირისპირებას ორ კულტურას შორის. სინამდვილეში შეიძლება არც ყოფილიყო შეჯახება დასავლურსა და ისლამურ ცივილიზაციებს შორის,

რადგანაც ქრისტიანობისა და იუდაიზმის რწმენითი დოგმები, რომელზეც დამყარებულია დასავლური ცივილიზაცია, შესანიშნავ ჰარმონიაშია ისლამთან.

ყურანში იუდეველები და ქრისტიანები იწოდებიან წმინდა წიგნების მიხედვით მცხოვრებ ხალხად. ეს იმიტომ, რომ ამ ორი რელიგიის მიმდევრები ერთგულნი არიან ღვთისგან ბოძებული ღვთაებრივი წიგნისა.

მუსლიმანები ამ ხალხის მიმართ ყოველთვის სამართლიანად და შემწყნარებლურად იქცევიან. ასეთი დამოკიდებულება არსებობს ისლამის წარმოშობიდან დღემდე. იმ დროისთვის მუსლიმანები უმცირესობას წარმოადგენდნენ. ისინი იბრძოდნენ, რათა დაეცვათ საკუთარი სარწმუნოება მექის წარმართი მკვიდრებისაგან. ამის გამო ზოგიერთმა მუსლიმანმა გადაწყვიტა გაქცეულიყო მექადან და თავი შეეფარებინა იმ ქვეყნისთვის, სადაც სამართლიანი მმართველობა იქნებოდა. შუამავალმა მუჰამედმა ეთიოპიის ქრისტიან მეფეს თავშესაფარი სთხოვა. ეთიოპიაში ჩასულ მუსლიმებს იქ ძალზე სამართლიანი მმართველობა დახვდათ. ისინი ქვეყანაში სიყვარულითა და პატივისცემით მიიღეს. მეფემ ეთიოპიაში ჩასულ წარმართთა გზავნილებს მუსლიმანთა გადაცემაზე უარი უთხრა, მართლმორწმუნეებს კი გამოუცხადა, რომ შეეძლოთ თავისუფლად ეცხოვრათ მის ქვეყანაში.

ქრისტიანების შემწყნარებლური დამოკიდებულება, ლმობიერება და სამართლიანობა ყურანის ერთ-ერთ მუხლშიც არის ნახსენები:

„...ყველაზე უფრო უყვარდეთ მორწმუნენი იმ კაცთა, რომელნიც თავიანთ თავს ქრისტიანს უწოდებენ; მიტომ რომ მღვდლები და ბერები ჰყავსთ იმათ და მიტომაც რომ დიდიგული არა აქვთ“ (5-ე სურა, 85-ე მუხლი)

მუსლიმანების, ქრისტიანებისა და იუდეველების საერთო ფასეულობები

ქრისტიანებსა და მუსლიმანებს ბევრი რამ აერთიანებთ. მრავალ ისლამურ წესს იზიარებს იუდაიზმიც. ყურანში ღმერთი აცხადებს, მუსლიმანები იზიარებენ „წმინდა ხალხის“ მსგავს წესებს და ამბობენ:

„ჩვენა გვრწამს წიგნები, ჩვენდა მოვლინებული, ისინიც აგრეთვე, თქვენ რომ მოგევლინათ. ჩვენი ღმერთი და თქვენი ღმერთი ერთი და იგივეა და სრულიადაც მივნდობივართ მის ნებასა“. (29-ე სურა, 45-ე მუხლი)

ამ სამი რელიგიის ყველა ჭეშმარიტ მიმდევარს:

* სჯერა, რომ ღმერთმა შექმნა სამყარო არაფრისგან და ამქვეყნად ყველაფერს იგი განაგებს.
* სჯერა, რომ ღმერთმა სასწაულებრივად გააჩინა ადამიანი, ცოცხალი არსებები და რომ ადამიანი ფლობს ღმერთისაგან ბოძებულ სულს.
* სჯერა მეორედ მოსვლის, სამოთხის, ჯოჯოხეთის, ანგელოზების და

რომ უფალმა გვიბოძა სიცოცხლე და ბედისწერა.

* სჯერა, რომ იესოს, მოსეს და მუჰამედის გარდა გამოგვიგზავნა მრავალი შუამავალი: ნოე, იბრაჰიმი, ისააკი, იოსები და მათ უყვართ თითოეული მათგანი.

ყურანის ერთ მუხლში მოთხრობილია, თუ როგორ არ განასხვავებენ მუსლიმანები ერთმანეთისგან შუამავლებს:

„წინასწარმეტყველსა ჰსწამს, რომ იგია უფლის მიერ მოვლინებული. მორწმუნეთა ჰსწამთ, მისი ანგელოზები, მისი წიგნები, მისი მოვლინებულნი. იგინი ამბობენ: განსხვავებას არა ვსდებთ ღვთის მოვლინებულთა შორისო. ჩვენ გვესმა და მორჩილ ვართო. მოგვიტევე ჩვენნი შეცოდებანი, უფალო! ყველანი შენდამი მოვიქცეთ.“ (2-ე სურა, 285-ე მუხლი)

სრულ ჰარმონიაშია სხვა წმინდა წიგნების მიმდევარ ხალხთა და მუსლიმანთა არა მხოლოდ რწმენა, არამედ მორალური ფასეულობებიც. დღესდღეობით ისეთ სამყაროში, სადაც ასე ფართოდ არის გავრცელებული ღალატი, ჰომოსექსუალიზმი, ნარკომანია, ეგოიზმი და ანგარება, “წმინდა წიგნების მიმდევარი ხალხი” და მუსლიმანები იზიარებენ ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა: ღირსება, პატიოსნება, უბიწოება, ჰუმანურობა, თავდადება, შემწყნარებლობა, მოწყალება და უსაზღვრო სიყვარული.



ყურანში ქრისტიანები და ებრაელები ნახსენები არიან, როგორც „წმინდა წიგნების მიმდევარ ხალხად“. ღმერთი ბრძანებს, რომ მათ უნდა მოვექცეთ პატივისცემით, სიკეთით და გულმოწყალედ

თანამედროვე ძალები რწმენის წინააღმდეგ

მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელიც აერთიანებს ქრისტიანობას, იუდაიზმს და ისლამს არის ათეისტური ფილოსოფიის გმობა.

ჩვენი დროის ყველაზე ცნობილ და ზიანის მომტან ფილოსოფიებს შორის შეიძლება დავასახელოთ მატერიალიზმი, კომუნიზმი, ფაშიზმი, ანარქიზმი, რასიზმი, ნიჰილიზმი და აგზისტენციალიზმი. ბევრმა ადამიანმა, რომლებსაც სჯეროდა სამყაროს, კაცობრიობის და საზოგადოების განვითარების ცრუ ახსნა-განმარტებებისა და დასკვნებისა, დაკარგეს თავიანთი რწმენა ან ეჭვი შეეპარათ მასში. ამ იდეოლოგიებმა მოწამლა ხალხი, საზოგადოება და ერი. ჩაითრია ადამიანები აგრესიაში, კონფლიქტებში და ომებში. უდიდესია იდეოლოგიის პასუხისმგებლობა იმ ტკივილსა და ტანჯვაზე, რომელსაც ხალხი განიცდის დღევანდელ დღეს.

მაშინ, როცა უარყოფენ ღმერთსა და ყოველივე მისგან შექმნილს, ყველა ზემოთხსენებული იდეოლოგია დაფუძნებულია საერთო ფუძეზე, ე.წ. მეცნიერულ ბაზისებზე, ჩარლზ დარვინის ევოლუციის თეორიაზე.

დღესღეობით მუსლიმანებიც და წმინდა წიგნების მიმდევარი ხალხიც ჩართული არიან ბრძოლაში ისეთი ამორალური ქმედებების წინააღმდეგ, როგორიცაა სექსუალური უკულმართობა და ნარკომანია. სამივე ამ რელიგიათაგანი უდიდეს ღირსებად მიიჩნევს უმანკოებას, პატიოსნებას და თავგანწირვას

დარვინიზმი ეყრდნობა ათეისტურ ფილოსოფიებს. ეს თეორია ამტკიცებს, რომ სულიერი არსებები წარმოიშვნენ შემთხვევით და იბრძვიან გადარჩენისთვის. ამგვარად დარვინს ხალხი შეცდომაში შეჰყავს:

„თქვენ საკუთარ სიცოცხლეს უნდა უმადლოდეთ შემთხვევითობას, უნდა იბრძოლოთ გადარჩენისთვის და თუ საჭიროა, დაჩაგროთ სხვები, რათა მიაღწიოთ წარმატებას. ეს სამყარო კონფლიქტებისა და პირადი ინტერესებისთვისაა.“

დარვინიზმისგან მომდინარეობს არამართებული ცნებები. მაგალითად, ისეთები, როგორებიცაა: „ბუნებრივი გადარჩევა“, „სიცოცხლისათვის ბრძოლა“, „ძლიერთა გადარჩენა“. ეს უკეთური მორალი ურჩევს ხალხს იყვნენ ეგოისტები, ანგარებიანები, სასტიკები და მჩაგვრელები. ის ანადგურებს ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა: მოწყალება, შემწყნარებლობა, თავდადება, კაცთმოყვარეობა, თავგანწირვა, ასევე სამი მონოთეისტური რელიგიის მორალურ ფასეულობებს და ცნებებს წარმოგვიდგენს როგორც „ცხოვრების აუცილებელ საჭიროებას.“

დარვინიზმის სწავლება უპირისპირდება წმინდა ხალხის რწმენასა და ყურანის არსს. მაშასადამე, დარვინიზმისეული სწავლება ხელს უწყობს ისეთი სამყაროს შექმნას, რომელიც უპირისპირდება სამივე საღვთო რელიგიას. ეს არის ის შემთხვევა, როცა საჭიროა წმინდა ხალხისა და მუსლიმანების გაერთიანება, ვინაიდან მათ სწამთ ღმერთი და მისაღებია ის მორალი, რომელსაც ის ქადაგებს. ამ სამი რელიგიის მიმდევრებმა უნდა ამხილონ დარვინიზმის ცდომილება, რომელსაც არა აქვს მეცნიერული საფუძვლები, მაგრამ რომლის შენარჩუნებასაც ზოგიერთი მატერიალური ფილოსოფიის გამო ცდილობს. ხალხმა ერთობლივად უნდა განახორციელოს ინტელექტუალური ბრძოლა ყველა იმ ცრუ იდეის წინააღმდეგ (კომუნიზმი, ფაშიზმი, რასიზმი) რომელიც ათეიზმს ემსახურება. ამის გააზრების შემდეგ, სამყაროში მცირე ხანში დაისადგურებს მშვიდობა და სამართლიანობა.





ულმერთო იდეოლოგიებმა, როგორიც არის ფაშიზმი, კომუნიზმი, ანარქიზმი და რასიზმი კაცობრიობას მოუტანა გამანადგურებელი ეფექტი და საზოგადოებაში დანერგა სიძულვილი.

დარვინიზმი ქმნის ისეთ საზოგადოებას, რომელშიც კონფლიქტი და ძალადობა მიჩნეულია განვითარებად ცნებად. მაგრამ მისი შედეგების შესწავლა ნათელჰყოფს, რომ დარვინიზმმა საზოგადოებას მხოლოდ ტკივილი და განადგურება მოუტანა.

ანტისემიტიზმი ისლამისაგან რადიკალურად განსხვავებულია და რასიზმის ელემენტებს შეიცავს

ანტისემიტიზმი არის ის იდეოლოგია, რომელიც საფრთხეს უქმნის მსოფლიო მშვიდობას, კეთილდღეობასა და უდანაშაულო ხალხის უსაფრთხოებას. ეს არის რასისტების სიძულვილი ებრაელების მიმართ.

XX საუკუნეში არსებულმა ანტისემიტიზმმა კაცობრიობას უამრავი უბედურება მოუტანა. მათ შორის ყველაზე საშინელი იყო ის სისასტიკე, რომელიც ნაცისტებმა ებრაელების მიმართ განახორციელეს. ამასთან ავტორიტარული რეჟიმის წარმომადგენლებმა მრავალ ქვეყანაში ებრაელები აწამეს და დაუქვემდებარეს სასტიკ მოპყრობას. ფაშისტურმა ორგანიზაციებმა შეავიწროვეს და განახორციელეს მათი ხოცვა-ჟლეტვა.

როგორ შეიძლება მუსლიმანები პატივს სცემდნენ ანტისემიტიზმს?

ისტორიის მანძილზე ებრაელთა დევნა ძირითადად რასისტული ცრურწმენის შედეგი იყო, რაც აბსოლუტურად ეწინააღმდეგება ისლამის არსს. ისრაელის სისასტიკეს უნდა შეეწინააღმდეგო და წინ აღუდგე, მაგრამ არც ერთი მუსლიმანი არ უნდა მოეპყროს უსამართლოდ და სასტიკად უდანაშაულო ებრაელ ერს

პასუხი ნათელია. ყოველმა მუსლიმანმა უნდა უარყოს ანტისემიტიზმი ისევე, როგორც უარყოფდა სხვა ნაცისტურ იდეოლოგიას. მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმანები არ ეთანხმებიან ისრაელის სასტიკ და აგრესიულ პოლიტიკას, უდანაშაულო ებრაელების დასჯა მათთვის მიუღებელია. ეს იქნებოდა ანტისემიტიზმის გამოვლინება. მართალია, დაგმობილი სიონიზმის იდეოლოგიას არაფერი აქვს საერთო ანტისემიტიზმთან, მაგრამ მიემხრო სიონიზმს, ნიშნავს, მხარი დაუჭირო ნაციზმის ერთ-ერთ ფორმას. ასევე ბევრი ებრაელი აკრიტიკებს სიონიზმის რასისტულ პოლიტიკას, ასე რომ, მათი ანტისემიტებად მიჩნევა სრულებით აბსურდულია.

ყურანში ნათქვამია, რომ ერთის გამო ყველას კრიტიკული თვალით არ უნდა უყურო. აუცილებელია სიმართლისა და სიცრუის ერთმანეთისგან გარჩევა, ისევე როგორ უდანაშაულოსა და დამნაშავის. ყურანში იმ ებრაელებისა და ქრისტიანების ხსენების შემდეგ, რომლებმაც დაარღვიეს ღვთის კანონები, ღმერთი ასახელებს კიდევ რამოდენიმე ებრაელსა და ქრისტიანს, რომლებმაც წარმოაჩინეს მორალური სრულყოფილება:

„ვისაც წერილი მიუღიათ, ყველანი ერთმანეთს კი არ ჰგვანან. ზოგიერთები გულწრფელ არიან; ღამეებს ღვთის მცნებათა მოთხრობით და თავყანისცემით განატარებენ.

ღმერთი და უკანასკნელი დღე ჰსწამსთ; კეთილსა ბრძანებენ და უკეთურს აკრძალვენ; კეთილ საქმეებს ეწაფებიან ერთმანეთის მოშურნეობითა და ქველნიც არიან.

რა კეთილიც არ უნდა ჰქმნათ, მისი სასყიდელი არ დაჰკარგოთ. ღმერთი იცნობს მათ, რომელთაც მისი ეშინიათ“ (3-ე სურა, 109-111-ე მუხლები)

ანტისემიტიზმი არის ანტირელიგიური იდეოლოგია, რომელიც სათავეს იღებს წარმართობისგან. აქედან გამომდინარე, ნაკლებად სარწმუნოა, რომ მხარი დაუჭირონ ანტისემიტიზმს და სიმპათიები გაუჩნდეთ ამ იდეოლოგიის მიმართ. ანტისემიტები არ სცემენ პატივს მოსეს, იბრაჰიმს თუ დავითს, რომლებიც იყვნენ ღვთის რჩეულნი, შუამავლები.

ანტისემიტიზმისა და რასიზმის სხვა მიმდინარეობებს არ მოეპოვებათ ადგილი ჭეშმარიტ რელიგიაში. ეს მიმდინარეობები სხვადასხვა იდეოლოგიებისა და ცრურწმენისგან წარმოშობილი დამახინჯებული სახეებია.

ანტისემიტიზმისა და რასიზმის განხილვის დროს ნათელი ხდება, რომ ეს იდეოლოგიები პროპაგანდას უწევენ ისეთ იდეებსა და სოციალურ წყობას, რომელიც სრულიად საპირისპიროა ყურანის მორალის მოძღვრებისა. მაგალითად, ანტისემიტიზმს საფუძვლად უდევს სიძულვილი, ძალადობა და შეუბრალებლობა. შეიძლება ანტისემიტი იმდენად სასტიკი იყოს, რომ მხარი დაუჭიროს ებრაელი ხალხის, ქალების, ბავშვებისა და მოხუცების სიკვდილსა და წამებას. ყურანის მორალი კი სიყვარულზე, წყალობასა და შემწყნარებლობაზეა დაფუძნებული. ყურანი მუსლი-

მანებს მოუწოდებს სამართლიანები და მიმტევებლები იყვნენ თავიანთი მტრების მიმართ.

მუსლიმანებს უნდა, რომ ებრაელები, ქრისტიანები და მუსულმანი ხალხი ცხოვრობდნენ მშვიდობასა და კეთილდღეობაში, მოეპყრონ ერთმანეთს შემწყნარებლურად, მეგობრულად და პატივისცემით. ანტისემიტებს კი წარმოუდგენლად მიაჩნიათ მშვიდობიანი ცხოვრება სხვა რასის ხალხთან ერთად. (მაგ: გერმანელი ხალხი (ნაცისტები) და ებრაული რასები (სიონისტები) წინააღმდეგნი იყვნენ გერმანელებისა და ებრაელების ერთად ცხოვრებისა. თითოეულმა მხარემ უარყო ერთად ცხოვრება თავისი რასის გადაგვარებისგან თავდასაცავად). ყურანში კი მცირე განსხვავებაც არ არის რასებს შორის. წმინდა წიგნი ქადაგებს განსხვავებული რწმენის ხალხთა მშვიდობიან და ბედნიერ თანაცხოვრებას.

ყურანის მიხედვით ებრაელებმა, მუსლიმანებმა და ქრისტიანებმა მეგობრულად უნდა იცხოვრონ

ყურანში მნიშვნელოვანი განსხვავებაა წმინდა ხალხსა და მათ შორის, ვისაც ღმერთი არ სწამს. ეს ყველაზე მკაფიოდ სოციალურ ყოფაში ჩანს. ყურანში ურწმუნო ხალხზე ნათქვამია: „ვინც უამხანაგებენ

მუსლიმანებს ებრაელებთან და ქრისტიანებთან ერთად ტოლერანტულ, მეგობრულ, პატიოსან და სამართლიან გარემოში თანაცხოვრება სურთ.

(სხვა ღმერთებს ღმერთსა), უწმინდურ არიან; ეს წელიწადი რო გავა, საღვთო სალოცავს არ უნდა დაუახლოვდენ.“ (9-ე სურა, 28-ე მუხლი) ურწმუნო ადამიანებს არ სწამთ ღვთის, აქედან გამომდინარე არ იცნობენ საღვთო კანონებს, არ გააჩნიათ მორალი და უყოყმანოდ შეუძლიათ ყველა სახის უზნეო საქციელი ჩაიდინონ.

წმინდა ხალხს, რომლებიც ეყრდნობიან ღმერთის მცნებებს, გააჩნიათ მორალი და იციან, რა არის კანონიერი და რა არა. მუსლიმანს უფლება აქვს, ცოლად შეირთოს წმინდა ხალხის წარმომადგენელი ქალი. ამ საკითხზე ღმერთი ამბობს:

„აწ ნებადართული გაქვსთ ყველაფერი, რაც კი კარგია; საჭმელსასმელი მათი, რომელთაც წერილი მიუღიათ, თქვენთვის ახსნილია, თქვენით თანასწორვე ახსნილია მათთვის. ნება გაქვსთ, დაირთოთ პატიოსანნი ასულნი მორწმუნეთა და მათიც, რომელთაც თქვენს უწინარეს წერილი მიუღიათ, თუ მხოლოდ სასყიდელი მიეცით. უბიწოთ ცხოვრობდეთ მათთან გაქსუებას მორიდებულნი და საყვარლების აუჩენლად. ვინც თავის სარწმუნოებას უღალატოს, თავის კეთილ საქმეთა ნაყოფი დაჰკარგოს და საიქიოსაც ბედშავთა შორის ქიმნეს.“ (5-ე სურა, 7-ე მუხლი)

ამ ბრძანებულებით მუსლიმანებს და წმინდა ხალხებს შორის ქორწინება გამოიწვევს მათ შორის ნათესაური კავშირის დამყარებას და ორივე მხარეს ენიჭება ნადიმში მონაწილეობის უფლება. ეს არის ძირი, რომელიც განამტკიცებს ადამიანებში სამართლიან ურთიერთობებსა და ბედნიერ ცხოვრებას. იქიდან გამომდინარე, რომ ყურანი სამართლიანობასა და ტოლერანტობას ქადაგებს, მუსლიმანს წინააღმდეგობრივი ხასიათი ვერ ჩამოუყალიბდება.

მუჰამედის ასეთი მოპყრობა წმინდა ხალხის მიმართ მუსლიმანებს ძალიან კარგ მაგალითს აძლევს. სამხრეთ აფრიკაში მცხოვრები ნაირანის ქრისტიანებთან დადებულ ხელშეკრულებაში შუამავალი წარმოგვიჩენს ტოლერანტობისა და სამართლიანობის საუკეთესო მაგალითს. ხელშეკ-

რულება ეხებოდა შემდეგ საკითხს:

ნაირანსა და მის გარშემო მცხოვრები ხალხი, მათი მიწა-წყალი, ნახირი, საკუთრება, მათი რელიგია, ღვთისმსახურების ადგილები ალაჰისა და მისი შუამავლის მფარველობის ქვეშ იქნებოდა.[20]

ამ ხელშეკრულების მიხედვით ღვთის შუამავალმა დაიცვა წმინდა ხალხისა და მუსლიმანების სოციალური წესრიგი, რომელიც ემყარებოდა მშვიდობასა და უსაფრთხოებას. ამაზე საუბარი ყურანის შემდეგ მუხლშიც არის:

„უეჭველად, ვისაცა ჰსწამსთ და ვინც ებრაულ სარწმუნოებას მისდევენ, ქრისტიანენიცა და საბეველნიც, ერთი სიტყვით, ვისაც კი ღმერთი და უკანასკნელი ჰსწამს და ვინც კეთილი ჰქმნას, ყველამ საჩუქარი მიიღოს თავიანთი უფლისაგან; შიში არ ეცეს მათ და არც შეწუხდნენ.“ (2-ე სურა, 59-ე მუხლი)

მედინას კონსტიტუცია არის ყველაზე მნიშვნელოვანი ხელშეკრულება, რომელმაც დაიცვა ქრისტიანების, ებრაელებისა და წარმართი საზოგადოების სამართალი და მდგომარეობა.

ამ ხელშეკრულებამ გაითვალისწინა სხვადასხვა სარწმუნოების ხალხთა მოთხოვნები. მუჰამედის ხელმძვანელობით 1400 წლის წინ (622 ჩვ.წ.აღ-ით) შეიქმნა მედინას კონსტიტუცია, კანონიერი ხელნაწერი კონტრაქტი. გაერთიანება სხვადასხვა ხალხებისა და რელიგიებისა, რომლებსაც გააჩნდათ ღრმა მტრობა ერთმანეთთან 120 წლის განმავლობაში, ამ ლეგალური კონტრაქტის ძირითადი ნაწილი იყო. ამ ხელშეკრულების მიხედვით შუამავალმა გვიჩვენა, რომ ის საზოგადოებები, რომლებიც ემტერებოდნენ ერთმანეთს და არ შეეძლოთ რაიმე დათმობაზე წასვლა, უნდა მისულიყვნენ გამოსავლამდე და შესაძლებელი გაეხადათ ერთად ცხოვრება.

მედინას ხელშეკრულების მიხედვით ყველას შეეძლო ყოფილიყო ნებისმიერი სარწმუნოების წარმომადგენელი და გაეკეთებინა ესა თუ ის პოლიტიკური არჩევანი. ადამიანებს, რომლებსაც აერთიანებდათ ერთნაირი შეხედულებანი შეეძლოთ ჩამოეყალიბებინათ გაერთიანება. ყველა ადამიანი დაცული იყო სამართლის სისტემით, მაგრამ დანაშაულის ჩამდენზე დაცვა უკვე აღარ ვრცელდებოდა. ეს ხელშეკრულება მოუწოდებდა პარტიებს თანამშრომლობისკენ, ერთმანეთის მხარდაჭერისკენ, ისინი დაცულები იყვნენ მუჰამედის მიერ, ამ პარტიებს შორის კონფლიქტს ღვთის შუამავალი აგვარებდა.

ეს ხელშეკრულება ძალაში იყო 622 წლიდან 632 წლამდე ჩვ.წ-აღ-ით. მისი წყალობით გაუქმებულ იქნა ნათესაობაზე დაფუძნებული ტომობრივი სტრუქტურები და სხვადასხვა კულტურის ეთნიკური და გეოგრაფიული ჯგუფების ხალხი გაერთიანდა. შეიქმნა სოციალური კავშირი. მედინას კონსტიტუციამ დაიცვა რწმენის სრული თავისუფლება.

შუამავალი მუჰამედის დროს წმინდა ხალხის მიმართ
სამართლიანი და ტოლერანტული პოლიტიკა იქნა გატარებული.

მონასტრების, ეკლესიებისა და სინაგოგების დაცვა აუცილებელია

ყურანში უამრავი სხვა მნიშვნელოვანი ფაქტია ნახსენები. წმინდა წიგნში ნათქვამია, რომ მუსლიმანებმა პატივი უნდა სცენ ებრაელთა და ქრისტიანთა საღვთო ადგილებს. ყურანში წმინდა ხალხთა საღვთო ადგილები, მაგ: ეკლესიები, მონასტრები და სინაგოგები, მოხსენიებულია, როგორც ღვთის მიერ დაცული საღვთო ადგილები:

„ღმერთს რომ არ გაეყარა ხალხის ერთი ნაწილი სხვათა მიერ, სავანეები, საყდრები, სალოცავები და მუსულმანთა სავედრებელნი, სადაც განუწყვეტლად მოუწოდებენ ღვთის სახელსა, დაიქცეოდნენ. ღმერთი შეეწიოს მას, რომელიც მისკენაა მის ბრძოლაში არაწმინდების წინააღმდეგ. ღმერთი მორჭმულ და შემძლებელია“. (22-ე სურა, 41-ე მუხლი)

ეს მცნება შთააგონებს ყველა მუსლიმანს, რომ წმინდა ხალხთა საღვთო ადგილების პატივისცემა აუცილებელია.

შუამავალმა მუჰამედმა ისევე დადო ხელშეკრულება წარმართებთან, როგორც წმინდა ხალხთან. წარმართებს ყოველთვის ექცეოდნენ სამართლიანად და როდესაც მათ მოითხოვეს დაცვა, მუჰამედმა დაუყონებლივ შეასრულა მათი თხოვნა. თუმცა წარმართებს შეეშინდათ, რომ ღვთის მოციქულის მიერ მათი დაცვა მათზე დავდასხმის მიზეზი შეიძლებოდა გამხდარიყო. მუჰამედის ცხოვრების მანძილზე მრავალმა არამუსლიმანმა და წარმართმა ითხოვა დაცვა მისგან და შუამავალმაც შეიფარა ისინი

საკუთარი ფრთის ქვეშ. ყურანში ღმერთი გვირჩევს წარმართთა მოთხოვნები იყოს დაცული, შესმენილ იქმნას მორწმუნეების მიერ. ღმერთი შემდეგს გვეუბნება:

„..თუ ვინმე კერპთაყვანისმცემელმა თავშესაფარი გთხოვოს, აუჩინე, რათა შეეძლოს ღვთის სიტყვის მოსმენა, შემდეგ წააყვანინე ეს გემცნო, ვინაიდან იგინი არიან უცოდინარი ხალხი.“ (9-ე სურა, 6-ე მუხლი)

განსხვავებით იმათგან, ვისაც ღმერთი არ სწამს, ებრაელები და ქრისტიანები უფრო დაახლოებულნი არიან ერთმანეთთან. ყველა ამ რელიგიას აქვს საკუთარი სახელმძღვანელო. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ემორჩილებიან იმ წიგნს, რომელიც მათ ღმერთმა უბოძა. გამომდინარე თავიანთი კრიტერიუმებიდან, მათ იციან რა არის მართალი და რა მცდარი, რა არის კანონიერი და რა უკანონო, ყველა თაყვანს სცემს შუამავლებსა და მოციქულებს, რომელბიც ადამიანებს წინ მიუძღვებიან. მორწმუნეებს სჯერათ, რომ იმქვეყნიურ ცხოვრებაში თავიანთი ნამოქმედარის გამო ღვთის წინაშე მოუწევთ პასუხის გება. ასე რომ, არსებობს ძირი, რომელიც ჩვენ ყველას გვაერთიანებს.



მლოცველთათვის მეჩეთები, მონასტრები და სინაგოგები ის განსაკუთრებული ადგილებია, სადაც ისინი პატივს მიაგებენ ღმერთის სახელს. ყურანში ღმერთი ამბობს, რომ ეს სალოცავები უნდა იყოს დაცული და მოვლილი

საერთო დოგმის ქვეშ გაერთიანება

წმინდა ხალხის შეხედულებით ყურანში ღმერთი მუსლიმანებს უბრძანებს დაემორჩილონ საერთო რელიგიურ დოგმას:

„ურიებსა და ქრისტიანებს უთხარი: წერილის ხალხნო: ყურად იღეთ მხოლოდ ერთი სიტყვა; ყველაფერი თანასწორ იყოს ჩვენსა და თქვენს შორის; თანახმა გავხდეთ, თაყვანი ვსცეთ მარტო ერთ ღმერთსა და არ დაუამხანაგოთ მას, რაც უნდა იყვეს, და არ გამოვსძებნოთ ურთიერთშორის მეუფენი ღვთისა თანასწორ.“ (3-ე სურა, 57-ე მუხლი)

მართლაც, ეს არის ჩვენი მოწოდება ქრისტიანებისა და ებრაელების მიმართ; ხალხი, რომელსაც სწამს ღმერთი და მისდევს მის მსახურებას, უნდა გაერთიანდეს საერთო დოგმის ქვეშ, რომელსაც ჰქვია „რწმენა“. ამ დოგმის მიხედვით უნდა გვიყვარდეს ღმერთი, რომელიც არის შემოქმედი და მბრძანებელი, უნდა დავემორჩილოთ მის ბრძანებებს. ეს დოგმა მოგვიწოდებს ვილოცოთ ღმერთისთვის და დავდგეთ სწორ გზაზე.

როდესაც მუსლიმანები, ებრაელები და ქრისტიანები დაემორჩილებიან ამ დოგმას, როდესაც ისინი გააცნობიერებენ, რომ არიან მეგობრები და არა მტრები, როდესაც ისინი დაინახავენ, რომ მათი ნამდვილი მტერი არის ღვთის უარმყოფელი – ამის შემდეგ სამყარო შეიცვლება. მსოფლიოში ომს, შიშის, მტრობას და ტერორისტულ აქტებს ბოლო მოეღება

მსოფლიოში ბოროტებას ბოლო მაშინ მოეღება, როცა მუსლიმანები, ქრისტიანები და ებრაელები ღვთის ნებას დაემორჩილებიან და რწმენის სხვადასხვაობის მიუხედავად იქნებიან ტოლერანტულები

მორწმუნეებმა ერთმანეთისთვის უდნა ილოცონ

ჩრდილოეთ ამერიკაში ისლამური საზოგადოების პრეზიდენტი, მუზემილ სიდიქიუ 11 სექტემბრის ტერაქტის დროს დაღუპულთა მოსახსენიებელ წირვაზე ვაშინგტონის ეროვნულ ცენტრში ყურანის მუხლებს კითხულობს

ბუშის ვიზიტი ვაშინგტონის ისალმის ცენტრში

ქვემოთ: პრეზიდენტმა ბუშმა ილოცა მუსლიმან იმამთან ერთად ღვთისმსახურების დროს ვაშინგტონის ეროვნულ ტაძართან

ზემოთ: მუსლიმები და არამუსლიმები ერთად ლოცულობენ დალასში

11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ ყველა რელიგიისა და ეროვნების ხალხი უფალს დაღუპულთა სულებს ავედრებენ



რომის პაპი იერუსალიმში, გოდების კედელთან;

ევროკავშირის წარმომადგენელი რომანო პროდი სიტყვით გამოდის ბრიუსელის ისლამურ ცენტრში

და წარმოიქმნება სიყვარულზე, მშვიდობასა და პატივისცემაზე დამყარებული ახალი ცივილიზაცია და ეს ყოველივე იქნება საერთო დოგმის შედეგი.

ყურანში არის მნიშვნელოვანი ფაქტები, რომლებიც აუცილებლად უნდა გაიზიარონ მუსლიმანებმა. ღმერთი შემდეგს გვასწავლის განსხვებულ ხალხსა და კრედოებზე:

- ყურანის მორალი გამორიცხავს ყველა სახის რასიზმს.

- ყურანში ნათქვამია, რომ სხვა რელიგიის წარმომადგენლებმა შეიძლება მტრობა გამოუცხადონ ისლამს და მუსლიმანებს, მაგრამ მაგრამ მართლმორწმუნეებმა მაინც ტოლერანტობა უნდა გამოიჩინონ მათ მიმართ.

ნათელია, რომ ებრაელებმა დაუშვეს ბევრი შეცდომა, რომლებიც ყურანშია ნახსენები და რომელთა გამოც ღმერთი აფრთხილებს მათ. მართალია, ისრაელის ერს კაცობრიობის წინაშე მრავალი დანაშაული მიუძღვის, მაგრამ ამის გამო მუსლიმანები მათ მიმართ არავითარ შემთხვევაში არ უნდა განეწყონ მტრულად. ყურანის მიხედვით, მუსლიმანებმა ეს ადამიანები არ უნდა დასაჯონ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი სხვა რასის, ნაციისა და რელიგიის წარმომადგენლები არიან. ყველა საზოგადოებაში არის როგორც კეთილი, ასევე ბოროტი ადამიანი. ყურანი ამახვილებს ყურადღებას ამ დიფერენციაზე. მაგალითად, ზოგიერთი წმინდა ხალხის

გამო, რომლებიც აუჯანყდნენ ღმერთსა და რელიგიას, არის დაშვებული გამონაკლისი და ნათქვამია:

„ვისაც წერილი მიუღიათ, ყველანი ერთმანეთს კი არ ჰგვანან. ზოგიერთები გულწრფელ არიან; ღამეებს ღვთის მცნებათა მოთხრობით და თაყვანისცემით განატარებენ.

ღმერთი და უკანასკნელი დღე ჰსწამსთ; კეთილსა ბრძანებენ და უკეთურს აკრძალვენ; კეთილ საქმეებს ეწაფებიან ერთმანეთის მოშურნეობითა და ქველნიც არიან.

რა კეთილიც არ უნდა ჰქმნათ, მისი სასყიდელი არ დაჰკარგოთ. ღმერთი იცნობს მათ, რომელთაც მისი ეშინიათ“ (3-ე სურა, 109-111-ე მუხლები)

შემდეგ მუხლში ღმერთი ბრძანებს:

„მოციქულები მოვუვლინეთ ჩვენ თითოეულს ერსა, ვუთხარით რა. ღმერთს თაყვანი ეცით და თაღუტს ერიდეთ. მათ შორის არიან ზოგიერთები, რომელნიც ღმერთმა წარმართა, არიან სხვები, რომელნიც დანიშნულ იყვნენ საცდუნებლად, ქვეყანა მიმოვლეთ და ნახეთ, თუ რა ბოლო ჰქონდა მათ, რომელთაც მოციქულები მატყუარებად ჩაჰსთვალეს.“ (16-ე სურა, 38-ე მუხლი)

ღმერთმა დაანახა ყველა მოციქულს, რომ ის არის ერთადერთი, რომელსაც ხალხი უნდა ემსახუროს და ირწმუნოს. ღვთის შუამავალი ერთმანეთთან აკავშირებს ადამიანებსა და ღმერთს კაცობრიობის შექმნის დღიდან. საზოგადოების ერთმა ნაწილმა ეს გააცნობიერა და დაადგა ჭეშმარიტ გზას, ხოლო მეორე ნაწილმა უარყო და განუდგა მას. ასეთი ერთმანეთისგან განსხვავებული ადამიანები დღესაც არსებობენ. ზოგიერთი მხარს უჭერს სიმართლეს, სხვები კი ბოროტების მორევში არიან ჩაძირულნი. ეს ღვთის კანონია. მორწმუნეებმა უნდა შეისიხლხორცონ სამართლიანობა და არასოდეს უნდა დაივიწყონ, რომ ნებისმიერი რელიგიის წარმომადგენლებს შორის არსებობენ მორწმუნე, ღვთისმოსავი ადამიანები, რომლებსაც გააჩნიათ ღვთის შიში და არიან ისეთი ადამიანებც, რომლებიც ძალზე შორს დგანან რელიგიური პრინციპებისგან.

ვიმედოვნებთ, რომ შეიქმნება ისეთი სამყარო, რომელშიც სხვადასხვა რწმენისა და ეროვნების ხალხი მშვიდობიანად თანაცხოვრებას შეძლებს; სადაც რასისტული ძალადობა აღარ იარსებებს; სადაც დაცული იქნება ყველა ადამიანის უფლება და თავისუფლება. ანტირელიგიური იდეოლოგიების წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა, რომელიც დამყარებული იქნება ინტელექტუალურ საფუძველზე, აუცილებლად მშვიდობასა და უსაფრთხოების შეგრძნებას. ამის შესახებ ღმერთი ყურანშიც საუბრობს:

„თქვენს უწინარეს ყოფილ თაობათა შორის, ვინც ქველობას იღვწოდენ და ქვეყნად უსამართლობის ჩადენას უშლიდნენ, მისთანა რიცხვი მცირეოდენ იყო. იგი დავიხსენი, ხოლო უკეთურნი აჰყვნენ თავიანთ მადას და შჯულგადამავალნიც შეიქმნენ.“ (11-ე სურა, 118-ე მუხლი)


„ვინც წარდგეს კეთილნამოქმედარითა,
სარგებლობა ნახოს.“
(27-ე სურა, 91-ე მუხლი)

ისლამმა ახლო აღმოსავლეთის მშვიდობა და ჰარმონია მოუტანა

ისტორიაში ხშირია მაგალითები, როდესაც კონკრეტულ ტერიტორიებს მუსლიმანები ყურანის მორალზე დაყრდნობით მართავდნენ და ამ ადგილებში მუდამ მშვიდობა, სამართლიანობა და ტოლერანტობა სუფევდა. შუამავალი მუჰამედის სიცოცხლის პერიოდში დაპრობილ მიწებზე მმართველები მხარს მხოლოდ მათ უჭერდნენ, ვისაც ღმერთის მოციქულთა კვალისა და ყურანის სწავლებისგან არასოდეს გადაუხვევია. ისინი ყურანის მორალიდან გამომდინარე მშვიდობიან საზოგადოებას აყალიბებდნენ. ყურანში აღწერილი ჭეშმარიტი სამართლიანობა და პატიოსნება ამ მმართველობის დროს აღმოცენდა და შემდგომ თაობებს ბრწყინვალე მაგალითი მისცა.

პალესტინის მიწა და მისი დედაქალაქი იერუსალიმი სამი საღვთო რელიგიის წარმომადგენლებით იყო დასახლებული.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ამ ტერიტორიას მშვიდობა და სტაბილურობა მუსლიმანების მმართველობამ მოუტანა. მართლაც, უკანასკნელი 1400 წლის მანძილზე მუსლიმანურმა კანონებმა იერუსალიმსა და პალესტინაში მშვიდობა დაამკვიდრა.

ხალიფა ომარის მიერ პალესტინაში დამკვიდრებული მშვიდობა და სამართლიანობა

იერუსალიმი ებრაელების დედაქალაქი ჩვ.წ-აღ-ით 71 წლიდან არსებობს. იმ წელს რომაელებმა ებრაელებზე იერიში მიიტანეს და ისინი მიმდებარე ტერიტორიებიდან განდევნეს. როდესაც ებრაელთა დიასპორა შეიქმნა, იერუსალიმი და მისი შემოგარენი მიტოვებული იყო.

მას შემდეგ, რაც რომაელ იმპერატორ კონსტანტინეს დროს იერუსალიმმა ქრისტიანობა მიიღო, იგი კვლავ ინტერესის საგანი გახდა. რომაელებმა იერუსალიმში ქრისტიანული ეკლესიები ააშენეს. ამ რეგიონში ებრაელთა დასახლება დაუშვებელი იყო. პალესტინა რომაელების (ბიზანტიელების) საკუთრება VII საუკუნემდე იყო. სპარსელების მცირე ხნის ბატონობის შემდეგ ეს ტერიტორია ბიზანტიელებმა დაიპყეს.

პალესტინაში წლების განმავლობაში, ყოველ ახალ მმართველ ძალას ომი, სისხლისღვრა და სისასტიკე მოჰქონდა. მის ისტორიაში მნიშვნელოვანი გადატრიალება 637 წელს მოხდა, როდესაც პალესტინა ისლამურმა ჯარებმა დაიპყრო. ეს პალესტინისთვის მშვიდობიანი და ჰარმონიული ცხოვრების დასაწყისს ნიშნავდა. ისლამის შემოსვლა დასაწყისი იყო ახალი ერისა, ეპოქისა, როდესაც განსხვავებული სარწმუნეობის მქონე ადამიანებს მშვიდობიანი თანაცხოვრების საშუალება მიეცათ.

პალესტინა ომარმა დაიპყრო, რომელიც შუამავლის შემდეგ მეორე ხალიფა იყო. იერუსალიმში ხალიფას შესვლამ სხვადასხვა სარწმუნოების ხალხში ტოლერანტობას და სიკეთეს დაუდო სათავე. ეს იდეალური ხანის დასაწყისი იყო. ბრიტანელი ისტორიკოსი, კარენ არმსტრონგი თავის წიგნში „წმინდა ომი“ იერუსალიმში ომარის შებრაძნებას ასე აღწერს:

ხალიფა ომარი ეირუსალიმში თეთრ აქლემზე ამხედრებული შევიდა, თან ქალაქის წარმომადგენლები და ბერძენი პატრიარქი ახლდა. ხალიფამ დაუყონებლივ წმინდა მიწაზე წაყვანა ითხოვა. მან სწორედ იმ ადგილას ილოცა, სადაც მისმა მეგობარმა ღამის მსვლელობა შეასრულა. პატრიარქი ომარს შიშით შეჰყურებდა და ფიქრობდა: „ეს ალბათ ის გამანადგურებელია, რომლის მოსვლად დანიელმა იწინასწარმეტყველა ტაძარში შემოსვლისას, ეს ქვეყნიერების დასასრულის მომასწავებელი ანტიქრისტეა.“ შემდეგ ხალიფამ ქრისტიანული აკლდამის ნახვა მოისურვა. სანამ ის წმინდა საფლავის ეკლესიაში იყო, მუსლიმანური ლოცვის დრო დადგა. პატრიარქმა ზრდილობიანად შესთავაზა, სადაც იყო, იქ ელოცა. მაგრამ ომარმა ასევე ზრდილობიანად განუცხადა უარი. მან აუხსნა, რომ სალო-

ცავად მისი მუხლის მოდრეკა, მუსლიმანებისთვის იქ მეჩეთის აშენებაზე მიმანიშნებელი ჟესტი იქნებოდა. შემდეგ ომარი მოშორებით წავიდა და იქ ილოცა. ამის დამამტკიცებელია წმინდა საფლავის წინ არსებული მეჩეთი, რომელიც ხალიფა ომარს ეძღვნება.



ომარის მეჩეთი (ხშირად მას ქვის გუმბათსაც ეძახიან)

ასევე წმინდა მთაზეა ომარის ერთ-ერთი უდიდესი მეჩეთი ალ-აქსი, რომელიც მუსლიმანების გამარჯვების ნიშნად აიგო და რომელიც მუჰამედის ღამის სვლას გვაგონებს. წლების განმავლობაში ქრისტიანები შეეჩვივნენ დანგრეულ ებრაულ სინაგოგებს და მათ ნაგავსაყრელად იყენებდნენ. ორი სალოცავისთვის ტერიტორიის გასუფთავებაში ხალიფა თვითონ იღებდა მონაწილეობას, რათა ისლამური სამყაროს მესამე წმინდა ქალაქში ისლამის სადიდებელი სალოცავები აეშენებინათ.[21]

მუსლიმანების მიერ იერუსალიმის დაპყრობით ქალაქში ცხოვრება უფრო უსაფრთხო გახდა, სადაც სამი რელიგიის მიმდევრები ჰარმონიულად თანაარსებობდნენ ერთმანეთის გვერდით. ჯონ ესპოსიტო წერს:

> როდესაც 638 წელს არაბთა ჯარებმა იერუსალიმი აიღეს, მათ ის ტერიტორია დაიკავეს, რომელიც თავისი სამლოცველოების წყალობით მთელს ქრისტიანულ სამყაროში პილიგრიმთა თავშეყრის მთავარ ცენტრს წარმოადგენდა. ეკლესიებისა და



მოსახლეობისთვის ზიანი არავის მიუყენებია. იმ ებრაელებს, რომლებსაც აქ ცხოვრება ეკრძალებოდათ, ნება დართდეს დაბრუნებულიყვნენ და სოლომონისა და დავითის ქალაქში ღვთისმსახურება აღევლინათ.[22]

როდესაც ხალიფა ომარი იერუსალიმში შევიდა, მან იერუსალიმის პატრიარქთან ერთად ქვემოთმოყვანილ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი:

ეს არის იმ უსაფრთხოების გარანტი, რომელიც ომარმა, ღმერთის შუამავალმა და ჭეშმარიტების მქადაგებელმა ელიამ ხალხს უბოძა. ისინი პირობას დებდნენ, რომ დაიცავდნენ მათ ჯანმრთელობას, სიცოცხლეს, საკუთრებას, ეკლესია-მონასტრებს და ჯვრებს. ხელშეკრულებაში ეწერა, რომ მათ ეკლესია-მონასტრებს არ დაანგრევდნენ და არც საცხოვრებელ ადგილებად გამოიყენებდნენ; არ გაანადგურებდნენ მათ პირად კუთვნილებას, ადგილობრივ მცხოვრებლებს არ ჩამოეთმეოდათ ჯვრები და მათივე რწმენის გამო მათზე არ განხორციელდებოდა ძალადობა.[23]

მოკლედ, მუსლიმანებმა იერუსალიმსა და მთელ პალესტინაში ცივილიზაცია შეიტანეს. იმ აგრესიული რწმენის ნაცვლად, რომელიც პატივს არ სცემდა სხვა ხალხების რწმენის ღირებულებებს, გაბატონდა ისლამის სამართლიანი, ტოლერანტული და სანიმუშო კულტურა. ომარის მიერ პალესტინის დაპყრობის შემდეგ მუსლიმანები, ებრაელები და ქრისტიანები იქ ერთმანეთის გვერდით მშვიდობიანად, სრულ ჰარმონიაში ცხოვრობდნენ. მუსლიმანებს ხალხის თავის რელიგიაზე მოსაქცევად ძალა არასდროს გამოუყენებიათ, თუმცა ბევრი არამუსლიმანი, რომლებიც ხედავდნენ, რომ ისლამი ჭეშმარიტი რელიგია იყო, თავისი ნებით იღებდა ამ სარწმუნოებას.

სანამ პალესტინაში მუსლიმანები მბრძანებლობდნენ, ხალხი მშვიდობასა და ჰარმონიაში ცხოვრობდა. თუმცა XI საუკუნის დასასრულს იერუსალიმში დამპყრობელი ძალა შემოვიდა და ეს ცივილიზებული მხარე სასტიკად და დაუნდობლად ააოხრა. ეს ბარბაროსები ჯვაროსნები იყვნენ.

მუსლიმანთა მმართველობის დროს მუსლიმანები, ებრაელები და ქრისტიანები მშვიდსა და ტოლერანტობით აღსავსე გარემოში ცხოვრობდნენ

იერუსალიმში მცხოვრები მუსლიმანები და ებრაელები ჯვაროსნებმა საშინელი სისასტიკით ამოხოცეს

ჯვაროსნების სისასტიკე

მაშინ, როცა პალესტინაში სამივე რელიგიის წარმომადგენლები მშვიდად ცხოვრობდნენ, ევროპაში ქრისტიანებმა ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობა გადაწყვიტეს. 1095 წლის 27 ნოემბერს პაპი ურბან II-ის დაძახილზე კლერმონტის სასახლეში ევროპიდან 100 000 კაცზე მეტი მოვიდა, რათა პალესტინაში წასულიყვნენ და წმინდა მიწა მუსლიმანებისგან გაეთავისუფლებინათ. გარდა ამისა, აღმოსავლეთის ზღაპრული სიმდიდრის ხელში ჩაგდების იმედიც ჰქონდათ. გრძელი და დამქანცველი მოგზაურობის შემდეგ იერუსალიმს 1099 წელს მიაღწიეს. ქალაქი ალყაში 5 კვირის განმავლობაში იყო, შემდეგ კი ჯვაროსნებმა შიგნით შეაღწიეს. ასეთი სისასტიკე მსოფლიო ისტორიას პრაქტიკულად არ ახსოვს. ჯვაროსნებმა ყველა მუსლიმანი და ებრაელი ადგილზე დახოცეს.

ის მშვიდობა და ჰარმონია, რომელიც პალესტინაში ომარის შემდეგ სუფევდა სასტიკმა სისხლისღვრამ შეცვალა. ჯვაროსნებმა ძალა იხმარეს სიყვარულისა და შემწყნარებლობის მქადაგებელ რელიგიაზე, მის ყველა ეთნიკურ ნორმაზე და ქრისტიანობის სახელით ტერორი განახორციელეს.

სალადინის სამართალი

ბარბაროსმა ჯვაროსნებმა იერუსალიმი თავიანთ დედაქალაქად გამოაცხადეს კათოლიკური სახელმწიფო ჩამოაყალიბეს, რომლის საზღვრებიც პალესტინიდან ანტიოქიამდე ვრცელდებოდა. თუმცა ჯვაროსნების სისასტიკე პალესტინაში დიდხანს არ გაგრძელებულა. სალადინმა ყველა მუსლიმანური სახელმწიფოს ჯარები წმინდა ომისთვის გააერთიანა და 1187 წელს ჰატინთან ჯვაროსნები სასტიკად დაამარცხა. ბრძოლის დროს ჯვაროსანთა არმიის ორი ლიდერი – შატილონელი რეინალდი და მეფე გაი მუსლიმანებმა ტყვედ აიყვანეს და სალადინს მიჰგვარეს. სალადინმა თავი მოჰკვეთა შატილონიელ რეინალდს, რომელიც მუსლიმანების მიმართ საშინელი სისასტიკით გამოირჩეოდა. ხოლო მეფე გაი გაათავისუფლა, რადგან მეფეს მსგავსი სიბოროტე ჩადენილი არ ჰქონდა. პალესტინა ერთხელ კიდევ გახდა მოწმე იმისა, თუ როგორ იზეიმა სამართლიანობამ.

ჰატინის შემდეგ, იმავე დღეს, როცა შუამავალი მუჰამედი მექადან იერუსალიმში იქნა გადმოყვანილი, სალადინი იერუსალიმში შევიდა და ქალაქი ჯვაროსნების 88 წლიანი ბატონობისგან გაათავისუფლა. როდესაც 88 წლის წინ ჯვაროსნებმა ქალაქი დაიკავეს, მათ მუსლიმანები დახოცეს, ამიტომაც ქრისტიანებს სამაგიეროს გადახდის ეშინოდათ. მიუხედავად ამისა, სალადინმა არც ერთ ქრისტიანს ხელი არ ახლო. უფრო მეტიც, მან უბრალოდ უბრძანა კათოლიკე ქრისტიანებს ქალაქი დაეტოვებინათ, ხოლო მართლმადიდებელ ქრისტიანებს ნება დართო ქალაქში ეცხოვრათ და ღვთისმსახურება აღევლინათ. ჯონ ესპოზიტოს სიტყვებით „მუსლიმანთა ჯარები ისეთივე სულგრძელები იყვნენ გამარჯვების შემდეგ, როგორი შეუპოვრებიც ბრძოლის დროს. მებრძოლები ლმობიერად იქცეოდნენ: მათ ეკლესიები და სალოცავები ხელშეუხებელი დატოვეს... სალიდინი კი თავისი სიტყვის ერთგული და მიმტევებელი ადამიანი იყო.“ [24]

კარენ არმსტრონგი იერუსალიმის მეორედ დაპრობას შემდეგი სიტყვებით აღწერს:

1187 წლის 2 ოქტომბერს სალადინი და მისი არმია იერუსალიმში როგორც დამყრობელი, ისე შევიდა და შემდეგი 800 წლის მანძილზე ეს ქალაქი მუსლიმანების ხელში იყო. სალადინმა თავის სიტყვას არ უღალატა და ქალაქი ისლამური იდეალების გათვალიწინებით დაიპყრო. მას 1099 წლის ხოცვა-ჟლეტვის გამო ყურანის რჩევით ქრისტიანებისთვის სამაგიერო არ გადაუხდია (16-ე სურა, 127-ე მუხლი), ხოლო მას მერე რაც მტრობა შეწყდა სალადინს სისხლი აღარ დაუღვრია (2-ე სურა, 193-194). არც ერთი ქრისტიანი არ მოუკლავთ და ძარცვის ერთი შემთხვევაც კი არ მომხდარა. გადასახადებიც ძალიან დაბალი იყო. სალადინს ეცოდებოდა ის ხალხი, რომელთა ოჯახის წევრებიც ტყვეები იყვნენ და ყურანის სწავლებისამებრ ყველა მათგანი უსასყიდლოდ გაათავისუფლა. ამგვარად, მან ხანგ-

რძლივი ტანჯვა აღმოფხვრა. მისი ძმა ალ-ადილი შეძრწუნებული იყო პატიმართა გაჭირვებით და სალადინს ათასობით ადამიანის გათავისუფლება სთხოვა. ყველა მუსლიმანი ლიდერი შეშფოთდა, როდესაც ნახა, რომ ის მდიდარი ქრისტიანები, რომლებსაც პატიმრები უნდა გამოესყიდათ, თავის სიმდიდრესთან ერთად გაუჩინარდნენ... პატრიარქმა ჰერაკლისუმა სხვების მსგავსად ათ დინარიანი გადასახადი გადაიხადა, ტაირამდე მოგზაურობის დროს კი მის სიმდიდრეს ესკორტი მიაცილებდა.

მოკლედ, სალადინი და მუსლიმანები ქრისტიანებს უფრო მეტი სამართლიანობითა და მოწყალებით ექცეოდნენ, ვიდრე საკუთარი ლიდერები. არა მარტო ქრისტიანებმა, არამედ ებრაელებმაც მოიპოვეს მშვიდობა და უსაფრთხოება მუსლიმანთა მმართველობის დროს. ცნობილი ესპანელ ებრაელი პოეტი, იუდა ალჰარიზი თავის გრძნობებს ერთ-ერთ ნაშრომში გადმოგვცემს:

ღმერთმა... გადაწყვიტა, რომ ტაძარი ვეღარ იარსებებდა ესავის შვილების ხელში. ამგვარად, სამყაროს შექმნიდან 4950 წელს (1190 წ. ჩვ.წ-აღით) ღმერთმა მუსლიმანებს მოუვლინა კეთილგონიერი და მამაცი უფლისწული (სალაჰ ალ-დინი), რომელიც მოვიდა თავის ჯართან ერთად, ალყა შემოარტყა იერუსალიმს, აიღო იგი და გამოაცხადა, რომ ის მიიღებდა და აღიარებდა ეფრემის რასას, საიდანაც არ უნდა მოსულიყვნენ ისინი. ასე რომ, ჩვენ მოვედით მსოფლიოს ყველა კუთხიდან, რათა დავმკვიდრდეთ აქ. ჩვენ ახლა ვცხოვრობთ მშვიდობასა და კეთილდღეობაში.[26]

იერუსალიმის შემდეგ ჯვაროსნებმა ბარბაროსობა გააგრძელეს, მუსლიმანებმა კი თავიანთი სამართლიანი ქმედება პალესტინის სხვადასხვა ქალაქებში. ბრიტანეთის ისტორიის უდიდესმა გმირმა, რიჩარდ ლომგულმა 1194 წელს ტყვედ აიყვანა 3000 მუსლიმანი, რომელთა შორის იყვნენ ქალები და ბავშვები, შემდეგ კი ისინი აკრის ციხე-სიმაგრეში დახოცა. მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმანებს სასტიკად მოექცნენ, მართლმოწრმუნეებს არასოდეს მიუმართავთ ამავე მეთოდებისთვის. ისინი მისდევდნენ ღმერთის ბრძანებას: „...ვინც საღვთო სალოცავითგან თქვენს განდევნას ცდილობდენ, მათ მიმართ გულძვირობამ უსამართლო საქმე არ ჩაგადენინოსთ...“ (5-ე სურა, 3-ე მუხლი) და არასოდეს მიმართავდნენ ძალადობას უდანაშაულო მოქალაქეების მიმართ. უმიზეზოდ ისინი არც ჯვაროსნების წინააღმდეგ იყენებდნენ ძალას.

ჯვაროსნების სისასტიკე და მუსლიმანების სამართლიანობა ერთხელ კიდევ გამოიკვეთა ისტორიულ ჭეშმარიტებაში: ისლამის კანონებზე დაფუძნებული მმართველობა სხვადასხვა რწმენის ხალხს ერთად ცხოვრების უფლებას აძლევდა. მშვიდობიანი თანაცხოვრება გრძელდებოდა 700 წლის განმავლობაში, სალადინის შემდეგაც, კერძოდ კი ოტომანების იმპერიის მმართველობის პერიოდში.

მეფე რიჩარდ ლომგულმა აკრის ციხე-სიმაგრეში 3000 უმწეო მუსლიმანი ამოხოცა, რომელთა შორის უმეტესობა ქალი და ბავშვი იყო

ოტომანთა იმპერიის სამართლიანი და ტოლერანტული მმართველობა

1514 წელს სულთანმა სელიმმა დაიპრო იერუსალიმი და მის გარშემო მდებარე ტერიტორიები. პალესტინაში დაიწყო 400 წლიანი ოტომანთა მბრძანებლობის ხანა. ისევე, როგორც ოტომანთა სხვა სახელმწიფოებში, ასევე პალესტინაშიც ეს პერიოდი იყო მშვიდობიანი და სტაბილური იქ მცხოვრების ყველა რჯულის ხალხისთვის.

ოტომანთა იმპერია იმართებოდა ე.წ. „ეროვნული სისტემით“, რომლის მახასიათებელი თვისებაც სხვადასხვა რწმენის ხალხთა ერთად ცხოვრება იყო. წმინდა ხალხი (ქრისტიანები და ებრაელები) ტოლერანტობის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების ცნებებს ოტომანთა მმართველობის დროს ეზიარა.

მიუხედავად იმისა, რომ ოტომანთა იმპერია მუსლიმანური სახელმწიფო იყო, იმპერიის წინამძღოლები თავიანთი სახელმწიფოების მოქალაქეებს ისლამზე მოქცევას მაინც არ აიძულებდნენ. პირიქით, ოტომანების მიზანი იყო, უზრუნველეყოთ მშვიდობა და უსაფრთხოება არამუსლიმანთათვის და ისე წარემართათ მმართველობა, რომ მათთვის სასიამოვნო ყოფილიყო ისლამური სამართალი და კანონები.

ამ დროს ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს მთავრობა მუსლიმანებისაგან განსხვავებით სრულიად სხვაგვარად იყო ფორმირებული. ესპანეთის

მიუხედავად იმისა, რომ ოტომანების იმპერია იყო მუსლიმანური სახელმწიფო, მან თავის ხალხს რწმენის თავისუფლება უბოძა. ოტომანთა მიწებზე მულტიკულტურულმა მშვიდობამ დაისადგურა. როგორც სურათში ვხედავთ, მუსლიმანური მორალიდან გამომდინარე სახელმწიფო იცავს თავის მოქალაქეებს და განურჩევლად სარწმუენობისა ეხმარება ყველა გაჭირვებულს

XVI-XVII საუკუნეებში ზოგიერთ ქვეყანაში მტრული დამოკიდებულება კათოლიკეებსა და პროტესტანტებს შორის კვლავ არსებობდა. ამ კონფლიქტების ყველაზე უდანაშაულო მსხვერპლი ბავშვები იყვნენ.

სამეფომ ვერ აიტანა ებრაელებისა და მუსლიმანების არსებობა ესპანეთის ნახევარკუნძულზე და მათზე უდიდესი ძალადობა განახორციელა. მრავალ სხვა ევროპულ ქვეყანაში ებრაელები ისჯებოდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ იყვნენ ებრაელები (მაგ. დაპატიმრებულნი იყვნენ გეტოებში) და ხდებოდნენ მასიური ხოცვის მსხვერპლნი (პოგრომი). ქრისტიანები ერთმანეთსაც კი ვერ ეხმარებოდნენ. ბრძოლამ პროტესტანტებსა და კათოლიკეებს შორის XVI-XVII საუკუნეებში ევროპა სისხლის ზღვად აქცია.კათოლიკეებსა და პროტესტანტებს შორის კონფლიქტის ერთ-ერთი შედეგი იყო 30 წლიანი ომი 1618-1648 წლებში. ამ ომის შედეგად ბრძოლის ველი ცენტრალური ევროპა გახდა, ხოლო გერმანიაში 15 მილიონიანი მოსახლეობის ერთი მესამდი ამოიხოცა.

უდავოდ მნიშვნელოვანია იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ ოტომანთა მმართველობა უაღრესად ჰუმანური იყო.

მრავალმა ისტორიკოსმა და პოლიტიკოსმა მიაქცია ამ ფაქტს ყურად-

ღება. ერთ-ერთი მათგანია ახლო აღმოსავლეთის ცნობილი ექსპერტი, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი ედვარდ სედი, რომელიც წარმოშობით იერუსალიმელი ქრისტიანული ოჯახიდან გახლავთ. სამშობლოს მოშორებული პროფესორი დღესაც აგრძელებს თავის გამოკვლევებს ამერიკის უნივერსიტეტებში. ისრაელის გაზეთ „ჰარეცისთვის“ მიცემულ ინტერვიუში, ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარების მიზნით, ის რეკომენდაციას აძლევს „ოტომანთა ეროვნულ“ სისტემას. იგი ამბობს:

ებრაელთა უმცირესობები შეიძლება გადარჩეს იმავე გზით, როგორც არაბულმა სამყარომ გადაარჩინა სხვა უმცირესობები... ეს სისტემა საკმაოდ კარგად შეიმუშავა ოტომანთა იმპერიამ. მათ გააჩნდათ უფრო მეტი ჰუმანურობა, ვიდრე ჩვენ გაგვაჩნია დღესდღეობით.[27]



ცნობილი ექსპერტი ახლო აღმოსავლეთის საკითხებში – ედვარდ სედი

ისტორია გვიჩვენებს, რომ ისლამი არის რწმენის ერთადერთი სისტემა, რომელიც გვთავაზობს მმართველობის სამართლიან, ტოლერანტულ და შემწყნარებელ სახედ ახლო აღმოსავლეთში. ე.წ. „ოტომანთა მშვიდობა“ დასრულდა ოტომანთა იმპერიის იმ რეგიონებიდან წამოსვლით. მას შემდეგ ხალხს იქ ასე მშვიდად აღარ უცხოვრია.

ამის გამო ახლო აღმოსავლეთში სიმშვიდის დასამკვიდრებლად საჭიროა წარვადგინოთ იქ ოტომანთა მშვიდობის მოდელი, რომელიც ხასიათდება ყურანის ორი ძირითადი მოძღვრებით: ტოლერანტობითა და კომპრომისზე წასვლის უნარით. ჭეშმარიტად ათვისებული ისლამი არის ყველა სახის ძალადობის, ომის, ტერორისგან თავდასაღწევი გზა და გარანტია იმისა, რომ ქვეყნად მშვიდობა და სამართლიანობა დაისადგურებს.



ტერორიზმის საფუძველი: დარვინიზმი და მატერიალიზმი

ადამიანთა უმეტესობას ჰგონია, რომ ევოლუციის თეორია ჩარლზ დარვინმა მეცნიერულ ფაქტებზე, დაკვირვებებსა და ექსპერიმენტებზე დაყრდნობით ჩამოაყალიბა. თუმცა საქმე ის გახლდათ, რომ არც დარვინი იყო ამ იდეიის გამავრცელებელი და არც მის თეორიას ჰქონდა მეცნიერული მტკიცებულებები. ეს თეორია შედგება მატერიალისტური ფილოსოფიის ანტიკური დოგმების ბუნებასთან ადაპტაციისგან. ის არ ემყარება მეცნიერულ აღმოჩენებს. ეს თეორია ბრმად არის მიჩნეული მატერიალისტურ ფილოსოფიად. (იხ. ჰარუნ იაია, ევოლუციური ხრიკი, ტაჰა ფაბლიშერზი, 1999 წელი).

ამ ფანატიზმმა გამოიწვია ყველა სახის უბედურება. მატერიალისტური ფილოსოფიის გავრცელებასთან ერთად, შეიცვალა

პასუხი კითხვაზე: „ვინ არის ადამიანი?“ ხალხი წინათ პასუხობდა: „ადამიანი შექმნა უფალმა და იგი უნდა ცხოვრობდეს იმ მაღალი მორალით, რომელსაც ღმერთი გვასწავლის.“ ახლა პასუხობენ: „ადამიანი გაჩნდა შემთხვევით და იგი განვითარდა გადარჩენისთვის ბრძოლის პროცესში“. ამ სიცრუისთვის პასუხი ყველას მოეთხოვება. ყველა ძალადობრივი იდეოლოგია, როგორიცაა რასიზმი, ფაშიზმი, კომუნიზმი და სხვა მრავალი კონფლიქტზე აგებული ბარბაროსული მსოფლმხედველობები სათავეს სწორედ ამ სიცრუისგან იღებს.

წიგნის ეს ნაწილი აფასებს იმ უბედურებას, რომელიც დარვინიზმმა სამყაროს მოუტანა და ამხელს მას კავშირში ტერორიზმთან, რაც ჩვენი დროის ყველაზე მთავარი და გლობალური პრობლემაა.

დარვინისტული ტყუილი: „ცხოვრება კონფლიქტია“

როდესაც დარვინი აყალიბებდა თავის თეორიას: „ცოცხალ არსებათა განვითარება დამოკიდებულია გადარჩენისთვის ბრძოლაზე“, იგი დაეყრდნო შემდეგ წინაპირობას: ძლიერები იმარჯვებენ, სუსტები განწირულნი არიან დამარცხებისა და გადაშენებისთვის.

დარვინიზმის მიხედვით, ბუნებაში მიმდინარეობს ულმობელი ბრძოლა გადარჩენსითვის. ძლიერები ყოველთვის ამარცხებენ სუსტებს და ამის საფუძველზე ხდება მათი განვითარება. არსი, რომელსაც იგი ასახავს თავის წიგნში: „სახეობათა საწყისი ბუნებრივი გადარჩევის ან პრივილეგირებული რასების დაცვით სიცოცხლისათვის ბრძოლაში“ ადასტურებს ამ შეხედულებას.

უფრო მეტიც, დარვინიზმმა წამოაყენა აზრი, რომ „გადარჩენისთვის ბრძოლა“ ადამიანთა რასებს შორისაც მიმდინარეობს. ამ ზღაპრული მტკიცებულების მიხედვით ბრძოლაში პრივილეგირებული რასები იმარჯვებენ. დარვინის თქმით, პრივილეგირებული რასები იყვნენ თეთრკანიანი ევროპელები, აფრო-აზიური რასები გადარჩენისთვის ბრძოლაში დაჩაგრულები იყვნენ. დარვინი უფრო გათამამდა და განაცხადა, რომ მალე ეს რასები საბოლოოდ წააგებდნენ ამ ბრძოლას და გადაშენდებოდნენ:

მთელ მსოფლიოში, რამდენიმე საუკუნის შემდეგ, ცივილიზებული რასები სამუდამოდ ამოწყდებიან და მათ ჩაენაცვლებიან სისასტიკით გამორჩეული რასები. ამავე დროს უეჭველად ამოწყდებიან ადამიანის მსგა-ვსი მაიმუნები. ადამიანებსა და მათ მონათესავე არსებებს შორის ისეთივე სხვაობა იქნება, როგორიც ახლა ცივილიზებულ ადამიანებსა და ამ არსებებს შორის არის. მაგ: სხვაობა თეთრკანიანებსა და ისეთი დაბალი დონის მაიმუნებს შორის, როგორიცაა ბაბუინი; სხვაობა შავკანიანებსა, ავსტრალიელებსა და გორილებს შორის.[28]

ინდოელი ანთროპოლოგი, ლოლიტა ვიდუარტი ხსნის, თუ როგორ მიაწერა დარვინის თეორიამ რასიზმი სოციალურ მეცნიერებას.

დარვინის თეორია ძლიერთა გადარჩენის შესახებ მოწონებულ იქნა იმდროინდელი სოციალური მეცნიერებების მიერ. ამ მეცნიერებების წარმომადგენლებს სწამდათ, რომ თეთრკანიანთა ცივილიზაციამ მიაღწია ევოლუციის სხვადასხვა დონის მწვერვალებს. XIX საუკუნის მეორე ნახევარში დასავლელი მეცნიერების მიერ რასიზმი ჭეშმარიტად იქნა აღიარებული.[29]

დარვინის შთაგონების წყარო: მალტუსის ულმობელი თეორია

ამ საკითხთან დაკავშირებული შთაგონების წყარო იყო ბრიტანელი ეკონომისტის, ტომას მალტუსის წიგნი: „ესე მოსახლეობის პრინციპებზე“. მალტუსის გამოანგარიშებით ბედის ანაბარა დარჩენილი მოსახლეობა სწრაფად გაიზარდა რაოდენობრივად. მისი აზრით რიცხობრივ ბალანსს ომი, შიმშილი და ავადმყოფობა ამყარებდა. მისი თეორიიდან გამომდინარე, ხალხი თავის გადასარჩენად იხოცებოდა. არსებობამ მიიღი პერმანენტული ომის ხასიათი.

XIX საუკუნეში მალტუსის იდეები ფართოდ იქნა აღიარებული. მაღალი საზოგადოების ევროპელი ინტელექტუალები ერთის მხრივ, მხარს უჭერდნენ მის სასტიკ იდეებს. ჯერი ბერგმანი თავის სტატიაში „ნაცისტთა „რასის სრულყოფის“ პროგრამის მეცნიერული საფუძვლები“ მალტუსის შეხედულებებს მიმხრობილ XIX საუკუნის ევროპის მაღალი საზოგადოების მიზანს შემდეგნაირად აღწერს:

XIX საუკუნეში, ევროპაში შეიკრიბნენ მმართველი კლასების წარმომადგენლები, განიხილეს ახლადაღმოჩენილი „სახალხო პრობლემა და გამონახეს გზები, რათა სისრულეში მოეყვანათ მალტუსის მანდატი და გაეზარდათ გაჭირვებულთა რაოდენობა. მათი მიზანი იყო, გაჭირვეულების დახმარების ნაცვლად გაემყარებინათ მათი მდგომარეობა, მათ ქალაქებში შეევიწროვებინათ ქუჩები, სახლებში გაეზარდათ მცხოვრებთა რიცხვი და ხელი შეეწყოთ ჭირის გავრცელებისთვის. სოფლები უნდა გაეშენებინათ ჭაობებში და მოსახლეობა გაუსაძლის პირობებში გადაესახლებინათ.[30]

ტომას მალტუსი

ამ სასტიკი პოლიტიკის გატარების შედეგად სუსტები, რომლებიც ამ ბრძოლაში დამარცხდებოდნენ – განადგურდებოდნენ

და ამის შედეგად მოსახლეობის ზრდა შემცირდებოდა. XIX საუკუნის ბრიტანეთში ეს ე.წ. „გაჭირვებულთა ჩაგვრის“ პოლიტიკა იქნა გატარებული. გამოიცა ინდუსტრიული კანონი, რომლის მიხედვითაც 8-9 წლის ბავშვები დღეში 16 საათის განმავლობაში მუშაობდნენ ნახშირის საბადოებში. ამ საშინელი პირობების გამო ათასობით ბავშვი დაიღუპა. მალტუსის მიერ ჩამოყალიბებული თეორია „ბრძოლა გადარჩენისთვის“ უამრავი ადამიანის ტანჯვის მიზეზი გახდა.

ამ იდეებით შთაგონებულმა დარვინმა მთელ სამყაროს ამცნო ამ თეორიის არსი და განაცხადა, რომ ასებობისთვის ბრძოლაში ძლიერები გაიმარჯვებდნენ. უფრო მეტიც, იგი ამტკიცებდა, რომ ე.წ. გადარჩენისთვის ბრძოლა იყო ბუნების უცვლელი და სამართლიანი კანონი. ეს კი იმას გულისხმობდა, რომ დარვინმა მოუწოდა ხალხს, ზურგი შეექციათ თავიანთი რელიგიური რწმენისთვის და ამგვარად აღმოეფხვრათ ყველა ის ეთნიკური ღირებულებანი, რომლებიც წინააღმდეგობას უწევდნენ გადარჩენისათვის ბრძოლას.

ამ უგულო, სასტიკმა თეორიამ XX საუკუნეში კაცობრიობას უამრავი უბედურება და გასაჭირი მოუტანა.



XIX საუკუნეში მალტუსის თეორიის სისრულეში მოყვანამ, ანუ გადარჩენისთვის ბრძოლის პოლიტიკის გატარებამ, ინგლისში უამრავ დაუცველ და ღარიბ ბავშვს მოუტანა უბედურება. რელიგია კი ბავშვთა დაცვას ქადაგებს. უბედურების და ტანჯვის გარეშე ცხოვრება მაშინ არის შესაძლებელი, როცა ადამიანი რელიგიის მორალურ ფასეულობებს ბოლომდე იზიარებს

დარვინიზმის როლი I მსოფლიო ომისთვის ნიადაგის მომზადებაში

დარვინის წინასწარმეტყველება ახდა და ევროპაში გადარჩენისთვის ბრძოლა დაიწყო. ევროპულმა ნაციებმა დაიწყეს იმ ხალხთა აღწერა, რომლებსაც მათ „ევოლუციურად ჩამორჩენილი ერები“ უწოდეს და დარვინიზმის ქადაგებას მიჰყვეს ხელი.

დარვინიზმიერ მიერ გამოწვეული ყველაზე სისხლიანი ტრაგედია 1914 წელს დაწყებული I მსოფლიო ომი იყო.

ცნობილი ბრიტანელი ისტორიკოსი, პროფესორი ჯეიმს ჯოლი თავის წიგნში „ევროპა 1870 წლიდან“ წერს, რომ ერთ-ერთი ფაქტორი, რომელმაც I მსოფლიო ომისთვის ნიადაგი მოამზადა, იყო იმდროინდელი ევროპელი მმართველების რწმენა დარვინიზმში.

... მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ, რამდენად ზედმიწევნით მიიღო ევროპელი მმართველების უმრავლესობამ არსებობისათვის ბრძოლისა და ძლიერთა გადარჩენის შესახებ დოქტრინა I მსოფლიო ომის წინა წლებში. ომის შემდეგ ავსტრია-უნგრეთის მმართველმა ფრანს ბარონ კონრად ვონ ჰოტზენდორფმა თავის მოგონებებში დაწერა:

ფილანტროპულ რელიგიებს, მორალურ სწავლებებს და ფილოსოფიურ დოქტრინებს ხანდახან ნამდვილად შეუძლიათ შეასუსტონ კაცობრიობის ბრძოლა არსებობისთვის. მაგრამ ისინი ვერასოდეს მოიპოვებენ გამარჯვებას მისი დამხობით და ვერასოდეს შესძლებენ იმას, რომ გახდნენ მსოფლიოს მამოძრავებელი ძალები. ამ პრინციპის გათვალისწინებით მსოფლიო ომის კატასტროფა გახდა სახელმწიფოების და ადამიანების მამოძრავებელი ძალა ისევე, როგორც ჭექა-ქუხილია ბუნების განმუხტვის მიზეზი.

ევროპა 1870 წლიდან, ავტორი ისტორიის პროფესორი ჰეიმს ჯოლი

ამ სახის იდეოლოგიური საფუძვლების საპირისპიროდ გასაგები ხდება კონრადის მოთხოვნა, ომის თავიდან აცილების აუცილებლობაზე, რათა დაეცვა ავტრია-უნგრეთის მონარქია.

ჩვენთვის ნათელია, რომ ასეთი შეხედულებები არ იყო აკრძალული სამხედრო ფიგურებისთვის. მაგ, მაქს

ვებერი საერთაშორისო წარმატების ბრძოლაში ღრმად იყო დარწმუნებული. ასევე ქურთ რეიზლერმა, გერმანიის კანცლერის თეობალდ ვომ ბეტმან-ჰოლვეგის პირადმა ასისტენტმა და ნდობით აღჭურვილმა პირმა 1914 წელს დაწერა:

მუდმივი და აბსოლუტური მტრობა ადამიანთა ურთიერთობების ძირითადი მახასიათებელია. მტრული დამოკიდებულება, რომელსაც ყველგან ვხვდებით, არ არის შედეგი ადამიანთა უკუღმართობისა, ეს სიცოცხლის აუცილებელი პირობაა.[31]

I მსოფლიო ომის გენერალმა ფრიდრიხ ვონ ბერნარდმა ომსა და ბუნებაში ბრძოლის კანონებს შორის ერთგვარი კავშირის არსებობა დაადგინა. „ომი არის ბიოლოგიური საჭიროება“ - განაცხადა მან. ის ისევე საჭიროა, როგორ ბუნებაში ცხოველთა ბრძოლაა აუცილებელი. ომი ბიოლოგიურად გამართლებული გამოსავალია, ასეთი გამართლება ბუნებაში ყველა ცოცხალ არსებას მოეძებნება.“[32]

როგორც ცნობილი გახდა, I მსოფლიო ომის მიზეზი იყო ის, რომ ევროპელ მოაზროვნეებს, გენერლებსა და მმართველებს ომი, სისხლისღვრა და ტანჯვა განვითარების ერთ-ერთ სახედ და ბუნების უცვლელ კანონად მიაჩნდათ. ის იდეოლოგიური საფუძველი, რომელმაც ის თაობა განადგურებამდე მიიყვანა, იყო არაფერი გარდა დარვინიზმის ცნებებისა: „ბრძოლა გადარჩენისთვის“ და „პრივილეგირებული რასები“.

I-მა მსოფლიო ომმა უკან მოიტოვა 8 მილიონი მიცვალებული, ასობით დანგრეული ქალაქი, მილიონობით დაჭრილი, დასახიჩრებული, უსახლკარო და უმუშევარი ადამიანი.

ძირითადი მიზეზები II მსოფლიო ომისა, რომელიც I მსოფლიო ომიდან 21 წელიწადში დაიწყო და 55 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ასევე დაფუძნებული იყო დარვინიზმზე.

XX საუკუნის პირველი დეკადის ფილოსოფოსები და პოლიტიკური ლიდერები დარვინიზმის ცნებით „არსებობისათვის ბრძოლა“ მოჯადოებულები იყვნენ. სწორედ ამიტომ წამოიწყეს ომი, რომელმაც გამოიძვია საშინელი კატაკლიზმა და 10 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ჯუნგლების კანონი, რომელმაც ფაშიზმამდე მიგვიყვანა

დარვინიზმი, რომელიც XIX საუკუნეში ნაციზმს ასაზრდოებდა, XX საუკუნეში მსოფლიო სისხლის მორევში ჩაძირა და ახალი იდეოლოგია – ფაშიზმი წარმოშვა. ძლიერი დარვინისტული ზეგავლენა აღინიშნება ნაცისტთა იდეოლოგიაში. იმ თეორიის განხილვისას, რომელიც ჩამოაყალიბა ადოლფ ჰიტლერმა და ალფრედ როზენბერგმა, ვაწყდებით ისეთ ცნებებს, როგორიცაა „ბუნებრივი გადარჩევა“,

დარვინისტული შეხედულებებით
განმსჭვალულმა ფაშიზმმა
გამოიწვია მილიონობით
უდანაშაულო ადამიანის სიკვდილი.
ამ მომაკვდინებელმა იდეოლოგიამ
მსოფლიოს უამრავი ქვეყანა
გადადგურებამდე და სრულ
კატასტროფამდე მიიყვანა

„შერჩევითი დაწყვილება“ და „რასათა შორის გადარჩენისთვის ბრძოლა“, რომელიც მრავალჯერ არის განმეორებული დარვინის ნაშრომებში. ჰიტლერი აღფრთოვანებული იყო დარვინისტული „გადარჩენისთვის ბრძოლით“ და იმ პრინციპით, რომ ძიერი იმარჯვებდა. ამ ყველაფრის შესახებ, იგი თავის წიგნში „ჩემს ბრძოლაშიც“ საუბრობს:

გაჩნდება ის ათასწლოვანი დიდებული, ბრწყინვალე იმპერია, რომელიც დამყარებული იქნება ბუნების მიერ კურთხეულ რასისტულ იერარქიაზე.[33]

1933 წლის ნოემბრის პარტიის ყრილობაზე ჰიტლერმა განაცხადა, რომ: „უფრო მაღალგანვითარებული რასა იქვემდებარებს ნაკლებად განვითარებულ რასას... ეს ფაქტი არის ბუნების კანონი... და ჩვენ უნდა ვაღიაროთ ეს.“[34]

იმ ფაქტს, რომ ნაცისტებზე ზეგავლენას ახდენდა დარვინიზმი, ყველა ამ საკითხის ექსპერტი აღიარებს. პიტერ კრიპსი, ავტორი წიგნისა „ფაშიზმის წარმოქმნა“ ამ ფაქტს შემდეგნაირად განმარტავს:

ჩარლზ დარვინის თეორია ადამიანების მაიმუნებისგან წარმოშობის შესახებ პირველი გამოქვეყნებისას ღიმილის საგანი იყო, თუმცა მოგვიანებით ის ფართოდ იქნა აღიარებული. ფაშისტებმა დაამახინჯეს დარვინის თეორიები და მისი მოძღვრება ომიანობის და რასიზმის გასამართლებლად გამოიყენეს.[35]

ისტორიკოსი ჰიკმანი ჰიტლერზე დარვინიზმის გავლენას შემდეგნაირად აღწერს:

ჰიტლერი იყო ღრმად მორწმუნე და ევოლუციის მქადაგებელი. რაც არ უნდა კომპლექსური და ღრმა ყოფილიყო მისი ფიქრები, ნათელია, რომ (ბრძოლის არსი მნიშვნელოვანი იყო იმიტომ, რომ...) მისი წიგნი „ჩემი ბრძოლა“ სავსე იყო ევოლუციური იდეებით, რომლებიც აძლიერებდა ბრძოლის ჟინს, ძლიერთა გადარჩენის, სუსტების გადაშენების, უკეთესი საზოგადოების ჩამოყალიბების სურვილს.[36]

ჰიტლერმა, რომელიც ამ შეხედულებებით აღიზარდა, მსოფლიო ენითაუწერელ ტრაგედიამდე მიიყვანა. მრავალმა პოლიტიკურმა და ეთნიკურმა ჯგუფებმა, განსაკუთრებით კი ებრაელებმა, საშინელი ტანჯვა-წამება გამოიარეს ნაცისტების საკონცენტრაციო ბანაკებში. ნაცისტების მიერ წამოწყებული მეორე მსოფლიო ომი 55

II მსოფლიო ომს 55 მილიონი ადამიანი შეეწირა. უამრავი ოჯახი უსახლკაროდ დარჩა. ომმა გააოხრა ქალაქები და გამოიწვია ეკონომიკის დამხობა

მილიონი ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის მიზეზი გახდა. ამ უდიდესი მსოფლიო ტრაგედიის უკან კი დარვინიზმის ცნება - „ბრძოლა გადარჩენისთვის“ იდგა.

სისხლიანი ალიანსი დარვინიზმი და კომუნიზმი

სოციალური დარვინიზმის ერთ ფრთას ფაშისტები წარმოადგენენ, მეორეს კი კომუნისტები. კომუნისტები ყოველთვის თავდადებით იცავდნენ დარვინისეულ თეორიებს.

დარვინიზმს და კომუნიზმს შორის არსებულ კავშირს ამ ორივე მოძღვრების საფუძვლამდე მივყავართ. მარქსმა და ენგელსმა - კომუნიზმის ფუძემდებლებმა დარვინის „სახეობათა საწყისი“ წაიკითხეს და აღფრთოვანდნენ მისი მატერიალისტური დამოკიდებულებით. მარქსსა და ენგელსს შორის მიმოწერამ გვიჩვენა, რომ ისინი დარვინის თეორიაში კომუნიზმის ისტორიის ბაზისებს ხედავდნენ. თავის წიგნში „ბუნების დიალექტები“, რომელიც ენგელსმა დარვინის გავლენით დაწერა, აღსავსე იყო დარვინის ქებით. ამ თეორიის შესახებ თავისი აზრი მან წიგნის შემდეგ ნაწილში აღწერა: „შრომის როლი მაიმუნის ადამიანად გარდაქმნაში“

რუსი კომუნისტები, რომლებიც მისდევდნენ მარქსისა და ენგელსის ნაკვალევს, პლეხანოვი, ტროცკი, ლენინი და სტალინი, ყველა ეთანხმებოდა დარვინის ევოლუციურ თეორიას. პლეხანოვი, რომელიც მიჩნეულია რუსული კომუნიზმის ფუძემდებლად, მიიჩნევდა მარქსიზმს, როგორც „დარვინიზმს თავისი მნიშვნელობით სოციალურ მეცნიერებაში“ [37]

ტროცკიმ თქვა: დარვინის აღმოჩენა არის უმაღლესი ტრიუმფი დიალექტისა, ყველა ორგანულ სფეროში.[38]

დარვინისტულმა განათლებამ მთავარი როლი შეიტანა კომუნისტური კადრების ფორმირებაში. მაგ; ისტორიკოსები აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ თავის ახალგაზრდობაში სტალინი იყო რელიგიური, მაგრამ გახდა ათეისტი დარვინის წიგნის გაცნობის შემდეგ. მაომ, რომელმაც დაამყარა კომუნისტური წყობილება ჩინეთში და დახოცა მილიონობით ადამიანი, საქვეყნოდ განაცხადა, რომ ჩინეთის სოციალიზმი მთლიანად დარვინსა და მის ევოლუციურ თეორიაზე იყო დაფუძნებული. ჰარვარდის უნივერსიტეტის ისტორიკოსი ჯეიმს რივ პიუზი თავის ნაშრომში „ჩინეთი და დარვინი“, გვამცნობს იმ დეტალებს, რომლებიც ეხება დავინიზმის გავლენას მაოსა და ჩინეთის კომუნიზმზე.

მოკლედ, ევოლუციურ თეორიებსა და კომუნიზმს შორის უწყვეტი კავშირია. თეორია ამტკიცებს, რომ ცოცხალი არსებები არიან შემთხვევითობის შედეგი და ათეიზმისთვის წარმოადგენს ე.წ. მეცნიერულ მხარდაჭერას. კომუნიზმი, ანუ ათეისტური იდეოლოგია ამიტომაც არის

კომუნისტი ლიდერები, რომელთა იდეები ადამიანთა საზოგადოების შესახებ ასევე დაფუძნებული იყო დარვინიზმზე, ისტორიაში თავიანთი სასტიკი პოლიტიკით გამოწვეული უბედურების გამო შევლენ

მჭიდრო კავშირში დარვინიზმთან. უფრო მეტიც, ევოლუციური თეორია ქადაგებს, რომ ბუნებაში არსებობა შესაძლებელია კონფლიქტის წყალობით (სხვა სიტყვებით გადარჩენისთვის ბრძოლით) და მხარს უჭერს „დიალექტიკის“ შესახებ მოსაზრებას, რომელიც არის კომუნიზმის საფუძველი.

თუ დავუფიქრდებით დიალექტიკური კონფლიქტის შესახებ კომუნისტური მოძღვრებას, იგივე „სიკვდილის მექანიზმს“, რომელმაც XX საუკუნეში 120 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, უკეთესად გავიგებთ, იმ უბედურების სიდიდეს, რომელიც დარვინიზმმა მოუტანა ჩვენს სამყაროს.



კომუნიზმმა დარვინისეული თეორია კლასობრივ უთანხმოებას
მოარგო და ამგვარად მკვლელობა და სისხლისღვრა მიიჩნია
კონტროლის ლეგიტიმურ მეთოდებად.

დარვინიზმი და ტერორიზმი

როგორც ვნახეთ, დარვინიზმი საფუძველია იმ ძალადობრივი იდეოლოგიებისა, რომლებმაც XX საუკუნეში კაცობრიობას უამრავი

უბედურება მოუტანეს. ამ მეთოდებისა და ცნობიერების მიღმა შემდეგი ფუნდამენტალური კონცეფცია დგას: „თუ არ არის შენიანი, შეებრძოლე.“ სამყაროში უამრავი წრმენა, მსოფლმხედველობა და ფილოსოფია არსებობს. სრულებით ბუნებრივია, რომ ამ იდეოლოგიებს ერთმანეთის საწინააღმდეგო ბევრი ფაქტორი გააჩნია. მათ შორის ურთიერთობა მხოლოდ ორი გზით შეიძლება წარიმართოს.

შეიძლება საზოგადოებებსა და სახელმწიფოებს შორის უსიამოვნება მოხდეს, მაგრამ ომი და კონფლიქტი გამოსავალი არ არის. ყურანის მიხედვით ყველა სახის უთანხმოების მოგვარება ორმხრივი მოთმინების, ტოლერანტობისა, თანაგრძნობისა და გაგების საფუძველზე უნდა მოხდეს.

კეთილშობილი და ღირსეული თაობების ჩამოსაყალიბებლად ბავშვებს ყურანის მორალი უნდა შევასწავლოთ

1. განსხვავებული იდეოლოგიის წარმომადგენელს პატივიცემით უნდა მოეკიდონ და მის წარმომადგენლებთან ადამიანური მეთოდებით დიალოგის წარმართვას უნდა შეეცადონ.

2. შეუძლიათ შეებრძოლონ, მიაყენონ ზიანი და გაანადგურონ ერთმანეთი, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოიქცნენ ნამდვილი მხეცებივით. ეს მეთოდი მატერიალიზმს ახასიათებს და სრულებით არარელიგიურია.

ტოტალური უბედურება სხვა არაფერია, თუ არა მეორე განმარტება.

ამ ორი განმარტების განხილვის შედეგად ჩვენთვის სრულებით ნათელია, რომ დარვინისეული ცნება „ცხოველივით ბრძოლა“ კაცობრიობისთვის სრულიად დამღუპველია. კონფლიქტის წამომწყებ პიროვნებებსა და დაჯგუფებებს დარვინიზმისა და ამ იდეოლოგიის შესახებ შეიძლება არც არაფერი სმენიათ. მაგრამ საბოლოო ჯამში, ყველა მათგანი იმ მოსაზრებას ეთანხმება, რომლიც ფილოსოფიური ბაზისიც დარვინიზმს ეფუძნება. ამ იდეოლოგიის მომხრენი, ისინი დარვინიზმზე დაფუძნებული შემდეგი ლოზუნგების გამო ხდებიან: „გადარჩება ის, ვინც ძლიერია,“ „ძლიერი სძლევს სუსტს“, „ბრძოლა ძალაუფლებაა“, „ბრძოლაში ადამია-

ნი იწრთობა“. დარვინიზმის იდეოლოგია რომ არა, ეს ლოზუნგები უშინაარსო სიტყვები იქნებოდა.

სინამდვილეში, ადამიანთა აზროვნებიდან დარვინიზმის აღმოფხვრით კონფლიქტების ფილოსოფია აღარც იარსებებდა. სამი საღვთო რელიგიის – ისლამის, ქრისტიანობისა და იუდაიზმის ყველა წარმომადგენელი ძალადობას უარყოფს. სამივე რელიგიის წარმომადგენლებს ქვეყნად მშვიდობისა და ჰარმონიის დამყარება სურთ და უდანაშაულო ხალხის ხოცვის და მათი ტანჯვა-წამების სასტიკი წინააღმდეგნი არიან. კონფლიქტი და ძალადობა გაუმართლებელი ცნებებია და სრულებით ეწინააღმდეგება ღმერთის მიერ კაცობრიობისთვის მოვლენილ მორალს. სამწუხაროდ, დარვინიზმი მიიჩნევს, რომ კონფლიქტი და ძალადობა ბუნებრივი, საჭირო და სწორი მოვლენებია.

სამწუხაროდ ისლამის, ქრისტიანობისა თუ იუდაიზმის სახელით ბევრი ადამიანი სჩადის ტერორისტულ აქტს. თუმცა ყველასათვის ნათელია, რომ ასეთი მოძალადე ადამიანი არც ჭეშმარიტი მუსლიმანია, არც ქრისტიანია და არც ებრაელი. ისინი ნამდვილი სოციალური დარვინისტები არიან. ისინი რელიგიის მიღმა იფარებიან, მაგრამ მორწმუნეები არ არიან. ზოგი მათგანი ამტკიცებს, რომ რწმენას ემსახურება, მაგრამ სინამდვილეში თითოეული მათგანი რელიგიისა და მორწმუნეების მტერია. ისინი უმოწყალოდ სჩადიან ღვთის მიერ აკრძალულ დანაშაულს. ასე იმიტომ იქცევიან, რომ რელიგიას ჩრდილი მიაყენონ.

ჩვენს ქვეყანაში შავი ჭირივით მოდებული ტერორიზმი ათეიზმიდან მოდის. ათეიზმი კი სხვა არაფერია თუ არა დარვინიზმი და მატერიალიზმი.

პიროვნებას, რომელსაც ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრება სურს, დარვინიზმის საფრთხე უნდა გააცნობიეროს

ამ პრობლემის გადაჭრის ერთადერთი ხერხი იმ იდეების უარყოფაა, რომლებსაც ეს იდეოლოგია ეფუძნება. მაგალითად, რაც არ უნდა ეცადოს ადამიანი უსიამოვნო სუნის მქონე ნაგვის ურნის გარშემო მდებარე ტეროტორიის დასუფთავებას, ნაგვის ურნას მაინც აუვა ცუდი სუნი. შედეგი ხანგრძლივი არ იქნება. გამოსავალი ნაგვის ურნის დასუფთავება, ნაგვის გადაყრაა. ეს იგივეა, რომ ფერმაში წლების მანძილზე შხამიანი გველები ზარდო, შემდეგ ყველა ერთად გაუშვა, მერე კი იმაზე დაიწყო დარდი, ხალხს რატომ კბენენო და განადგურებას შეუდგე. მთავარია, ბოროტების პირველწყაროს აღმოფხვრა მოახერხო.

აქედან გამომდინარე, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, ტერორისტების სათითაოდ დაჭერა და ციხეში გამომწყვდევა ხანგრძლივ და ეფექტურ შედეგს არ მოგვცემს. ერთადერი გზა ტერორიზმის ძირფესვიანად

აღმოფხვრისა იმ ბაზისური წყაროების განადგურებაა, რომლითაც ტერორისტები საზრდოობენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ტერორიზმის მთავარი წყარო და მამოძრავებელი ძალა მცდარი იდეოლოგიებია.

დღესდღეობით, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის სკოლაში დარვინიზმის სასწავლო პროგრამაშია შეტანილი და მეცნიერულ ფაქტადაა აღიარებული. ბავშვებს არ ასწავლიან, რომ ისინი ღმერთმა შექმნა და თითოეულ მათგანს სული, სიბრძნე და სინდისი უბოძა. მათ არ ეუბნებიან, რომ განკითხვის დღეს მათ ღვთის წინაშე მოუწევთ წარსდგომა და თავიანთი ნამოქმედარიდან გამომდინარე ან ჯოჯოხეთში მოხვდებიან ან კიდევ სამოთხეში. ბავშვებს ასწავლიან, რომ ისინი არიან ქმნილებები, რომელთა წინაპრებიც ცხოველები იყვნენ და რაღაც შემთხვევითობის წყალობით ადამიანებად იქცნენ. ასეთი სწავლების შედეგად, ნორჩ საზოგადოებას მიაჩნია, რომ ისინი ცხოველთა ჯოგის წარმომადგენლები არიან, ღვთის წინაშე პასუხი არ მოეთხოვებათ და ცხოვრებაში მათი მთავარი მიზანი – გადარჩენისთვის ბრძოლა უნდა იყოს. ასეთი სკოლაგამოვლილი პიროვნებისთვის გონების არევა გაცილებით მარტივია და ნურავის გაუკვირდება, თუ ეს ადამიანი კაცობრიობის მტრად იქცევა და ცივსისხლიანი მკვლელი გახდება. ასეთი ახალგაზრდებისთვის რაიმე იდეოლოგიის თავზე მოხვევა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს; მათი ტერორისტულ მოძრაობაში ჩართვა და ძალადობრივი აქტებისკენ წაქეზება უკვე ადვილი ხდება. XIX საუკუნეში ჩამოყალიბებული კომუნისტების, ფაშისტებისა და რასისტების ტერორისტული დაჯგუფებები სწორად ასეთი განათლებამიღებული ადამიანებისგანაა დაკომპლექტებული.

მეორე უდიდესი უბედურება, რომელიც ამ სისტემას კაცობრიობისთვის მოაქვს ის არის, რომ ამ სახის განათლების მიღება ადამიანს საგრძნობლად აშორებს რელიგიას და ხალხს ურწმუნოებად აყალიბებს. ადამიანების რელიგიისგან ჩამოშორება დარვინიზმისა და მატერიალიზმის სინთეზის შედეგად მიღებული იდეოლოგიის წყალობით ხდება, ამის შედეგად კი გაუნათლებელი ხალხისთვის სარწმუნოება სრულებით უცნაური და უჩვეულო ხდება. ამ ყველაფრის წყალობით კი ყალიბდება მცდარი იდეოლოგიები და მისი მიმდევრები ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად ხშირად მოქმედებენ რელიგიის სახელით.

ამ ყველაფრის ნათელი მაგალითი 11 სექტემბრის მოვლენებია. ადამიანი, რომელსაც ღვთის შიში აქვს, რომელსაც უყვარს ღმერთი და იცის, რომ იმქვეყნიურ ცხოვრებაში თავისი ნამოქმედარისთვის პასუხი მოეთხოვება, არასოდეს ჩაიდენს ისეთ დანაშაულს, რომლის შედეგადაც უამრავი ადამიანი დაიღუპება და ათასობით ბავშვი დაობლდება. ასეთმა ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ ღვთის სასამართლოზე მის მიერ მოკლული თითოეული ადამიანის გამო მოეთხოვება პასუხი და ასეთი ბოროტების ჩადენის გამო ჯოჯოხეთის ცეცხლი არ ასცდება.

ტერორისტული აქტების აღმოსაფხვრელად, სკოლებში დარვინისტულ-მატერიალისტური სწავლება უნდა შეწყდეს. მის ნაცვლად ბავშვებს უნდა ასწავლონ ნამდვილი, მეცნიერული აღმოჩენები. მასწავლებლებმა მათ ბრძნულად და დინჯად მოქმედება უნდა ასწავლონ და ღვთის შიში ჩაუნერგონ. ამ გზით აღზრდილი ახალგაზრდობა მშვიდობაზე, სამართლიანობაზე, შემწყნარებლობასა და ტოლერანტობაზე დაფუძნებულ საზოგადოებას ჩამოაყალიბებს.





„თავისის მსახურის თავსა
ცხად სასწაულებს გადმოავლენს,
თქვენდა გამოსაყვანად წყვდიადით
სინათლისკენ.“ (57-ე სურა, 9-ე მუხლი)

დასკვნა: რეკომენდაციები დასავლეთ სამყაროსა და მუსლიმანებს

დღესდღეობით დასავლეთი სამყარო შეშფოთებულია ტერორისტული დაჯგუფებების არსებობით, რომლებიც ისლამის სახელით მოქმედებენ და მათი შფოთი სულაც არ არის საფუძველს მოკლებული. აშკარაა, რომ ამ ტერორისტული დაჯგუფებების წარმომადგენლები და მათი მხარდაჭერები საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით უნდა დაისაჯონ. მაგრამ ამაზე მთავარი ისეთი ხანგრძლივმოქმედი სტრატეგიების შემუშავებაა, რომელიც ტერორიზმის პრობლემის ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრას მოახერხებს.

ზემოთნახსენებ ტერორისტულ ატქს საერთო არაფერი აქვს ისლამთან და ის კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულია. ასე რომ, გამონათქვამი „ისლამური ტერორი“ სრულებით უსაფუძვლოა.

ქვემოთმოყვანილი რჩევები ყველა ჩვენგანმა უნდა გაითვალისწინოს:

1. დღევანდელ პირობებში ყველა ქვეყანას ფრთხილი, დაკვირვებული და ბრძნული მოქმედება მართებს. ტერორისტულ დაჯგუფებათა მიზანი „ცივილიზაციათა დაპირისპირებაა“ და იგი ყველასათვის დამღუპველი იქნება. მსხვილმა მსოფლიო გაერთიანებებმა ერთმანეთის გვერდიგვერდ მშვიდად ცხოვრება უნდა ისწავლონ. ერთმანეთის გამოცდილება, ისტორია და კულტურა უნდა შეისწავლონ. ხელოვნების, ლიტერატურის, ფილოსოფიის, მეცნიერების, ტექნოლოგიეური მიღწევების გაზიარება უნდა შეძლონ. ამ ყველაფრის შედეგად თითოეული ჩვენგანის ცხოვრება უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო გახდება.

2. ჭეშმარიტი ისლამის გამავრცელებელმა ორგანიზაციებმა უნდა იმძლავრონ. ისლამურ ქვეყნებში რადიკალური ძალებისთვის შეიარაღებული ბრძოლის გამოცხადება არამართებულია. ასეთ პოლიტიკას უარყოფითი რეაქცია მოჰყვება. გამოსავალი ადამიანებისთვის ჭეშმარიტი ისლამის ახსნა და ისეთი ცნებების ქადაგებაა, როგორიცაა ადამიანის უფლებები, დემოკრატია, თავისუფლება, მაღალი მორალი, მეცნიერება, სულიერება და ესთეტიკა; ამ ყველაფერს კი კაცობრიობისთვის ბედნიერება და სიხარული მოაქვს. მუსლიმანმა უნდა იცხოვროს იმ მორალური ფასეულობებით, რომლებიც მუჰამედის, ღვთის შუამავლის მიერ ყურანშია გადმოცემული. მუსლიმანებმა უნდა დაიცვან თავიანთი რელიგია იმ ადამიანებისგან, რომლებიც ამ ჭეშმარიტ სარწმუნოებას ბოროტად იყენებენ და დაეხმარონ პიროვნებებს ჭეშმარიტი გზის პოვნაში.

3. ტერორიზმის პირველწყარო უგუნურება და უმეცრებაა, ასე რომ, მისი აღმოფხვრის საშუალება განათლებაა. ტერორისტული დაჯგუფების წარმომადგენლებმა უნდა შეიგნონ, რომ ისინი ისლამს, მუსლიმანებსა და მთლიანად კაცობრიობას უდიდეს ზიანს აყენებენ.

4. ტერორიზმს, რომელიც კომუნიზმის, ფაშიზმისა და რასიზმის იდეოლოგიებიდან მომდინარეობს, ინტელექტუალური ბრძოლა უნდა გამოუცხადდეს. დღესდღეობით, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დარვინიზმი სასწავლო სისტემებში ჩვეულებრივ საგნად ისწავლება. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ დარვინიზმი მცდარი იდეოლოგიაა, რომელიც ამტკიცებს რომ ადამიანი ცხოველისგან გადარჩენისთვის ბრძოლის პროცესში წარმოიშვა. ტერორიზმის ყოველგვარი მიმდინარეობა დარვინიზმის ბაზისზეა აგებული. იდეოლოგია, რომელიც ქადაგებს, რომ ამქვეყნად მხოლოდ ძლიერი გადარჩება და ბრძოლა გადარჩენისთვისაა აუცილებელი ქვეყნიერებას უამრავ უბედურებას მოუტანს. ტერორიზმის დასამარცხებლად უნდა გამოვიყენოთ საერთაშორისო კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმები. ამასთან ერთად, ამ ბოროტების დასაძლევად განმანათლებელი კამპანიები უნდა ვაწარმოოთ მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ამ განმანათლებელი მისიის ძირითად ნაწილს დარვინიზმისა და მატერიალიზმისთვის ნიღბის ჩამოგლეჯა და მათი

ნამდვილი სახის გამოვლინება, ასევე ღმერთის მიერ ნაბოძები მორალური ღირებულებების ხალხისთვის ახსნა უნდა წარმოადგენდეს. სიმშვიდის და სტაბილურობის დამყარება მხოლოდ ჭეშმარიტი რელიგიის ფასეულობებზე დაყრდნობითაა შესაძლებელი. ამ ყველაფრის გარეშე კაცობრიობისთვის მორიგი უბედურებების თავიდან აცილება წარმოუდგენელი იქნება.

იმედია, რომ ამ ყველაფრის შედეგად ტერორიზმისა და სხვა სასტიკი, ბარბაროსული სტრუქტურების აღმოფხვრას მოვახერხებთ. ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრებთა უმეტესობა ქრისტიანია, აქედან გამომდინარე, ეს ერი მუსლიმანების მეგობარი უნდა იყოს. ღმერთი ყურანში ამ ფაქტს აღნიშნავს და გვეუბნება, რომ ქრისტიანები არიან ის ადამიანები, „ვისაც დიდი გული არა აქვთ.“ (5-ე სურა, 85-ე მუხლი)

ისტორიის მანძილზე, უგუნურმა ადამიანებმა (მაგ, ჯვაროსნებმა) ეს ფაქტი ვერ გააცნობიერეს და ამ ორ რელიგიას შორის კონფლიქტი დანერგეს. „ცივილიზაციათა შეჯახება“ და „წმინდა ომი დასავლეთის წინააღმდეგ“ - ამ სათაურის მქონე სცენარების განმეორების თავიდან აცილების მიზნით, ჭეშმარიტი ქრისტიანები და მუსლიმანები უნდა გაერთიანდნენ და ერთად იმოქმედონ.

თუმცა ამერიკაში მომხდარი საზარელი ტერორისტული აქტების შემდეგ „გაერთიანების“ მარცვალი უკვე გაღვივდა. ამ ტერორისტული აქტის შემდეგ ქრისტიანები და მუსლიმანები ერთმანეთს უფრო დაუახლოვდნენ. ქრისტიანებმა ბევრი რამ შეიტყვეს ისლამის რელიგიაზე და მუსლიმანებს ყურანში მოცემული მორალით მოქმედებაც კი მოუწოდეს.

ამ ორი სარწმუნოების წარმომადგენლების ერთმანეთთან დაახლოების შედეგად, ადამიანები უფრო უკეთ შეიცნობენ ისლამურ ფასეულობებს და მუსლიმანებზე მანამდე არსებული მცდარი წარმოდგენაც გაუქრებათ. უფლის ნებით, XXI საუკუნეში ადამიანები მიხვდებიან, რომ ისლამური მორალის ღირებულებებს უკეთ შეცნობა ქვეყნიერებაზე მშვიდობის დამყარების გარანტია.


muslim georgia
muslim georgia foundation
muslim international charity